



ქვეყნის
საბჭოთაო

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სსმ თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სსმ-ის ქუჩაზე, № 35.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция «КВАЛИ».

შინაარსი: ინსანუციათა აკტორებს, დ. თოფურდისა.— 1893—1903 წ.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენტები.—ესეც თქვენი გამკობა, კარლოს წინწინასის.—რუსეთის ცხოვრება.—სახლავარ-გარეთ.—აქეთური-აქითური ი. მარჯანბისა—ლოთი, ლეკ. კ. რუსხისა.—ერთგული დედა, მოთს. ტრ. რამაშიდისა.—ჩემს სათაყვანოს ლეკ. დ. თომაშიდისა.—საყურად. კითხვ. უუურად. დატრება, ს. ნემეზიდაშიდისა.—მეუურნე და მეუურნეობა, გ. მარმადაშისა.—შავი ქვის მრეწ. მესუთე კრება გ. მარმადაშისა.—შავი ქვის მრეწ. მე-ნ კრება ქუთ., გარემე მეთავალ უურისა.

საბოლოოციკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სსმ თვით 2 მან. თითო ნომერი სსმ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბახათ.

ხელის მომწერებს შეუძლიათ წლის ფულა ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანან.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად აზნაურბის ქარვასლას); რეინის გზის სადგურზე შარკელა კლასის ბუფეტში, ესტ. ხსარტიშიდისა და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადაქისთან, ვ. ბეჟანაშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგბის კაფეში; ბათუმში სხირადან ჭკლიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭაჭინაძისთან და გვრასიმე ბედაქისთან; ყვირილაში—ივანე არდიშიდისთან; დაბა ხონში—სასახლხო საშკაითხველში; ძუელსენაკში—არსენ წითლიძისთან; ოზურგეთში—დამიენტი შავიშიდისთან; საბუნჩაში—დიმიტრა მელაძისთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция „КВАЛИ“.

ინსინუაციათა ავტორებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ შეხედულებათა, აზრთა და პარტიათა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოების შემადგენელ ნაწილთა ინტერესების სხვადასხვაობა.

ჩვენ ჟურნალ გაზეთებს შორის არსებული უთანხმოებაც

მაჩვენებელია იმისი, რომ თითოეული გაზეთი სხვადასხვა იდეალს და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს ემსახურება.

რამდენათაც ვითარდება ცხოვრება, რამდენათაც იგი რთულდება იმდენათ მრავალ-რიცხოვანი ხდება საზოგადოების შემადგენელი ნაწილები, იმდენათ მეტ განსხვავებასა ვხედავთ მდიდარსა და ღარიბს შორის.

თუმცა საზოგადოების უმთავრეს ნაწილთა შემადგენელ ჯგუფებთა შორის განსხვავება ისეთი თვალსაჩინო აღარაა, მაგრამ სამაგიეროთ უკიდურესს მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის იგივე განსხვავება სწრაფათ იზრდება. მათ შორის უფსკრული ფართოვდება; ამავე დროს მრავლდება იმათა რიცხვიც, ვისიც წარსული და აწმყო გამოღმა, მომავალი კი გაღმა, აწმყოთი ვინც ეკუთვნის ერთ საზოგადოებას, მომავალით—მეორეს. ისინი ებრძვიან სიკვდილს, როგორც მემარჯვენეთა წევრნი, როგორც მემარჯვენეთა ცხოვრების პირობათა შვილნი. ეძებენ რა თავისს ხსნას სიღუბჭირეში, არა სჯერათ, რომ აზვირთებული ცხოვრების ტალღები დღეს თუ ხვალ მათ შეუბრალდებლათ გადასტყორცნის გაღმა; ისინი მინც სულდგმულობენ იმ იმედით, რომ ბედი კვლავ გაუღიმებს და ააცოცებს მათ კეთილდღეობის კიბეზე. მაგრამ საშინელი მოჩვენება მაინც სდევნის მათ და შეძრწუნებულნი შიშით იხედებიან წინ...

ასეთია მდგომარეობა ამ შუათანა ხალხისა, ამაშია „დრამატისმი“ მათი ცხოვრებისა, ამაშია მიზეზი მათის კომპრომისებისა, ორპირობისა, ფარისევლობისა.

ამათ საკუთარი ძალით გზა ვერ გაუკაფავთ; პირ იქით, ეკონომიურათ ძლიერებმა ღამის ისინი ყირამალა გადმოუშვან ძირს. ამნაირ გაქირვებაში ჩავარდნილი შუათანა ხალხი გმობს ბედნიერ მოჯიბრეს, რომლის ადგილის დაქვრაც მას იდეალათ დაუსახავს ბ ხერხითა სურს ღელო გაიტანოს. ამ მიზნით ის ცდილობს გადმელთა გული მოიგოს და ეფიცება მათ: ჩემი ბედნიერება შენი ბედნიერების მომასწავებელია, და ამიტომ შენ მუდამ უნდა ცდილობდე მე ზურგი გავიმაგრო, შემდეგ... როდესაც მე არხინათ გამოვიქიმები

კიბის ზედა საფეხურზე, მაშინ თქვენც დაიჭერთ ალაგს კიბის დაბალ საფეხურზე და ჩვენ შორის ძმობა და ერთობა განმტკიცდებოდნენ...“

ასე ამბობენ ფარისევლები თავის „ზურგის გასამაგრებლათ“ და ამას მღერის ჩვენი „ცნობის ფურცელი“.

გასულ საუკუნის ნახევარში „Harmonie économique“-ის ავტორმა და მას შემდეგ ტონიმ, გიფფენმა, ლერუა-ბოლიემ და სხვებმა შექმნეს მთელი თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ გაღმელ და გამოღმელთა შორის წინააღმდეგობა არ ვითარდება, პირიქით, უფსკრული მცირდება და საყოველთაო კეთილ-დღეობა მატულობს. ამათმა შეხედულობამ მოიპოვა შევნიერი ნიდაგი შუათანა ხალხთა წრეში და დახელოვნებულმა პოლიტიკოსებმა კარგათა გამოიყენეს ეს ბურჟუაზიული თეორია. პირველი მაგალითი მოგვცა საფრანგეთმა.

საფრანგეთში ამ უკანასკნელ წლებში რადიკალებმა გამოუცხადეს სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა თავის მოწინააღმდეგე ძლიერ პარტიას. მაგრამ, რადგანაც საკუთარს ღონით ვერ დასძლევდნენ მოპირდაპირეს, მათთვის საჭირო შეიქნა სოციალისტთა დახმარება და კიდევ ამიტომ მოიწვიეს მინისტრთა სოციალისტთა პარტიის ერთი ლიდერთაგანი—მილრანი. ვინ არის მილრანი? რატომ მოაწვია ამხანაგათ ვალდეკ-რუსსამ უაუაოთ მილრანი და არა, მაგალითათ, გედი, ვიანი ან სხვა? ამაზე პასუხის მიცემა ადვილია იმისთვის, ვინც დაახლოვებით მაინც იცნობს მილრანის წარსულს მოღვაწეობას, მის პოლიტიკურ ფიზიონომიას.

მილრანი ერთ დროს ეკუთვნოდა ბურჟუაზიულ პარტიას ისე, როგორც ჟორესი. მხოლოდ შემდეგ ორივენი მიემხრნენ სოციალისტებს; მაგრამ მილრანი ყოველთვის წინააღმდეგი იყო რევოლიუციონურ მოქმედებისა, რომელიც ამ პარტიის დამახასიათებელია. მისი პროგრამაც ძირითადად განსხვავდებოდა პარტიის პროგრამისაგან. ეს ყველამ უწყის გარდა „ცნობის ფურცლის“ მეთაურთა ავტორისა.

მარჯვე პოლიტიკოსი და მჭევრმეტყველი ვეჭილი—მილრანი—სოციალისტთა პარტიაში იყო მემარჯვენეთა ბელადი და აი სწორეთ ამიტომ აირჩია ვალდეკ-რუსსამ თავის ამხანაგათ მილრანი და არა სხვა ვინმე. მილრანმაც „გამართლა ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ნდობა. მან არა ერთხელ უარჰყო ძირითადი პრინციპები თავისი პარტიისა და არც ერთხელ წინ არ აღდგომია მუშათათვის სახიანო განკარგულებებს; პირიქით, მინისტრი მილრანი ბურჟუაზიულ სამინისტროს ყოველგვარ განკარგულებას ეთანხმებოდა, ყოველთვის თეთრ კენჭს აძლევდა, მაშინაც კი, როდესაც მისი პარტიის ყველა წარმომადგენელი (ერთი-ორი მოღალატის გარდა) შავ კენჭს უკვებდა. ჟორესიც მიემხრო მას. ასეთი საქციელისათვის ორივე დაგმო როგორც რუსეთის ისე სხვა ქვეყნის მოწინავე დასებმა (გარდა ბერნშტეინის მომხრეებისა).

ასეთმა მიმართულებამ, ასეთმა ლალატმა დაბადა უთანხმოება პარტიაში. ამან გაყო საფრანგეთის სოციალისტები ორ პარტიად. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მილრანი მძველათ ყავდა ვალდეკს, რომ ამით აელაგმა სოციალისტები, მაგრამ გედისტ-ბლანკისტებმა, ამ ორმა ძველმა და მოწინავე დასმა, დაიფიწყა მათ შორის არსებული უთანხმოება, შეერთდა და გამოუცხადა ბრძოლა პარტიის გამბრწენელ მიმართულებას და ამ მიმართულების იდეოლოგებს...

ვინც „ჩვენ ოჯახს“ შორდება, როგორც მილრანი და უფალი ზდანოვიჩით, ის „ცნ. ფ.“ უახლოვდება, უმეგობრდება და „ცნობის ცურცელი“ მას ადიდება...

მილრანი განთავისუფლდა, მას შეკრული ხელები გაეხსნა და თავისუფლათ დაიწყო მოქმედება. ის და ჟორესი აშ-

კარათ მიემხრენ შუათანა ხალხს და შეიქმნენ მათ მეთაურობათ. რასაკვირველია ჟორესი და მილრანი ისევე ძველ სახელს ატარებენ, მაგრამ პარტიის შეგნებული წევრები მათ თანდათან შორდებიან *). ამ უკანასკნელათ, როდესაც კომპა-ს-ლესიის გამოსარჩლებით რადიკალების პროგრამის შეორეში რითადი პუნქტიც უარჰყო (პირველი იყო გადასახადი შემოსავლისდა მიხედვით) და ამით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თავის პარტიაში, ჟორესმა კომპს მართლება დაუწყა...

რისთვის უნდა გვიკვირდეს, რომ ამათ ბევრ მომხრე მოაიზოვონ! შუათანა ხალხი (გამოღმელნი) და შეუგნებელნი გაღმელნი თავს იყრიან ერთათ მილრან-ჟორესის დროშის ქვეშ და თავის ყალბ პოლიტიკათ პროგრესიულ ძალას ასუსტებენ და აი სწორეთ ამ პოლიტიკის მიმდევართ მილრან-ჟორესს უწოდებს „ცნობ. ფურცლის“ მეთაურთა ავტორი „გამჭრიახ ბელადებს“ და ამბობს: „მილიერანის ხალხისადმი სამსახური დიდია და დემოკრატიის ინტერესებისათვის ლალატი მას არ ჩაუღენიაო“.


ღიახ, დღეს მემარცხნეთა რაზმში ცვლილება მოხდა, ან უკეთ ვსთქვათ, ეს რაზმი გაიწმინდა: მას ჩამოეცალა ხალხის ყალბი მკვებრება; მაგრამ ეს ეაქბატონები ჯერ კიდევ ძველ სახელს ატარებენ. ჩვენ ვაღმდეგული ვართ ამ ჯურის მოღვაწეებს ავხადოთ პირბადე და მათი ნამდვილი სახე დავანახოთ მკათხველს. აქ მადლობა უნდა შევწიროთ „ცნობ. ფურცლის“ მეთაურის ავტორს, რომელმაც ჩვენ შრომა გაგვიადვილა: მან თვითონ აიხადა პირბადე; მან აშკარათ გასწყვიტა ყოველი კავშირი ნამდვილ პროგრესისტებთან. მას არა აქვს არაფერი საერთო არც ერთ ნამდვილ მოწინავე ჯგუფებთან; ის მათი მოწინააღმდეგეა. ის ჩვეულებრივი „ლიბერალია“, რომელიც გაცილებით უფრო მანებელია მოწინავე ჯგუფებისათვის, ვინემ აშკარა მტერი. მას მუდამ მხათა აქვს ორაზროვანი ფრაზები; ის მუდამ ზრუნავს ბურჟუაზიის ზურგის გამაგრებაზე; მას ეს ზრუნვა აუღია თავის სპეციალურ საგნათ. ის სერიოზულათ გვირჩევს: დაიცადეთ, წვრილი მრეწველები გამსხვილდებიან და მაშინ თქვენც გაგაბდნიერებენ, „საუკეთესო მომავალს“ მოგმიზადებენო; ჯერ კი, განაგრძობს „ცნობ. ფურცლის“ მეთაურთა ავტორი: „წვრილმა მრეწველმა, თუ უნდა რომ გასძლოს, იძულებულია სხვა გარემოებათ (?) მიმართოს, სხვათა შორის უმატოს მუშათა ყოველგვარ ექსპლოატაციასო“. ამ ფრაზების შემდეგ გვისაყვედურებს „ცნობ. ფურცლის“ ბელადი: თქვენ რატომ ხართ ამის წინააღმდეგო?!. მასკი თავი პატრიოტათ და ჭკვიანად მოაქვს იმით, რომ ასეთ „გონიერ“ და „სასარგებლო“ სიტყვებს სტამბავს „ცნობ. დურცელში“. ამის შემდეგ ჩვენ არ გვიკვირს, რომ „ცნობის ფურცელი“ ხან წვრილის და ხან მსხვილი მრეწველების ვეჭილათ გამოდის,— ის თავის პარტიას იცავს,—არ გვიკვირს ისიც, რომ „ცნობ. ფურცელი“ ცდილობს „გაღმელების“ გულიც მოინადიროს და დააბრმაკოს იგინი; საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ ზოგიერთებს მგლის ყმული მევობრის ძახილისაგან ვერ გაურჩევია.

დროა ყველამ გაივოს ის უბრალო ჭეშმარიტება მაინც, რომ „ცნობის ფურცელი“ მხოლოდ „გამოღმელებს“ ემსახურება.

ახლა დავუბრუნდეთ კერძო შემთხვევას, ქიათურის შავი ქვის საქმეებს.

„ცნობ. ფურც.“ მეთაურთა ავტორი რაში ამტყუნებს

*) მისდა საუბედუროთ „ცნობის ფურცლის“ მეთაურის ავტორს ეს გარამოება გამოჰპარვია, არა სცოდნია საფრანგეთის პარტიათა და მათი ლიდერთა ურთიერთობა და ჩვენ კი კანდიერებით გვიკვირებს.



კვალელებს და რით ამართლებს თავის საყვარელ გმირს, ბ. ზდანოვიჩს? მოყავს რამე ფაქტები?

ამ მწერალს ერთი ახირებული თვისება ემჩნევა: ის ბექ-ღავს გაჭიანურებულ სტატიებს არა იმიტომ რომ მას ბევრი საბუთები ქონდეს, არა, მას სჭირდება მრავალ სიტყვიანობა იმისათვის, რომ მკითხველი დაღალოს, გზა დაუბნინოს და საგანზე დასაბუთებულ სჯას გვერდი აუხვიოს.

„ცნობ. ფურცლის“ მეთაურთა ავტორმა მხოლოდ გაიმეორა ბ. გარეშის ინსინუაციები (იგივე ორი ინსინუაცია) იმ განსხვავებით, რომ ის ცოტა უფრო დაღაგებით წერს, ვინც ბ. გარეშე და თანაც ერთს ხელის ხელ საგოგმანებელ შენიშვნას დასძენს. ამ მწერალს ვერ წარმოუდგენია ისეთი პარტია, რომლის „ფიზიონომია საკმარისათ გამოკვეული და სპეტაკია“ და რომელზედაც ჩირქის მოცხება „ცნობის ფურცელს“ არ შეეძლოს... და ალბათ, ამ რწმენით აღფრთოვანებული დაჟინებით იმეორებს ძველ ინსინუაციებს.

შირველი ინსინუაცია „ცნობის ფურცელი“ აშინებს კვალელებს და სხვა გულწრფელ და სიმართლის მოყვარე ოპოზიციონერებს იმით, რომ ოპოზიცია მარტო ამათვან არაა შემდგარი და შიგ კ. ჩიკვაძე-ემერიკის მომხრეები და პალმები ურევია.

ამგვარი ფრაზებით „ცნობის ფურცელს“ სურს დააფრთხოს ოპოზიციის ერთი ნაწილი. მაგრამ ამაოთ. კვალელებს არც პალმთან, არც ზდანოვიჩთან, არც მარკოვსკისთან, არც ემერიკთან და არც ჩიკვაძესთან საერთო არაფერი აქვთ რა. დღეს სათავეში ბ. ზდანოვიჩი დასკუბებულია, ხვალ სხვა დასკუბდება, მაგრამ კვალელი ხვალეც, ისე როგორც დღეს, დაუღალავი მებრძოლია, სანამ მუქთ მტამელების ბატონობას ბოლო არ მოეღება. კვალელი იარაღს ხელიდან არასოდეს არ გააგდებს მარტო იმიტომ, რომ რომელიმე ბურჟუაზიულ ფრაქციის წინააღმდეგ მასთან ერთად მეორე ბურჟუაზიული ფრაქციაც თავის ბურჟუაზიულ ინტერესებისათვის იბრძვის. კვალელი ამტყუნებს ბ. ზდანოვიჩს საქმის უხეროზ წაყვანაში, სიყაღბეში და კიდევაც ამას ფაქტებით ამტკიცებს. „ცნობის ფურცელი“ ფაქტებს არ არღვევს და ოინებით სურს გაიმარჯვოს და ბურჟუაზიულ წრეში ის კიდევაც გაიმარჯვებს.

რით დაარღვია „ცნობის ფურცელმა“ ჩვენი თანამშრომლების მიერ ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ მოყვანილი ფაქტები? არაფრით.

მან მხოლოდ ცილის წამებით, ოინებით, სიტყვის ბანზე აგდებით გამოილაშქრა კვალელის წინააღმდეგ და ბ. ზდანოვიჩის სადიდებლათ. ფაქტებით, ფაქტებით დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენ პირშავათ ვმოქმედობთ, თორემ თქვენი ცარიელ სიტყვებით ბ. ზდანოვიჩის საზოგადოების თვალში თქვენ ვერ გაათეთრებთ, ვინაიდან საქმენი მისნი აშავებენ მას!

მეორე ინსინუაცია. თუ ზდანოვიჩი არ იქნა შავი-ქვის საქმეების სათავეში, მაშინ „ქართველ მრწველობს და თვით-მართველობის პრინციპი დაიღუბება“; ვანც ზდანოვიჩის წინააღმდეგია, ის „იღებს ხელში ცულის და გულმოდგინეთ სჭრის იმ ხეს, რომელზედაც ზის, გაბედულათ ეძებს იმ დანას, რომლითაც ბოლოს თათონვე უნდა გამოიქრას ყელი“. (რა შესაზარი სურათია!).

„ცნობის ფურცელი“ ამტკიცებს, რომ თვით მარველობა უზდანოვიჩოთ ყოველად შეუძლებელია და მაშასადამე ვინც ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგია ის თვით-მართველობის წინააღმდეგეცაა.

არ ვიცი რა ვუწოდო ასეთ უმგანო სიცრუევს?! განა ბ. ერისთავის, რომელსაც თვით „ცნობის ფურცელი“ უწოდებდა ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენელს და ბ-ნი ზდანოვიჩის თანამოაზრეს, განა ამ ბ. ერისთავის არჩევა

თვით-მართველობის და „ქართველ მრწველობის“ პრინციპს დაღუბვას უქადის? მაშ თვით ბ. ზდანოვიჩი და ქუთათელი ინტელიგენცია ამ პრინციპის დამღუბველი ყოფილან? განა სასაცილო არაა, რომ მიძინებული, უმორჩილო „ცნობ. ფურც.“ და „ივერია“ კვალელს უკიყინებდენ: თქვენ ხართ თვითმართველობის წინააღმდეგო!... ეს კი აშკარა უსირცხვობაა. რას გვიბასუხებს „ცნობ. ფ.“ და „ივერის“ ბელადნი, რომ მათ დავეკითხოთ: თქვენ რა გააკეთეთ, ან რას აკეთებთ თვითმართველობას მოსაპოვებლათ ან მისი ზურგის გასამაგრებლათ?..

არა, თქვენი ძალა—თავის დამცირებაში და მანურ ერთგულების გამოხატვაშია. ამას თქვენ ამტკიცებთ ყოველ დღე, ყოველთვის, როდესაც კი თქვენგან სამსახურს ითხოვენ გალაღებულნი. ამ თქვენ დანიშნულებას თქვენ დიდის ბეჯითობით ასრულებთ.

ღიას, „ცნობ. ფურც.“ სიცრუვისა და ინსინუაციების მეტი არაფერი დარჩენია ბ-ნი ზდანოვიჩის გასათეთრებლათ!.. მაგრამ ბ. ზდანოვიჩისათვის მხოლოდ ხმების, კენჭის მოპოვებაა საქმრო და არა საზოგადოებრივი სისპეტაკე. ის დადი ხანია მოქმედობს „примѣнительно“... და, რასაკვირველია, ასეთი ადამიანი კიდევაც გაიმარჯვებს.

მაგრამ დროა გავათავოთ. რა გამოძეღანდა?

1) „ცნობი ფურცელი“ მხოლოდ და მხოლოდ ინსინუაციებით გვეკამათება; მეტი იარაღი უფალი ზდანოვიჩის გასამართლებლათ მას ვერ უპოვია.

2) „ცნობ. ფურცელი“ ფაქტებს მუღამ გვერდს უხვევს და მხოლოდ ოინებით გვიბასუხებს.

3) „ცნ. ფურცლის“ აზრით „წერილმა მრწველმა... უნდა... უმტაოს შუშათა ყოველგვარ ექსპლოატაციას“; ეს მას სასურველათ მიიჩნია და ვინც წინააღმდეგია, იმას მამულის მტერს უწოდებს.

4) „ცნობ. ფურცლის“ რედაქცია გალაღებულის ყურადღების დამსახურების სურვილს ისე დაუბრძავებია, რომ სრულ ულოლიკობას იჩენს; ამბობს ბ. ერისთავი და ბ. ზდანოვიჩი ერთ და იმავე მიმართულებისა არიან, ერთნაირათ პატროსანი პარებიო და იქვე დასძენს: ვისაც ბ. ერისთავი სურს ზდანოვიჩის მაგივრათ აირჩიოს, ის პატროსნებას დალატობსო, ის თვითმართველობის და საქართველოს ბურჟუაზიის დამღუბველიაო. აი ბურჟუაზიულ პრესის ლოლიკა! დ. თაფურიძე

1898—1903.

დღეს სრულდება ათა წლას მოღვაწეობა იმ გახეთისა, რომელთანაც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების ახალი ნაკადული, ის საჭირო-ბორტო თავსატეხი კითხვები, რომელნიც ახლანდელმა ვითარებამ დაბადა და რომელნიც წითელი ზოლივით ჩაესკენენ მთელ თანამედროვე ცხოვრებას. ყველა, ვინც ცოტად-ნ ვ დაინტერესებულია ჩვენი ცხოვრების მაძინაწყობით, ვინც ცალკე თვალთ მანინც გადახედა წარსულს და აწმეოს, შეძლებისა გვაერთ გათვალისწინა მისი უმთავრესი მომენტები, ვინც იგრძნობს მისი მსგელობის ფსიხოლოგია და შინაარსი, აუცილებლივ შეამჩნევდა იმ მოკლეას, რომ „კვალს“ ჩვენი ხალხის განების განვითარებაში და მის წინ-მსგელობაში მიუძღვის დიდებული დგაწლი. „კვალი“ ჩვენი ცხოვრების უმთავრესი საქველთაო საზრუნველი და მატეოსაცემი ორგანო იყო და არის, ხალხის სულისჩამდგმელი, გულის აღმსრუელი, მჭერმეტყველი მჩვენებელი მისი მისწრაფებისა, ლტოლვილებისა. „კვალში“ ირკვევდა და ირკვევს ხალხის მიერ წამოყენებული ღმრს-შესანიშნავი ვითხვები; აქ ისმის ხალხის ოხვრა და კვნესა, სიცილა და ტირილი; „კვალი“ არის მარტივი

კომმუნისტური ხეივანი მდგომარეობის და ჭირ-კარამისა. ყოველი პატიოსანი, შეგნებული ადამიანი, თუ კი ის დანტერესებულია საზოგადო საქმით და გულა შესტავა მარად, ზნეობრივით მოგლეკა ექნეს მას ნეგეშის მტემლათ; მისი მოთქმა და მოწოდება უნდა ამხსნებდეს მას საბრძოლველათ და მისი სიხარული და დღესასწაული უნდა ჩაითკალოს საერთო სახარულით და დღესასწაულით. სახამ „კვალა“ ამ სახით, ამ ელფერათ მოღვაწეობას დაიწყოდა, საზოგადო მოძრაობა ჩვენში მკტათ მასურტული იყო და ჩელის ნაბავით მიხსავდა წარმტების გზაზე; ეურნალ-გახეთობს, ეს ნამდვილი მხატვარი ცხოვრებისა, შავ სუდარმა გახვეული და სასოწარკვეთალებით შექერობილი გლგობის ზარს რეკდა. „ანსაიდან ხმა, არსით ძახალი“... ხმა გამამხსნევებული, აღმფრთხილებული არ ისმოდა. მთელა საზოგადოება, უმრავლეს შემთხვევაში გაცქრებულიყო და მის მარჯვებში სისხლი შეეჩებებოდა. თუ მოინახებოდა ჩვენში მოღვაწე, ან გულ-დასაგრულია შეეურნებდა ამ გარემოებას, ან-და ერთ გაბატონებულ, ცხოვრებისაგან მომკვდრავათ ადარებულ წოდებას; უმკეროდა და მისი გამგებებისათვის იბრძოდა. მშრომელი ხალხი კა, ეს მოძრაობა ძალა, ეხერგია, რომლის ბედ-აღბალი შეიცავს მთელა ერის ბედ-აღბალს და რომლის შრომით იკვებება მთელა კაცობრიობა, მივიწეებული იყო. მაგრამ დადგა ნეტარი დღე: განახლებულმა გასკომა „კვალმა“ „უარყო წოდებათა განკერძოება და მათზე მხრუნეულობა. იმან გამატყნადა საგნათ თვისა ზეკავლებისა მთელი საქართველოს კერი, განუტყნებლათ წოდებისა, შთამოკებისა და მოხელაობისა. საქართველოს კერი მარტო გლეხ-კაცობა ან მარტო თავად-აზნაურობა კი არ არის, არამედ კვ არის შემკრებლობათა არსება, რომელშიაც გლეხიც არის, თავად-აზნაურიც, მღვდელიც, მესულეც ვაჭარაც და მოქირავე უმაც. ამ შემკრებლობათს არსებას უწოდება საქართველოს ნაცობა, ისტორიული კულტურით სრული და გამგებებული თავისი ენით, თავისი ნაციონალური სარწმუნოებით და თავისი ნაციონალური თან-არსებობით“. ხალხში გაისმა ხმა მაღალი, მძლავრი; აინთეს სანაწევლები შეგნებისა, თვითცნობიერებისა; ხალხმა იტყვა თავისი თავი, შეიქნა საზოგადოების აქტიური წევრი, საზოგადო მოძრაობაში შიადო მხურვალე მონაწილეობა და თვით ცხოვრებას სულ სხვა სახე და ელფერი დაეღო.

ყოველივე ზემო აღნიშნული შეადგენს ჩვენი ცხოვრების შესანიშნავ და თკლსახინო მოვლენას; ამით იწეება ჩვენში ახალი ენობა და „კვალის“ ათი წლის მოღვაწეობის დღესასწაული, რომელსაც ჩვენ აღტაცებით ვეკვებებით, არას ამასთანავე იმ ახალ-გაზრდათა დღესასწაული, რომელნიც კაცობრიული იდეის განსახორციელებლათ შედგრათ შეკრძოლენ ცხოვრების ესმართლობას. გადოცრათ რა დღესასწაულ დღეს, გისურვებთ მომავალშიც შეჩენოდათ ამ გზას და ეფლადეთ ღმერთათ, სწორა გზის მიხვეულებლათ ცხოვრების ბრძოლაში იკანე მუშას და გოგია გლეხს.

- მ. მდივანი. ს. ავალიანი. ვ. სულაქველიძე. ს. ლეყავა.
- გ. ლორთქიფანიძე. გრ. აბაკელია. ელ. სარალიძე. გრ. ავალიანი. ვ. შავდია. შალვა შარაშიძე. ივანე ზედგინძე. დავით შარაშიძე.

ქ. ოდესსა.

ჩვენ მივიღეთ ზამთარი დავაზა.

გულწრფელათ ვულოცავთ „კვალს“ ათის წლის დაულალავ სამსახურს საზოგადოებისადმი.

შენველ ქართველთა უმრავლესობა.

სხვადასხვა ამბები.

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოს ნება დაურთავს ექიმ ვაგან არწრუნისათვის გამოცემა თფილისში სომხურ ენაზე სამკურნალო ჟურნალი „არაგისაიან ტერტი“ (საგიგი-

ნო ფურცელი). ჟურნალი თვეში ორჯერ გამოვა და ეტირება 2 მანეთი.

დღეს, 2 თებერვალს, დანიშნულია ლურჯალოთა ამხანაგობის „შრომის“ კრება.

თფილისში მცხოვრებ ებრაელოთაგან პეტერბურგს გაგზავნილ დებუტაციას დავალებული აქვს ითხოვოს მთავრობის წინაშე, ნება მისცენ ქალაქში ცხოვრებისა იმ ებრაელოთ, რომელნიც 1885 წლამდეც აქ ცხოვრობდენ, მაგრამ პოლიციის მიერ შედგენილ სიაში არ მოხვდენ.

როგორც თფილისის გახეთები იუწყებიან, მთაწინდაზე ფუნციკულიერა კეთდება: მთავრობას ფუნციკულიერის გაყვანა მოუწონებია და ახლა აქაურ ადგილებს მესაკუთრეთ განუზრახავთ სააქტიონერო საზოგადოება შეადგინონ, რომ საქმე მართლა განახორციელონ. ამისათვის 300 ათას მანეთის აქცია უნდათ გამოსცენ; ნახევარს ბელგიელთა უსახელო საზოგადოება გაანაღდებს, ნახევარსაც — თფილისელი აქციონერები.

თფილისის საგუბერნიო მართველობა უკვე შესდგომია იმის გამოძიებას, თუ სად და სად დაუყრია კალიას თესლი, ან რამდენი ადგილებია თესლით მოღებული და რა დაუჯდება მთავრობას, რომ ეხლავე შეუდგეს თესლას მოსაზობას, რომ უვნებელ ჰყოს მცხოვრებლის ნახნავ-ნათესიო; ამის გამოისობით საგუბერნიო მთავრობას ოფიციალურათ მიუმართავს მაზრის უფროსებისთვის და უთხოვინა შეკრებეთ დაწვრილებითი ცნობანი და მოგვაწოდეთ რაც შეძლება მალეო.

თფილისის ბავშთა სამხრუნველო საზოგადოების გამგეობას განუზრახავს ბავშთა პირველ თავშესაფარისათვის საკუთარი შენობის აგება. შენობას დასჭირდება 10,000 მანათი, რადგან საზოგადოებას ფული არა აქვს, ფაქრობდენ თანხის შედგენას შემოწირულებითა და ხელის მოწერით. ადგილი გამგეობას უკვე გამოუნახავს ვერის ხიდის ქვედა მხარეს, სადაც ამაჟამათ სახერხავი ქარხანაა. სამხრუნველო საზოგადოების გამგეობამ უკვე მიმართა თფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა უფასოთ დაუთმოს ეს ადგილი.

დიღუბის ღამის თავშესაფარში ამ ჟამათ თურმე 23 ღარიბი ავათაა, რე საავათმყოფოში არ იღებენ უადგილობისა გამო. ამიტომ თავშესაფარის გამგე კომისიას დაუდგენია, სახამ არ მოიჩებიან ავათმყოფები, თავშესაფარში დარჩენ, ეხლავე საგებ-სახურავი შეუძინონ და, ჩაის გარდა, საქმელ-სასმელიც მისცენ. კომისიას კერძო ექიმიც მოუწვევია ავათმყოფების საექიმოთ, რადგან ქალაქის ექიმს დრო არა აქვს თურმე.

კორესპონდენციები.

კახეთი. წლეგანდელმა სამთარმა სასკვარ ადღზე მკტა თოვლა დადო. თოვლა ზამთრის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თოვლს ზედ ისეთი სუსხი, სიცივე და ყინვა დაერთო რომ ამის მსგავსი სიცივე ჯერ არ უნახავს შეუჩვეველ კასეთსაც. გზებზე სიარული გაძნედა: საქმელი ბოსლას კარებს კედარ სტადდება. ხალხი შეიკეტა თავის ბოლიან ქახმასებში. კადვე კარგი, თუ გერის უკან გოდორში ერთა რამე, საფქავ-საცხობი მოუბოვება, თუ არა და რას იზამს? სამუშაო არსად არას, რომ დღიურათ მაინც იმუშავოს და თავი გამოიკვებოს.

იმ მრავალ უბედურებას, რომელსაც ერთიანათ გადაარბა და

ძირს დასცა კასელი გლეხი, საქონლის ჭირიც ზედ დაერთო. ამ ჭირმა დიდი ხანია ისე მოაქიდა ფეხი კასეთში, რომ მეტნი წასვლას აღარ ამირბნის. მერე რამდენი ხარჯი და ხარჯი მოსდის სოფლებს ამ სენისაგან: ამის გამო გლეხი ხშირად მასხარებულ-მარხუნულ საქონლისაგან ცარიელი რჩება. მართალია მოკლეული საქონლის ფასი უბრუნდებათ, მაგრამ ძირივე გვიან და არც იმდენი რამდენიც მათ უღირთ. ამას გარდა კიდევ საგრძობელი ხარჯი მოიღოთ ჭირის წინააღმდეგ მიღებულ ზომებისაგან. საქონელს კვლავ ამუშავებენ თავისუფლად, ბეითად და ზოლიცის მოხელე ხატურებს სახლი, შუშა და სხვათი უნდა აძლიონ. ჭირისავე მოსას-ზობათ უარაულები უნდა დააყენონ. ასეა ყოველდღე მუშების გაუგანა იანგარშიც კარმა და ადვილი კასეგებია, ყველა ეს რამდენ ხარჯს მოსცემს კასეთს. ნეტა ჭირი იშვიათი მოკლეა მანც იუთს. მაგრამ ეს ხეულებრივ მოკლეხანა გარდაიქცა კასეთში. იშვიათია ისეთი სოფელი, რომლისთვისაც ჭირს თავის დიდი არ დაესოს. ბეითლები რომ ვეღარას განდენ მის წინააღმდეგ, ჭირის საქონლის სიღრმეს თავი მიანებენ და ახლა აგრის შეუდგენ.

აუტრეს მხოლოდ იმ სოფლის საქონელს, რომელსაც ჭირი ქონდა შეერადი. მაგრამ ახლა კიდევ სხვა სოფლებში გადადის ეს გლეხიკაცის განსაზღვრებული სტუქური და ღამის არის მთელი კასეთი შემოიაროს.

არა ხაკლები ხარჯი მოეტანა კახლებს რაღაც სატვივარმა, რომელიც ღირს შეეკარა და ბევრიც ამსხერხლა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ თვით აღამინი არ ვარდებოდეს ხიფათში. სოფლებში შეატყობენ თუ არა, რომ ღირს ავად ხდება, მაშინვე სოცენენ (თავის თავადაც ბევრი ისიცება და ფრან) და ხორც დანატრებულნი ხარბად შეეკვივან, ან კიდევ საწილს სჯობრეთ ინახვენ. ვინ იცის რა შედეგის მოტანა შეუძლია ასეთ საქციელს, თუ დროით უურადლება არაფერს მიაქცია.

კასელ გლეხიკაცს რაც უნდა უბედურება დაატყვეს თავზე, რაც უნდა შევიწროებულ მდგომარეობაში იყოს, ისე გამჭადარი აქვს ძალასა და რბილში დღეობობა, რომ მის ვერაფერი მოაშლე-ვინებს, ვერც გაჭირვება, ვერც სიღარიბე, ვერც სიციხე-სიკვდი. ვინ მოიფიქრებდა, რომ ასეთ უინფ-სიკვდიში მცხოვრებნი დღეობებს გარდაიხდიდნენ და წვეულებებს გამართვდნენ, მაგრამ სოფ. კისისხევის და კალაურის მცხოვრებთ ისე ისე ძველებურად გამართეს წმ. ნინოს დღეობას წვეულება, ისევე ისე მოუკიდათ მოუვარე-ხათესაგები, დაწვეს უხომოდ ღვინის სმა და ერთ სადილზე სჩან-თქეს მთელი თავის სახლი, ბევრისაგან ვალათ შექნილი. კიდევ რამდენი მანებულ-მახარალებული ზნე-ხეულება სჭირს კასეთს, მაგრამ მომაგონდა უგებრი შოთას სიტყვები: „კარგი რამ გვჭირ-დეს, გვაპირდეს, ავი რა სავიწროვლოა“.

შინით-კახელი.

დ. ლანჩხუთი. ამ უგანასხელ დროში ჩვენ დაბაში მეტად ვარტყლდა ქურდობა ავასკობა, ისე დღე არ გაივლის, რომ რამე ბორბო მოქმედება არ გაიგონოთ. მერე რას უყურებს ადგილობრივი ზოლიცია? რას უყურებს არ ვიცი, და ის კი ცხადია, რომ აზრათაც არ მოსდის იმაზე ზრუნვა, რომ როგორმე ქურდები აღმოაჩინოს და ამით მისცეს მოსვენება ისედაც მრავალ ცხიო შევიწროებულ მცხოვრებლებს.

ამისი რა მოკისხუნო და ფულები რომ ძაღვან ყვარებია მამასხლისს, ეს კი ნამდვილად ვიცი. ამას მაგალითად დავამტკიცებ. ბ. მამასხლისი ისე დახედავებულად ფულის ადებაში, რომ მას-ზორტსაც არავის მისცემს, თუ საჭიბე ფული არ ადო.

ამას წინათ ერთი თფილისიდან ჩამოსული ემაწვილი მივიდა მამასხლისთან და მასხორტი სთხოვა. მამასხლისმა გასმარჯლოთ მანეთი სთხოვა. ემაწვილმა ამოიღო ძველი მასხორტი და უჩვენა სიტყვა „Безплатно“. ეს, რასაკვირველია, არ ესამოვნაბ-მამასხლისს და უბრძანა ცხირს (ხანჯალს) ემაწვილი ხანძარში ჩა-

სვს, რომელმაც ბრძანებისამებრ თავისი მოვალეობა ასსრულა, აი, როგორ ზირონით ასრულებს ბ-ნი მამასხლისი თავის დახმარებულ-ბას. რამდენიმე ხანი ამოფიქრეს ეს ემაწვილი კაცი სასხლისში და მერე დიდს ხვეწნითა და მუდარით ძლიერს გამოაშვერებინა მამასხლისმა და მასხორტიც მიაცემეს.

წარმოადგინე, მეითხველო, იმ ზირის მდგომარეობა, რომელსაც სულ არაფერი გაეკება და მამასხლისი ისე ეყვს წარმოდგენილი, რომ სიტუვის შებრუნებასაც ვერ უბედავს.

კარგი იქნება ღანჩხუთლები გამოთხიზლდებოდნენ ძილისაგან და მოიშორებდნენ თავიდან ასეთ მბრძანებელს და მის ადგილზე უფრო კეთილსინდისიერ კაცს დანიშნავდნენ.

6. ჩხიძე.

მ ს ს ე თ მ ვ ა ნ ი ბ ა მ მ ე ო ზ ა !

[წერილი ხარავალიდან.]

სწავლა-განათლების სჭირებებს დღეს ყველას ესმის: დიდსა და მატარას, გლეხსა და ახსურს. ამ გვარმა მოთხოვნილებამ ხარავალშიც შემოიყვანა თავი: ხალხი ერთხმად ასმარჯა, რამც გამოიწვია უკვე არსებულ ერთკლასიან სამხინსტრო შკოლის ორკლასიანით გადაკეთება, ორკლასიან საეკლესიო სამრეკლო შკოლის გახსნა; ერთკლასიანი საქალბო სასწავლებელი, მსაჯლოდნელია, ახლო მომავლში ორკლასიანით გადაკეთდება. უგანასხელათ კი ერთ უბედურ დღეს დაარსებულ იქნა წიგნთსაცავ-სამკითხველოც, რომელიც გახსნილია, თუ არ ვცდები, წინაშე 1902 წლის 5 ივლისიდან. მისი საქმე იმ თავითვე ცუდით არის დაეწებული და ადვილი მოსალოდნელია, რომ შუა გზასე ჩაიხრქებს და ტანჯულ სულს განუტყვევებს სულს მას შინა გამკობისას, თუ ეს უგანასხელი აქლოს დაესწრო ამ დროს, რაც საეკლესიო, იმიტომ რომ ის ისე უფროთის მას, როგორც ხოლმე.

ეს გამკობა სუთი კაციანს შესდგება: ოთხი წვერი გამკობისა და მესუთიც მისი თავმჯდომარე-ქალი, «ქუინა». ამომარჯვლებსა, შეამკვეს იგი, როგორც შრომის მოყვარე, გააღვინს მექონე მანდილოსანი, რომელიც წინ წაიყვანს ბიბლიოთეკის საქმეს. მარა მ.ს. ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია. ბიბლიოთეკაში წიგნები ცოტაა და ისიც უელო. გამკობა ჯერ-ჯერობით არ ცდილას მათთვის ფულები დაკეთება, მართალია ამებზე ღანძრავი კი იყო, მაგრამ (მოუხედავთ იმისა, რომ ეკონომიური ზირობები ცოტათი თუ ბევრათ ხელს უწყობენ ამის შესრულებას) განუსიორციელებელი დარჩა. უურნალები და გახუთები? დღიდან თავისი დაარსებისა სამკითხველოს არ ჰქონია დაკუთილი უურნადაცხეთებო. ზირველ კრებაზე 4 ივლისს გამკობამ მიმართა დამსწრე სს-ოკადრობას თხოვნით, რომ ვისაც ქონდა თავისთვის დაკუთილი გახუთება, გამოეცხვენათ სამკითხველოში, სინამ რედაქციები სჭირო ცნობებს (ფასის დაკლებასზე) მიიღებდა. შემწევობა აღუთქვეს ორმა თუ სამმა კაცმს. ერთხელ თუ ორჯერ ერთმა ამითო-განმა სამი თუ ოთხი დღის «იკურა» და მეორემ „НОВ. ОБОЗР.“ რამდენიმე №-ბი გამოუგზავნეს სამკითხველოს და მასივეს ფეხი. როგორ უნდა შეეხედა ამასე მეითხველ საზოგადოებას? ისინი იმულებული გახდნენ სამკითხველოსთვის თავი დაენებებიათ. სად იყო ამ დროს გამკობა? ვის უყურებდა, რას უდღიდა? რა იმრომა მას, რომ იმედდაჭრეული მკითხველები დაეხრუნებიათ თუ არ ვცდები, ერთათ ერთი «იკურა» მოსდიოდა ბიბლიოთეკას თავის სახელზე და ისიც ნოემბრის მიწურულში და დეკემბერში და კიდევ ვიდაცისკან მოქონდა დრო კასული ორიოდე №-ი «ცხ. თ.»-ს.

მეტყვიან: «ფული არ გქონდა». მარა ეს სიმართლეს მოკლებულია. ზირველ კრებაზე, ეკლისში ერთმა სინატოი წვერმა ბ. ქ. დ—კმ 25 მ. შემოიტანა, 15 მ. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ მათმა უსამდგლოკობამ ღვინიღემ შემოსწირა ბიბლიოთეკას, ამგვარათ სულ 40 მან. მოგროვდა. გამკობამ, იმის მაგიერ, რომ აუცილებელი მოთხოვნილებანი ბიბლიოთეკის დაეკმა-

ყოფილები, ამ თანხას მიუმატა კიდევ რამდენიმე სხვადასხვა სახით შემოსული ფული და ამხარათ მოგროვილ 60 მან. ადგილობრივ სადგურში არსებულ სახელმწიფო კასში ამოყოფინა თავი.

რა მოსაზრებით მოიმჩქადა ეს გამგებამ? ეს კითხვა, რომელზედაც ჰასუხი ბევრი ხარკაულებების ცნობის-მოყვარებას დააკმაყოფილებდა, საიდუმლოებით არის მოცული. თუ ამ ფულის სარგებლით უნდადოთ გაკეთებინათ რაზე, ეს ვერაფერი მოსაზრებაა. ექვსი თუმის სარგებელი ისეთ დაწესებულებაშია, რომ შიტიანის ჩვენში, სადაც გაცილებით უფრო მეტი სარგებელი ექნება, ვიდრე სხენებულ კასსში, მაინც წინ ვერ წაწევს სამკითხველს და ვერაფერ დახმარებას გაწევს. მაშ რა მისი დანიშნულება? იმედი გამგებობა გაგვიტყოს ამის შესახებ.

კარლოს წინწინაჲ.

რუსეთის ცხოვრება.

უმაჯობეს თანამშრომლებმა და მათ რიცხვში თვით აკადემიკოსმა თანხმობა გამოაცხადეს პეტერბურგის გაზეთებში, რომ ისინი აღარ ითვლებიან ბ. რამისი ურნალის «Самообразование»-ის თანამშრომლებად.

— გაზ. „სვეტ“ გამოგვიტყობს, რომ ქალაქ ნიჟნი, წყლის განაპირა ნაწილებში, მოუკლავთ ადგილობრივი ფარული პოლიციის აგენტი (сыскная полиция) ოსიპოვი, რომელიც ათას ალაცს მაინც არის დახით დასერილი.

— მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობას ახრათა აქვს განქორწინების საქმე სასულიერო უწყებას ჩამართვას და საერო სასამართლოს გადაცეს. ამ საქმის შესამუშავებლად დანიშნულ კომისიას უკვე დაუმთავრებია მუშაობა და მასალა უკვე სინოდისთვის გადაუტყვა.

— გზათა სამინისტრომ განუმარტა რკინის გზების უფროსებს, რომ მოსამსახურეთა მორიგეობა იმ სტანციებზე, სადაც დიდი მოძრაობაა, არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს, სოლო სადაც საკლება მოძრაობაა — თორმეტ საათს.

— ამ გაზაფხულზე პეტერბურგში აარსებენ პირველად რუსეთში შუშის ქარხანას, რომელიც შუშისაგან შპალებს და რკლებს გააკეთებს.

სასლავარკარეთ.

იზმლისი. ინგლისში, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის გზაზე სულ სხვა ტიპის სამუშაო ვაგონები უნდათ შემოიღონ. ეს ვაგონები ფოლადისაა და იმხარით მანქანითაა შივ მოწყობილი, რომელიც ვაგონს 37 წამს (секунда) განმავლობაში დაცლის. თვითვე ულ ვაგონში ჩვეულებრივი 600 ფუთის მაკიერ 2,100 ფუთი შეიძლება დაწვეს. სიგრძე სამუშაო მატარებლის ამ ვაგონების წესდობით 49% ანუ თითქმის ნახევრით მოკლდება.

ბერმანია. მკითხველს ესსომება, რომ რეინსტაგის პრეზიდენტმა გრაფმა ბალესტრუქმა არ მისცა ნება სოციალისტ ფოლმარს კრიტიკა ეთ იმპერატორის „რეპუბლიკის“, რომელიც მუშათა პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული. ბალესტრუქის საქციელმა დიდი პრეტენზია გამოიწვია ევკლას მიმართულების გაზეთების მხრივ. საზოგადო პრეტენსიის ბანი მისცა თვით კონსერვატულმა „Kleuz Zeitung“. ამ გარემოებამ ისეთი გავლენა იქონია პრეზიდენტზე, რომ მან პრეზიდენტობას თავი დაანება...

— იმპერატორი ვილჰელმის სიტყვების შესახებ, რომლებიც ჩვენ „კვალის“ წინა №-ში გვქონდა მოყვანილი, თავისუფალ მოაზრებას შეთავაზდა რისტრუქციონის ილანარაჲ. მან კანცლერ ბიულოვს ასე უნდა უთხროს:

„დიდი მადლობელი ვარ კანცლერისა, რომ ასეთი სინტერესით ამბები შეგვატყობთ იმპერატორის აზრებსა და მის იმპერატორთან დამოკიდებულებასზე. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იმპერა-

ტორი სშირათ სმამდლა გამოთქვამს თავის აზრს, მაგრამ ამ აზრების შესახებ მკვეთელი არაფერია, რადგან, კონსტიტუციის ძალით იმპერატორს შესახებ გეგმას ვერაფერ მოთხოვს. ამავე სმამდლა გამოთქმულ აზრების თაობაზე ვეკითხები გრუ ბიულოვს, რომელიც დიდი წინააღმდეგ, რომ იმპერატორი მაგ სიტყვების რქმის აზრობდა, თუ არა? მთელი ჩვენი ქვეყანა დაწმუნებულია, რომ იმპერატორი სშირათ ისე დახმარებას და ისე მოქმედებს, რომ შესახებ მკვეთლს მინისტრს ერთსაც არ დაეკითხება; მათ აზრებს ხომ სულაც არაფრათ ავდებს. ასეთი ქცევა მთლათ არღვევს და ამცირებს კონსტიტუციის წესებს. რა აზრისაზე უნდა ვიყოთ ესლანდელ კანცლერის ნიჭსა და უნარზე, — მაინც დაწმუნებული ვართ, რომ იმპერატორის დეპუტა ბაგარიის რეგენტთან და იმის სიტყვები სოციალ-დემოკრატებსზე ბიულოვს (რას დროს არ მოყვანდებოდა. უფრო ვიტყვი ჩემს აზრს: იმპერატორის დეპუტამ, ბაგარიის რეგენტთან გაგზავნილმა, მთელ ბაგარიის ნამდვილი ქარიშხალი ასტესა და იქაური კლერიკალები გააძლიერა. მუშებს ხომ ისეთის სიტყვებით მიმართა იმპერატორმა, რომ მთელი ქვეყანა გააკვირვა... ცხადით სხანს, რომ იმპერატორს სრულებით არ ცოდნია ჩვენი სალხის ესლანდელი აზრები და მიმართულება. ან კი საიდან უნდა იცოდეს? ხალხსა და იმპერატორს შუა უსარმაზარი კედელია ამართული... ევკლას ამას შეგნებული კანცლერი ავდილათ გაგებინებდა იმპერატორს, მაგრამ კანცლერმა რა ქნას, რომ იმპერატორი არაფრათ ავდებს მას და არაფერს არ ეკითხება. ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ იმპერატორს თავის თავი ევკლათრის მცოდნეთ მიახნა. ის კი აღარ ასსოვს, თუ რა ძნელი და რთული საქმეა ამოდენა უსარმაზარი ქვეყნის მართვა. მთელი ჩემი სიცოცხლე სულ საკანონმდებლო კრებებში გავატარე და სახელმწიფო საქმეებს სინიდიისერთად ვსწავლობდი, კაცი დავბურდი, და მაინც ძლიერ ბევრი საქმის დღესაც არ ვიცი რა, ვერა ვაიგე რა და ყოველთვის ვიტყვი ხოლმე: ამ საკანზე სპეციალისტებს დავეკითხეთ, აქ დიდი ცოდნაა საჭირო-მეთქი. წინმოადგინეთ ესლას, რომ მე ამას კარდა სასწადრო კაცი, შეზღავური და დიდიმობტი ვიყო, ნიდავ ურცხვ ხალხის მიღებას ვუნდებოდე და თახაც მისტერობსაზე მეცნიერებასა, მწერლობასა და მუსიკასაც ვეატანებოდე. განა სოფიქრებელია, რომ ერთი კაცი ამდენ საქმეს გაწვდეს და თავის თავი ამდენ საქმის მცოდნეთ მიახნდეს? (მოწონება). ავი ჩვენი კარგი პატრიოტებიც სშირათ გაცრებით კითხულობენ, როგორ ასერსებს იმპერატორი, რომ ამდენ საქმეს წვდება, როგორ შეიძლება, რომ ერთმა კანმა ამდენი საქმე და ხელობა იცოდესო. ეს იმიტომ შეიძლება, რომ ჩვენი მინისტრები მეტის მეტათ მშიშარა და ერთგული ხალხი არიან. ესლანდელი კანცლერობა ავდილი საქმე რადია, — ეს კარგათ ვიცი (ბიულოვი თანხმობის ნიშნით თავს აქნევს. ძლიერა სიცილი). კანცლერი გულახდით იქცევა, მეც გულახდით ვიტყვი: ჩემთვის ბევრჯელ უთქვამთ მინისტრებს — რასაკარგლია. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ — რომ რეინსტაგი არაფერში არ ვვიშლიდა სელას, იმპერატორი უფრო ბევრს ვპატივდებოდა და სწორეთ სიცოცხლეს ვვიმწარებოდაო. თუ არ უნდათ, რომ იმპერატორის ბრმა-ურთ მონებათ გადაიქცენ, კანცლერი და ევკლას მინისტრები უნდა ეცადენ ამისთანა ხიბრებულ წესებს ბოლო მოუდონ, რადგან ეს წესები ხალხისათვისაც და თითონ მოხარებისათვისაც — საშიშა და დამღუბველია. (ძლიერი მოწონება).

საზრანგეთი. 15 იანვარს 1903 წ. სასლავარკარო მინისტრმა პელტანმა, რომელმაც რვა საათის მუშაობა შემოიღო ზოგიერთ სასლავარკაროებში, ერთი ფრად საყურადღებო ცირკულიარით მიმართა ხანო-სადგურის სასლავარკარების უფროსებს. ამ ცირკულიარს მინისტრი ასე იწვევს: „ვიხილავნ დულანის სასლავარკაროებში და ღორანში ზარბახების საკეთებულ ქარხნებში რვა საათის სამუშაო დღის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქმეს, ამიტომ მე გადაწყვიტე ეს სისტემა, ე. ი. რვა საათის სამუშაო დღე, სხვა არსენალებში და ქარხნებშიც შემოვიღო“, — და მის

სულ-ქვეით მოსამსახურეებს დახმარება სთხოვა. ზელტანის მოქმედებამ საზოგადოთ და ამ ცირკულარმა კერძოთ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოწინააღმდეგე კონსერვატიული კონომისტების ბანაკში. საყურადღებო ისაა, რომ ეს გაუბატონები გაიძახიან: «შრამა თავისუფალი იყო; სასულდო შრამისა და კანტაღის შრამის მომსაღრ კონფედერატიონი არ უნდა ერეოდესო. ეს გარემოება შეამცირებს საფრანგეთის სავაჭრო ძალას და ფრანგები დასაგრულ-დასებნებულნი იქნებიან მსოფლიო ბაზარზეო. ესეც არ იყო, როგორ შეიძლება ძალით შესულად ადამიანის უფლება, რომელსაც სურს რვა საათზე მეტი იმუშაოს» და სხვა ამ გვარ ნიანგის ცრემლებსა ღვრან „შრომის თავისუფლებაზე“ ეს გაუბატონები. მაგრამ ზელტანი ჯერ აინუნშიაც არ დებულან ამ დღადს. ის შტიტეტად ადგას თავის გადაწყვეტილებაზე მან თამამთ უთხრა ერთ ჟურნალისტს: ცდამ დამარწმუნა, რომ მუშები რვა საათის განმავლობაში იმდენსავე მუშაობენ, რამდენსაც ცხრა საათში. ზელტანის აზრით შრამის დროს შემცირება მშრამული საღისის გონებრივი და ფიზიკური ძალების გაუმჯობესება-ადრძობისა გამოიწვევსო. ამასთანავე სასმელებისადრ დაუწყებენ სმას ისე ძლიერ, ვინაიდან მეტისმეტი შრამისგან მოქსნულ-მოღუნებული სხეული თხოულანს ხელაფრთხილ ჯანზე მოყვანას. მაგრამ სასმელები ცუდათ მოქმედებენ მუშებსე და მათ შთამომავლობაზე. ამნაირათ გიგანის მხრივაც რომ ავიღოთ—რვა საათის საშუალო დღის დაკანება დიდ სარგებლობას მოუტანს საფრანგეთის ერის გაჯანმრთელებას.

მინისტრმა, მართლაც, საშუალო დღე შეამცირა, მაგრამ დღე-ური ქირა ისევე ძველი დატოვა. ზელტანმა ჟურნალისტს, სხვათა შორის, შეძვეტი შენიშნა: «დაჯერდით ჩემს მოწინააღმდეგეებში არ იციან, თუ რა შედეგი მოჰყვას ახალ ზეღანდაში შემოღებულ რვა საათის საშუალო დღეს? განა იქ ძირიან-ბუღისათ გადაბრუნდა მრეწველობა?—სრულიად არა!.. იქ რვა საათის მუშაობა მრეწველობის იმისთანა დარგებშიც კია შემოღებული, სადაც აუცილებლათ საჭიროა მთელი ცდ და თხი საათის განმავლობაში მუშაობა იყოს. მე რა მოხდა ამით? ის, რომ უაღაგოთ დარჩენილმა აუარებელმა საღისმა საშუალო იშოვა და ლუკმა-ბური გაიჩინა!!»

გოლანდია. გოლანდიის დედა-ქალაქ ამსტერდამში ამ უამათ რკინის გზის მუშებს, მაშინისტებს და ცეცხლის შემკეთებლებს (კაჩეგრებს) დიდი გაფიცვა აქვთ გამართული; საქალაქო ტრამვაის მოსამსახურეებიც გაფიცულებს მიემსრენ. ყოველი მისულა-მოსულა ამსტერდამში მოსზობილია. რკინის გზის სადგურებსე ყველგან დიდ-ძალი საქანელია მოგროვილი. ეს საქანელი ინდოეთშია უნდა გაიგზავნოს გემებით, მაგრამ ნავთ-სადგურებამდე გულარ ჩაუტანიათ. ბელგასა და საფრანგეთს მიმავალი რკინის გზის მატარებლები ცოტას იგვიანებენ, მაგრამ გერმანიაში მიმავლები კი მთელ საათს იგვიანებენ. გასუტები ავტომობილებით მიაქვთ პოლიციებში. ამბობენ, რომ ამსტერდამის ცხენოსანი ჯარის რაზმი გამოგზავნეს ამსტერდამში რკინის გზით, მაგრამ მატარებლის მაშინისტმა უარი თქვა სადგურ ამერსფორტში: ამას იქით აღარ წავივან მატარებელსო; რაზმი იძულებული იყო ცხენებით წასულიყო ამსტერდამში. აქური ხალხი ძლიერ აღელვებულა. ეღიან, რომ ყველა რკინის გზებისა და ტრამვაიების მუშები საყოველთაო გაფიცვას მოახდენენ, გაფიცვა მთელს გოლანდიას მოკლება და გაფიცულთა რიცხვი 17 ათასამდე ავა.

აქეთური-იქითური.
(ფელეტონი).

ვერიკა, ბ-ნო რედაქტორო!..
ოლონც ნუ იქნებით გულ-ზეიადი, როგორც სილოვანი, მიუღღამელი,—როგორც „გარეშე“, აჩქარებული,—როგორც

ზანგი, უღმობელი,—როგორც საბრემოთ წარდგენილ პაესების დამფასებელი კომისია, დაუღვარი,—როგორც ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, როგორც „ივერიელები“ და ამ ნახევარ საათში თი საათის შემდეგ მაინც უეჭველათ გაახლებთ ფელეტონსა.*)

რა ექნა, ბატონო, ყურთა-სმენა აღარ არის,—ეს ქიათურაა, თუ რალაცა ჯოჯოხეთი, სწორეთ თფლის გუდათ გადაიქცა! ეს ორი-სამი კვირაა მთელი ჩვენი გაზეფობა შავი-ქვის შესახებ „პო-არაობას“ უნდება და სხვა აღარა ისმისრა. შავი-ქვა, შავი-ქვა! ძველათ წყველა იყო ეს სიტყვა და ახლა კი მძველათ გახდომია უმრავლესობას!.. ოხ, ნეტა პოეტი მაინც ვიყო, რომ უშველებელი „ქიათურიადა“ დავწერო, რახან მეტი საქმე აღარა გვექონია!..

მართალი მოგახსენოთ საუცხოვო სურათები კი მხატვება თვალ-წინ, რალაც „უღმო, ჰაეროვანი, ზეფიროსანი და ტკბილ-სანეტარო“ სიუჟეტი მელანდება, მაგრამ ჩემი უბედურება ის არის, რომ ამ „ჰაეროვანის“ სიუჟეტისათვის ვერ ჩამივლია ყურში ხელი და რითმების უღელში ვერ შემობავს.

ვნებდავ მაგალითად აი ამისთანა სურათებს:

სურათი პირველი.

სცენაა. აქა-იქა სდგას მაულებით დაფენილი მაგიდებო. მაგიდებს ხალხი შემოსხდომია. მარტო ბ-ნი ზდანოვიჩი სდგას ფეხზე და თავსა მართლულობს. ლაპარაკის დროს რისხვით შეპყურებს ქანდარას,—ლიმილით—პარტერს. ქანდარაზე მსხდომნი, გალიაში დამწყვდეულ ვეფხვებივით გმინავენ, პარტერში და ლოკებში მყოფნი კი სიამოვნებით შესციცინებენ ბ-ნ ზდანოვიჩს, ტაში მოუწზადებიათ და სიტყვის ვათაფებას მოუთმენლათ მოელიან.

აი, გაათავა ლაპარაკი, ბ-ნმა ზდანოვიჩმა. უკანასკნელი საყვედურის სიტყვა გულ-მოსულათ სტყორცნა ქანდარას და იქ მყოფნი თვალთ გაჰვმირა... ლოკებს (სადაც ქალები სხედან) მოწყალე ღიმილი უთავაზა, ხოლო პარტერს მინისტრულათ შემოავლო თვალი. ჩადგა ქარი, მაგრამ კორიანტელი სწორეთ ახლა დიწყო. იქ, ქუთაისის თეატრში, პარტერმა ტაში დაჰკრა, თფლისში კი „ცნობის ფურცელმა“ ლეკური დაუარა და „კვალს“ ნიშნი მოუგო—ჰჰ! გაიგონე რა თქვა ბ-ნმა ზდანოვიჩმაო? მაგისთანა კაცის წინააღმდეგ გალაშქრება «განა ჩვენი ჩვეულებრივი უბედურება არ არის? ვინა ხართ თქვენ, მებრძოლონო, და რა გინდათ ჯერ კიდევ ნორჩ თკით-მართველობისაგანო?! (.,ც. ფ.“. № 2053).

*) ჩვენმა შენიშვნამ ბ-ნ სილოვანის გულზვიადობის გამო (იხ. „კვალი“ № 3, ფელ. აქეთ.-იქით.) მთელი პასუხი გსმოიწვია. (იხ. „ცნ. ფ.“. № 2049). ვწუხვარ, რომ პატივცემულ პოეტს წანაკითხის აზრი ვერ გაუგია და ოცობოცოს ედება. რაც შეეხება მისგან ენის დაწუნებას, თავმდაბლათ მოვახსენებ ბ-ნ სილოვანს, რომ მე ქართული ენა შესწავლილი მაქვს ი. ჭავჭავაძისა, აკაკისა, ს. მგალობლიშვილისა და ნ. ლომაურისაგან (ხალხს რომ თავი დავანებოთ) და ნურას უკაცრავათ ვიქნები მასთან, თუ რომ ესენი უფრო ენის ცოდნის მხრივ მეტ ავტორიტეტებაა მიმაჩნია.

ტყუილათ შეწუხებულა ბ-ნი სილოვანი, და მყვედრით სხვადასხვა ფორმის ხმარებას. ეს ფორმები ყველა კანონიერა და იხმარება იმის მიხედვით, თუ სად რომელი ფორმა მოუხდება. იმის შენიშვნიდან მარტო ერთ სიტყვას ვიღებ „გაუქნეთ“ და ესეც შემთხვევით შეპარულა ჩემ წერილში. (ბევრგან კორექტურული შეცდომაცაა).

ს უ რ ა თ ი მ ე ლ რ ე .

„ცნობის ფურცელი“ გაიბურთავა კვალელის სიტყვა კორიანტელი დააყენა და ქუთაისამდის ყვირილით ჩაიქრა. ბ-ნ ზდანიოვის სიბრაზისაგან ფერი ეცვალა. პარტერმა ბორგვა დაიწყო. ამ დროს წამოდგება ბ. კიჭა აბაშიძე, გულ-ხელ დაიკრევს და ტიჩილით შესძახებს: ბატონებო ბოდიში მოვიხადოთ ბ-ნი ზდანიოვისა და თავმჯდომარის წინაშე, კვალელის „ДИКАЯ ВЫХОДКА“-ს გამო. ბატონებო, ბოდიში მეთქი, ბოდიში!.. ჯვარს აცვიოთ, ჯვარს აცვიოთ ეგ მოლალატე... ეგ ხომ მოლალატეა, მაგრამ მაგახე დიდი მოლალატე ანდრია ერისთავია—ზარით მოსთქვამს ბ. ჯაფარაშვილი: ვაი, ვაი, ციხე შიგნიდან გატყდა, შიგნიდან, ღრიალებს ბ—ჯაფარაშვილი და დაწვებს იხიკავს. დარბაზი ქვითინებს, ქანდარა ხარხარებს, ცნობის ფურცელი კოწიაწობს, „ივერია“ უღვაშებ ქვეშ ილიმება და „კვალი“ კი სწუხს რომ „ფართო შუბლიანები“ (ცნობის ფურცლის სასიამოთ ვხმარობ) უდიერათ უკიეინებენ სხვას — გამცემლობასა რ ბოროტებას, მაშინ როდესაც საქმის ნამდვილ გულშემატკივრობაზე რმდენათ შორს არიან, როგორც ცა დედამიწისაგან... ოხ, შე ოხერო მუხა სადა ხარ ახლა? კიდევ მებატება თვალ წინ სხვა სურათიც, მაგრამ, ჩემო მკითხველო მე და შენ ამ ორომ-ტრილით არა გვერგება რა. ჩვენ, როგორც ღობე დაბალნი, ყოველთვის დავიწყებულნი ვიქნებით თბილ-ალაგებიან და მრავალ-სიტყვივან განცხრომის ძეთაგან, ისევ ჩვენ თავზე ვიფიქროთ.

* *

არ ვიცი ჩემო მკითხველო, შენ როგორ გაატარე ეს კვირა, მაგრამ მე ვერაფერი ცხოვრება მქონდა. როგორც ბ-ნმა ზდანიოვიჩმა არ მიაკრა ყურით თავისი დამქაშები ბ-ნ ცეცხლის მიგდას, ისე მე ამ წყევლმა ინფლ უენციამ წამადლო ყურში ხელი, მინსვა ჩემის ბინის კუთხეში განურკლ დუმელთან და მიბრძანა: „აქ ვხარე, გარეთ არ გაიხედო და იმდენი იოცნებე, ვიდრე თავს-ბრუ არ დავესხმოდესო“!..

მეც, ყურ-მოჭრილი მონა ჩემის ბატონისა, ვიჯექ მთელი დღე სახლში და ვყლაპავდი ბოლს, რომელიც „ჟამითი ჟამად“ (პლგბსის ტერმინი გახლავთ) გამოიჭრებოდა ხოლმე ღუმელის კარებიდან.

ოხ, ეს უღმერთო სახლის პატრონები! როგორც კი დრო მოვა ქირის გადახდისა, ასასივით დამადგება ხოლმე თავზე, თითქოს ბოლის ყლაპვაში ვინდიდე ფულს!.. ეხ, რა კარგია დიდ-კაცობა, ჩინი და ტემლაკები! ჯერ ერთი, რომ სახლის პატრონი ასე უდიერათ არ მომექცევიდა, მეორეც ერთი პირველ მოთხოვნილებსამებრ, თუ არ შეაკეთებდა ღუმელს, წავავლებდი კისერში ხელს, შევუყოფდი ღუმელში თავსა და დავჭყვივლებდი „დასტკი გიჟო“ და გაიგე, რამდენათ „И дымъ отечества намъ сладокъ и пріятень“ მეთქი! *) მაგრამ ხათაისა, რომ „დიდკაცობას“ ბარემ ხუთმეტოდე წყრთა მიკლია და ამ ოხერის ინფლუენციის მეოხებით ხომ ხმაც კი ვერ ამოვიღია, არამც თუ დავავლო ხელი ჩემ სახლის-პატრონს და ბუხარში შევუკეთო.

— დაიცა, განასე, ლიახვო, დავხვევოდენ კოლოებიო! დამუქრა ერთხელ ერთი კაცი აღიდებულ ლიახვს. დაიცადეთ, თქვენც ჩვენო სახლის ხარბო პატრონებო. ერთი დღე იქნება, რომ გონზე მოსულნი მდგმურნი ბოლოს მოულებენ თქვენ მსუნაგობასა! ცეცხლათ გექცეთ ჩვენი ნაოფლარი! იცი რამდენი ღამე გავათენე, რამდენი სიმწარე გამოვიარე,

*) სამშობლოს ბოლიც კი ტკბილი და სასიამოვნოაო- ჰუშკინი.

ვიდრე გროშს გროშზე დავადებდი და შენ თვით ქირას გადავიხდიდი?!... მაგრამ ან კი რა გეკითხება? სახლი შენია და ბატონიც დღეს შენა ხარ, განა? **ეროვნული გიგლიოთიქა**

* *

ვერაფერი გულშემეტკივარი პატრონები, ანუ როგორც საზოგადოთ ეძახიან „მამები“—აღმოსჩენია ქ. ბათუმსაც. ამ პატივცემულ „მამებს“ ძალიან ყვარებიანთ დუმილი და ყურის მოყრუება მაშინაც კი, როდესაც საქმე მათ პირდაპირ მოვალეობას შეეჩება.

20 იანვარს, ბათუმის მოურავს თ-დ ანდრონიკაშვილს წარუდგენია საბჭოსათვის საყურადღებო ნოხსენება ბათუმის რუსეთთან შეერთების 25 წლ. აღსანიშნავათ სახალხო სახლი და თავშესაფარი ავაგოთ, რაშიაც იმედია აქაური კაპიტალისტებიც დაგვეხმარებიანო. მერე როგორ მიგებებიან ამ საშვილიშვილო საქმეს? „რადგან ომხ მოწინაიღმდეგეთა გარდა ყველანი მქვერმეტყველურათ სდუმდენო—სწერს ბათუმელი კორესპონდენტი—ეს წინადადება უარყოფილ იქნაო!.. ნუთუ იმიტომ ამოირჩიეს ხმოსნებათ, რომ უხმოთ ემსახურონ ქალაქსა? **სამაგიეროთ მოკლე და მკაფიო ლაპარაკი 'სკოდნია**

* *

საპრემიოთ წარდგენილ პიესების დამფასებელ კომისიას. 18—19 პიესაში ერთიც არ იცნო პრემიის ღირსათ. „წაიღეთ უკანვე თქვენი პიესები, არ ვარგანანო“. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ნუთუ მოვალე არ იყო პატივცემული კომისია ამასთანავე გამოეცხადებინა: რამდენი კაცი ესწრობოდა ხოლმე კრებებს, ყველანი ესმენდენ თუ არა პიესებს ბოლომდის, რა საზომი და ან რა გულწოდგინება გამოიჩინეს? თფილისში მყოფმა ქარსევიმა ლიტერატორებმა ყველამ იცის რა დარკისაც იყო პატივცემულ კომისიის მოღვაწეობა, იციან ვინც იყვენ დამფასებლებიც, მაგრამ ეს არ იციან თფილისს გარეშე მყოფთ და ამგვარის განაჩენით შეიძლება სამუდამოთ გული წაუხდინონ ახალგაზდა მწერლებს. ბატონებო, ნუთუ 19 ახალ და ორიგინალურ პიესაში ერთი მაინც არ ვრია იმ ყოვლად და უფერულ პიესებზე უკეთესი, რომლებიც არა ერთი და ორი იდგმის ჩვენ დიდ სცენაზე?.. მაგრამ ვაი თუ ფაფით შეშინებულნი, დოს უბერავდენ!?!..

* *


ღიახ, კარგი „სიორცხილი“ აქამეს ჩვენ დრამატურგებს, მაგრამ ნაკლები „ოინი“ არც „აბოზიცისას“ მოუვიდა! ბ-ნი ზდანიოვიჩ ისევ გაათეთრეს! ა, აიკრიფეთ გულა-ნაზადი სიმართლის მკვედრო! განა არ იცოდით, რომ ჩვენში ვინც ერთხელ დასკუბნებულა საქმის სათავეში, იმისი დამგრა ძნელია? განა ჩვენში ბევრია იმისთანა მოქალაქე, რომ საზოგადო საქმე არ ანაცვალოს პირად ინტერესებს?!..

ი. მარჯანიძე.

ლ ო თ ი .

თავ-ფეხშიშველი, გახვეული ძველ ფარაჯაში და სუმთლათ სახე დალურჯებულ-გასივებული... სამიკიტნოში მარტოთმარტო, უამხანაგოთ, იჯდა თავისთვის მაგიდასთან გაბრუებული.

წინ ედგა ბოთლი შხამიანი არაყით სავსე, სვამდა და თანვე სულელურათ ილიმებოდა... ხან სევდიანათ იმღეროდა ხრინწიანი ხმით, ხან ოცნებობდა, ხან კი ურცხვათ იგინებოდა!..



— რატომ სვამ მუდამ?.. რათ იხრჩობი ამ საწამლავეში?
 ვკითხე მე იმას მისი ნახვით აღშფოთებულმა.
 იმან ჯერ ზიზღით შემომხედდა, შემომიკურთხა
 და მერე კი ეს მიპასუხა ცრემლ-მორცეულმა:

რატომ ვსვამ მუდამ? კითხე ჩვენსა დუხჭირ ცხოვრებას,
 ამის მიზეზი იმის გულში ღრმათა მარხია:
 მან, ჯერ კვლავ ვაჟაკს, ეს შემომძღვნა, ეს მიწყალობა
 და, როგორც ხედავ, ახლა ზედ შავ ლაქათ მაცხია!

—
 ოხ, ვერ გავუძეღვ, ვერა, მუდამ სიცივეს, შიმშილსა,
 ვერ ავიტანე მუდამ ტანჯვა, მუდამ წვალება...
 და „ბილატეს ცრემლს“ დაფუძოყვრი, დაფუძეგობრი,
 რომ შიგ ჩავხრჩო სევდა, დარდი და მწუხარება!..“

—
 და კვლავ აიღო ხელში ჭიქა არაყით სავსე,
 უცბათ გადაკრა, ცარიელი დაიდგა წინა...
 მერე კი იქვე მაგიდაზე დაეყრდნო თავით
 და, სიმთვარისგან თავბრუდასხმულს, ღრმით ჩაეძინა!

—
 მაგრამ, საბრალო, ძილშიაც კი ვერ ისვენებდა:
 ხან შეკრთებოდა, ხან სახარლათ დაიკენესებდა,
 ხან, თითქო ღრღნიდა გულის მქეჯნავ სევდას და დარდსა,
 კბილებს ღონიერათ აღრჭიალებ-აკრაჭუნებდა!
 ვ. რუხაძე.

ერთგული დედა.

(გაგრაქელჯან.—ის. „ქვალი“ № 5).

ნუთუ მეტი სიბრძნეული არა გაქვს ჩემი ოჯახისადმი
 კირილკა? იმ შენ ბატონს რა ენადღელება ჩემი ოჯახის ავ-
 კარგი, ფულები ბლომათ აქვს, დროებას გაატარებს და ერ-
 თი თვის შემდეგ თავის გზაზე გასწევს, მაგრამ შენ ხომ ჩვენ-
 თან შეზრდილი, ჩვენი მეზობელი ხარ.

— მაპატიე, მოხუცო, ღმერთმანი მე არ მინდოდა, უარი
 ვუთხარი, მაგრამ იმან ისე გადმოიბღვირა, რომ შიშისაგან კი-
 ნალამ გავთავდი. ხო ხედავ დიდი კაცია. მომიდებდა უმიზე-
 ზოთ რაიმე შარს, დამაბეზლებდა ფოკინთან და ის როგორ
 გამამათრახებდა ეს შენც კარგათ იცი, ისიც ხომ დიდკაცების
 ქომაგია ყველაფერში.

ამ ამბის ოთხი დღის შემდეგ მოხუცი ივანოვნა სასამარ-
 თლოში დაიბარეს, საცა ოჯახის მოსისხლე მტერი, სიძე—
 ღრიცკოც იქ დაუხვდა, რომელსაც მამასახლისთან რაღაცა
 გაცხარებული საიდუმლო ლაპარაკი ქონდა.

ბებერო! მიმართა მწყურლათ ფოკინმა, შენ შენი საქცი-
 ელით იძულებულ მყოფ საზოგადო სახლი სხვაგან დავიჭი-
 რო.

— რისთვის, რა დამიშავებია? უპასუხა გაკვირვებულმა
 ივანოვნამ.

— რა და ის, რომ შენის მეოხებით იქ კაცს სული ვერ
 მოუბრუნებია თავისუფლათ. უპასუხა ფოკინმა ხმის ამალღე-
 ბით.

ივანოვნას უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ მამასახლისმა
 დრცნით შეაჩერა. არ გაბედო სიტყვის შემობრუნება. კარგათ
 გიცნობთ რაც შეილები ბრძანდებით. სულელები, ეს სულე-
 ლები!

ივანოვნა მიხედა, რომ დუბონოსოვის დაბეზლებული
 იყო, მაგრამ ფოკინთან რაღა ხმა ამოეღებოდა.

ამისათვის დამიბარეთ?

— მოიცა კიდევ, არის საქმე.

ივანოვნა ცოტათი შეკრთა და თვისდა უნებურათ სიძეს
 გადახვდა. ის კი იჯდა არხენათ და ცბიერათ უღვაშებს იგ-
 რებდა.

— კიდევ რა საქმე გაქვთ, ბატონო, ჩემბაძე...
 აი შენ სიძეს აქვს შენთან მოსალაპარაკებელი. ხომ იცი
 რომ ის სახლი მართო შენ არ გეკუთვნის. მოილაპარაკეთ და
 პირველათ და უკანასკნელათ მორიგდით.

— რა მაქვს, ბატონო მამასახლისო მაგ გაიძვერასთან მო-
 სარიგებელი? რა მმართვეს მაგისი?

— ნუ ტოკავ ბებერო, ნუ! გამართებს, გამართებს და ათ-
 ასჯერ გამართებს.

— დამიმტკიცოს, დამიმტკიცოს... მთელი სოფელია მო-
 წმეა, რომ მაგის მეოხებით ჩემი სიცოცხლე მოწამლულია.

დაგავიწყდა უმადურო, როგორ გემსახურობდი ორივე ცოლ-
 ქმარს ჩემი ნიკანორის დავაჟაკებამდე? მიმართა ღრიცკოს.
 განა არ იციო, ბატონებო, მადლობას როგორ მიხდიდა ეს ვაჟ-
 ბატონი? ამ სცენის დროს მოხუცი ატირდა.

— შეილებო, მეზობლებო, ძმებო! მაკის მუშტებისაგან
 გვერდები სულ ჩამტვრეული მაქვს და ეხლა კი ერთათ ერთ
 მარჩენალ ქოხმხსაც მაცლის ხელიდან?

ამ დროს მოთმინებიდან გამოსული ღრიცკო წამოდგა,
 აიმართა წელში და მორთო ღრიადი.

დედაბერო! პირველათ და უკანასკნელათ გეუბნები,
 რომ თუ ამ სამდღეში, ე. ი. ხუთშაბათ საღამოს ათ თუმანს
 არ ჩამაბარებ, ის სახლი აი ამ საბუთის ძალით (რაღაც ქა-
 ლადი ამოიღო ჯიბიდან) სრული ჩემი საკუთრება გახდება.
 მიხეილ ვეფხიშვილი! გეთაყვა ერთი წაუკითხე ჩემი ცხოვრული
 სიმამრის დეტოვებული ბარათი.

ფოკინმა მართლა წაუკითხა ივანოვნას ქმრის ბარათი,
 რომელიც ვიფოთ თავის ერთათ-ერთ სახლს და კარ-მიდამოს
 უფროს ქალიშვილს, ნადიას, და მის ქმარს ღრიცკოს უტო-
 ვებდა.

უბედურ ივანოვნას თავხარი დაეცა და მორთო სასა-
 მართლოში გულ-საკლავი ქვითინი.

ეს პადლოგია. ეს ავაზაკობაა! სიმთვარის დროს გამო-
 სტყუებდა ეს უღმერთო ჩემს ქმარს ამ ბარათს.

კიდევ ბევრი ილაპარაკა ღრიცკოს სიდედრმა, მაგრამ
 არავითარი თხოვნა-მუდარა არ მოქმედებდნ ამ გულ-ქვა ადა-
 მიანების გაყინულ გრძნობაზე. დაბრუნდა უბედური სახლში
 და გულ ჩათუთქული დავარდა ძველ ფიცრის ტახტზე, და
 მიეცა მწარე საგონებელს.

რა უნდა ვქნა, ვინ მიშველის, ვინ დამიხსნის ჩემ საწყალ
 ოჯახს გაჭირვებიდან? აზოდენა ფულს ვინ მასესხებს? ან ვის
 მოეძევება ათი თუმანი გლახებში? მიხსენ, უფალო, ამ გაჭი-
 რვებიდან.

ამ ფიქრში მყოფმა სცადა მდიდარი ბეითლისთვის მიე-
 მართნა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

ათ თუმანს კი არა ათ კაპ. არ გასესხებ, ისეთი საქმე
 დამმართეო. და გულში გაეხარდა კიდევ, რომ ნიშნის მოგე-
 ბის შემთხვევა მიეცა.

საღამომდე ივანოვნა სულ ციბრუტყვით ტრიალებდა,
 ოხრავდა, გმინავდა, დარდისაგან გულმოკლულს მთელი დღე
 გამხმარი პურის ნატეხიც კი არ ჩაუღვია პირში. ამ ახალმა,
 მაგრამ ფრიად აუტანელმა დარდმა შეშლილს დაამსგავსა. ისე
 რთული იყო მისი გაჭირვება, რომ მოხუცი რამდენიმე საა-
 თის განმავლობაში სულ ერთიან მიიღულა და მიიბნა. შე-
 ბინდებისას მდგმურს ჩაი მიაართვა, კუთხეში ჩამოკიდებულ
 გამქვარტლულ ხატს წყვილი სანთელი აუნთო, დაიჩოქა და
 მოყვა ლოცვას. რა კარგათ შებინდდა, სედლა წავიდა. და-
 მის თერთმეტი საათი იქნებოდა, რა დაბრუნდა და დუნია-

შაც თან მოიყვანა. დილით ზამთრის მზის შუქმა დუბანოს-ვის დახუჭულ თვალებს მიანათა და მიაცხუნა, რისგანაც უკანასკნელმა თვალები გააჭყიტა.

ასისტავს კირილკას დილის ხუთ საათზე გაეხურებია ოთახი, გაეშალა თავის ძველი ქურქი მოგუგუნე ბუხრის წინ და ტკბილათ ხვრინავდა. გამოღვიძებულმა ბეითაღმა რომ ეს დაინახა, ზიზლით წამოიძახა. ოხ რა პირუტყვია, რა გასა-როზგია ეს ვირი.

ასისტავო!

საწყალი კირილკა დაფეთებული წამოიჭრა და შემინე-ბული ფრონტში გაშეშდა.

ეგხ, შე ზარმაცო შენა; მიძინარა!

დამნაშავე ვარ, თქვენო კეთილშობილებავ!

შემოიტა პირსაბანი წყალი.

ამ საათში.

საქონლის ექიმმა ერთი-ორი ლაზათიანათ გაიზმორა ლოგინში და ზღაზვნათ წამოდგა. ტანთ ჩაიცვა, პირ უბანე-ლა ბუხართან მიჯდა და პაპიროსი გააჩაღა.

კიდევ ერთი სამი კვირა და მოგკურცხლავ ქალაქისკენ, გამოვალ კიდევ სახელმწიფო სამსახურიდან, თორემ კიდევ მიკრავენ სადმე ჯურღმულში თავს. ტყვილა მარწმუნებ-დენ ამხანაგები: ასეთია, ისეთია სოფელი, ქალებსაც ბევრს იშოვი და ყველაფერსო, მაგრა ეჰ, ВСЕ ЭТО ВРАНЫЕ ამ ფიქ-რებში რომ იყო ახალგაზრდა კაცი, გაიღო უკანა კარები და ერთმა ფრად ლამაზმა და ქარხალივით წამოწითლებულმა ყმაწვილმა ქალმა შემოიტანა ტასტი და პირსაბანი წყალი. ამ მოულოდნელობამ ბეითაღი ძლიერ გააკვირვა და დროებით მიძინებულმა პირუტყულმა ჟინმა ისე გაუთბო, აუთამაშა ძარ-ღვები, რომ საცოდავს კანკალიც კი დააწყებია.

შენ ვინა ხარ, ჩემო ძვირფასო?—კითხა უკვე აცეტებულ-მა ბეითაღმა.

მე ივანოვნას რძალი ვარ, ბატონო.

ივანოვნას რძალი? ჰჰმ...—და ისე დააცქერდა, ისე, ისე, რომ გეგონებოდათ ეს არის, ეცემა და ტუჩებს სულ ამო-ქამსო.

პირი დაიბანა, თმა და წვერი დაივარცხნა, დუხები მი-ისხ-მოისხა თმაზე, პირის-სახეზე და უღვაშებზე; სიგარაც გა-აბოლა, და რაღაც უშნოთ ატლინკდა, ღელღვებოდა დე-დალ თან მორუკრუკე მამლივით. რაც უფრო ახლოვდებოდა ბინდი, მით უფრო გიჟდებოდა, იმ დღეს სადილიც კი არ უქამია ხეირიანათ, ივანოვნას ოთახში ხშირ-ხშირათ მოდიო-და, ვითომ ასისტავს ვეძებო, გადაავლებდა ახალგაზრდა დუ-ნიას თვალს და აცუნცრუკებული თავის ოთახში ბრუნ-დებოდა.

აახ, რა ჩასაკნატუნებელია ეს შეჩვენებული დედაკაცი!

ნეტავი ერთი ეს ჩამავდებინა ხელში და მე და ჩემმა ღმერთმა ერთ ორ თუმანს ვაჩუქებო.

ჩაის შემდეგ პან პოპლავსკისთან წავიდა ქალაქის სა-თამაშოთ და გასართობათ, შინ დაბრუნდა შეზარხოშებული ლამის თორმეტ საათზე, ბუხარი ისევ აგუგუნებული დაუხე-და, ძილი სრულგებით არ ეკარებოდა, ისე იყო ეშხში მოსუ-ლი, რომ ღიღინიც კი დაიწყა.

მიუყარს მე მინდურის ეგავიდი,

მიუყარს მარუსკას თვალები და სხვა.

ესა სთქვა თუ არა გაიღო, მოულოდნელად ნახევრად უკანა კარები და მოისმა ჩაწყვეტილი და რაღაც საშიშარი საიდუმლოებით საცხე ხმა:

— იმ ვილაც მარუსკას თვალების მაგიერ ჩემი დუნიას თვალები შეიყვარეთო და ისევ მიხურა კარები.

შემკრთალი ბეითაღი წამოიჭრა ზეზე და გარცეხულმა წამოიძახა: ღმერთო ჩემო!

— ეს რას ნიშნავს!

მიმოიხედა გარშემო, და ყველაფერი მღუმარებდა სამა-რისებურ სიჩუმეს მოეცვა იქაურობა. იმ კარებისკენ, საი-დანაც გააგონა უცნობი ხმა, ვერ ბედავდა მიხედვას.

— მიპასუხეთ, თანახმა ხართ?

მოისმა ისევ ის საიდუმლო ხმა:

— ეს ხმა... ნუ თუ ივანოვნაა?

და ბარბაცით თავის კრაოტთან მივიდა და გაშეშდა. იმ კარებს თვალს არ აშორებდა.

— ბატონო ექიმო, არ ცნებავთ ლამაზი ქალი?

— ის არის, ის, ნუთუ არ ხუმრობს!

ნუთუ ის ბურთივით მრგვალი დუნიასა ჩემი გახდება? და ძალზე აღელვებულმა გაბედა და ბებერ დიასახლისს კა-რები დაუკაკუნა მოუთმენლათ.

— ივანოვნა, აქ გამო ღვთის გულისათვის.

ამ დროს იქ უკანა ოთახში რაღაც არაჩვეულებრივი კენესა და ჩურჩული ისმოდა, რომელსაც ზედ დაერთო დე-და კაცის ჩუმი და ყრუ ქვითინი.

— ივანოვნა! ივანოვნა! სადა ხარ ამდენ ხანს, გადასძახა მოთმინებიდან გამოსულმა მოხელემ.

გაიღო კარები და შემოვიდა ბებერი დიასახლისი მოწ-ყენილი სახით. მისი თვალები, მისი დაბრანქული სახე შემ-ლილის შთაბეჭდილებას ახდენდა. გამოვიდა თუ არა, კარები ისევ მიხურა, გულხელ-დაკრეფილი მიეყრდნო კედელს და გაშეშდა.

— დუბონოსოვი მივარდა, სტაცა ხელებში ხელი და მაგრად მოუჭირა.

— მაშ შენ არ ხუმრობ? მაშ ის მართლა ჩემი საყ...

— იმ პირობითი თუ ვხლავე ათ თუმანს დამითვლი.

— რას როშავ, ბებერო, ათი თუმანი ბევრია, სადა მაქვს ათი თუმანი.

არა გაქვს და არც მე მყავს თქვენთვის ქალი.

— ოჰ რა გაიძვერა რამა ყოფილხარ მე და ჩემმა ღმერ-თმა, სად გაგონილა, რომ სოფლის გომბიოში ათ თუმანს თხოულობდენ. ქალწული, რომ იყოს კიდევ ჰო, მაგრამ...

ამ სიტყვებმა ბებერი დიასახლისი მოთმინებიდან გამოიყ-ვანა და გაათრებულმა მიახალა:

— ოჰ, თქვე უნამუსოებო, თქვენ უღმერთოებო, რომ არ მიჭირდეს, ჩემი ნაამაგდარი სახლ-კარი რომ არ მეღუპე-ბოდეს, განა ამ სიბერის ხანს ჩავიდენდი ამ სისამაღლეს, თქვე-ნი ოხრად დასარჩენი ათი თუმანის გულისთენ? დამცინეთ და იხარხარეთ ჩემზე, რომ მე ნიკანორ კუდრიავეცვის ერთგული დედა ოთხი თვის მოყვანილ რძალს უსირცხვილოდ ვაჭირა-ვებ ათ თუმანში, ჩემს ერთად ერთ მარჩენალ შვილს ვატ-ყუებ, ვლაღატობ, ყელსა ვსჭრიო, დაამთავრა ქვითინით ნი-კანორის დედამ.

ტრ. რამიშვილი.

(დასასრული იქნება)

ჩ ე მ ს ს ა თ ა მ ვ ა ნ ო ს .

ტახტათ გიდგამ გულს,

შენთვის დადაგულს,

ექვრეტ რა შენს სახეს, სხივ-მომთინარეს,

და გწირავ მსხვერპლათ,

აღმამფრენ ეტლათ

გრძნობას ნაკადათ აღმომდინარეს.

ვღვამ საკუთხვევლს,
 და ზედ საკმეველს
 კრძალით მოგიძღვნი ჩემსა ღვთაებას
 და მსურს სიცოცხლე
 ჩემი ხანმოკლე
 ზედ დავალიო შენს სასოებას...


—
 ძალი გამეხსნა,
 მომეცა მე ხსნა,
 ოდეს გიხილე სხივ-ფეროვანი,
 და სრულ სავსება,
 შენი არსება
 თვალწინ მიდგია ჰაეროვანი,
 ვარდის ელფერი,
 გუნდრუკ-ეთერი
 შენში ვიპოვე შეერთებული...
 მაშ, ვაკვანოს
 ჩემს სათაყვანოს
 გული და გრძობა აზვირთებული!
 აწ ამას ვსურვი—
 მომცე დასტური,
 რომ გული ჩემი მარად გმონებდეს
 და სხივი შენი,
 ქვეყნის მაშვენი
 გულ-ხელკრფელისაც მაღისკროვნებდეს!..
 დ. თამაშვილი.

საყურადღებო კითხვის უწყურადღებოთ დატოვება

(შავი ქვის მრეწველთა კრებაზე).

ქიათურის შავი ქვის მრეწველებს წესათ დაუდგიათ და თავიანთ, თუმცა არა სასიამოვნო, მაგრამ აუცილებელ მოვალეობათ კი მიუჩნევიან, რომ ყოველ თავიანთ კრებაზე, ბევრი თუ არა ცოტა მაინც, მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზედაც ილაპარაკონ და ამ წესს მათ არც წლევანდელ კრებაზე გადაუხვიეს. პირველათ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ მოხსენება წაიკითხა ბ. ცერცვაძემ, რომელიც ამტკიცებს, რომ მუშათა ფიზიკურ და ზნეობრივ-გონებრივ განვითარებას მწარმოებელთა ინტერესი მოითხოვს: განვითარებული და ჯანსაღი მუშა უფრო მეტ ხეიარს მისცემს თავის პატრონს, უფრო ნაყოფიერათ იმუშავებსო. ამიტომაც ქიათურის შავი ქვის მრეწველნი ასე ზრუნავენ(?) თავიანთ მუშებზე და უარსებენ მათ სხვადასხვა გვარ სასარგებლო დაწესებულებას: აბანოს, საკვირაო სკოლას, სამკითხველოს, თეატრს და სხვასო. მართალია, ბ-ნ ცერცვაძეს საჭიროთ არ უცვნი ადვარებია ის ყველასათვის ცხადი ფაქტი, რომ ყველა ეს დაწესებულება უმეტეს ნაწილათ მხოლოთ სახელით არსებობს, ხოლო საქმით კი თითქმის არავის არაფრათ არგია, მაგრამ სამაგიეროთ იმ ცხადზე უცხადეს ფაქტს კი ვეღარ მაღავს, რომ ქიათურის მუშები სწორეთ სულის შემზარავ პირობებში ცხოვრობენ: მათ ან სრულიათ არ გააჩნიათ თავშესაფარი—დასაძინებლათ ხშირათ გარეთ ეყრებიან პირდაპირ მიწაზე, ან და ცხოვრობენ ბნელ, ნოტიო და ვიწრო ბუნაგებში, სადაც 20 კაცზე ძლიეს 9 კუბიკური სავენი ჰაერი მოდის; იკვებებიან ცარიელი მქადით და თბილ საქმელს კი მხოლოთ სიზმარში თუ ქაშენ, მუშაობენ განუსაზღვრელათ, მეტათ შემავიწროებელ პირობებში და სხ. რაც უფრო წვრილია მწარმოებელი, მით უფრო შევიწროებულთ ყავს მუშა, ხოლო წვრილი მწარმოებელი კი შეად-

გენენ დიდ უმრავლესობას (67%-ს) და მომეტებულ მათგანს სულაც არავითარი სადგომი არ მოეპოვება მუშათათვის. სადგომების უქონლობის გამო ძალიან ხშირია მუშების გაცეცხება და ავთ გახდომა, ბ. ცერცვაძის აზრით, რაკ თვითველ მწარმოებლის მხრივ შეუძლებელი გამხდარა მუშათათვის შესაფერი სადგომების აგება, საჭიროა ამ საგანზე მწარმოებელთს საზოგადო ორგანომ—მათმა საბჭომ—იზრუნოს და აავოს მუშების საცხოვრებლათ იმოდენა კახარმები, რომლებშიაც მოთავსდეს 2,000—3,000—მუშამდე (რადგან სამთო მართველობის გამოანგარიშებით სწორეთ ამდენი მუშა იმყოფება ქიათურის მადნებზე წლის განმავლობაში); მომხსენებლის ვარაუდით ასეთი კახარმების გამართვას მოუწდება 48 ათას მანეთამდე ხარჯი, რომელიც, მისი წინადადებით, ისევ მწარმოებლებმა უნდა დაფარონ წვრილ-წვრილათ ფულის შეტანით 10 წლის განმავლობაში. ამას შეიცავს ცერცვაძის მოხსენების პირველი ნაწილი და კრება ჯერ ამ ნაწილის განხილვას შეუდგა. მწარმოებელი ცერცვაძის აზრს მუშათათვის კახარმების აგების შესახებ ვითომდა დიდი თანაგრძობით მიეგებენ, ყველამ ვემერიკის მეთაურობით ეს საგანი მეტათ საყურადღებო კითხვათ იცვენს, მაგრამ იმდენათ საყურადღებოთ კი, რომ მისი განხილვა... საჭიროთ არ დაინახეს, თუმცა ეს საჭიროება ყველასათვის აშკარა იყო, და ის იყო დადგინეს მივილოთ ცერცვაძის მოხსენება შეუცვლელათ და მისი განხორციელება საბჭოს მივანდოთო,—ჰო, ის იყო კრება თავიდან იზორიებდა ამ თავისთავათ მართლაც და ფრად საყურადღებო, მაგრამ კრებისთვის კი ფრადვე მოსაწყენ საგანზე ლაპარაკს, რომ უცებ... ჰოი, საკვირველებზე! საბჭოს მხრივ მედგარი პროტესტის ხმა მოისმა: ჩაგრულთა მეოხათ და მებრძოლათ ნამყოფმა საბჭოს სახელოვანმა თამჯდომარემ ბ. ზდანოვიჩმა ხმა-მახლა განაცხადა: ამ მართლაცდა ფრად სერიოზულ კითხვას განხილვაც სერიოზული განხილვა ეჭირვებაო და თავგამოდებით მოითხოვა ამ საგანზე კამათის გამართვა. და განა ეს ასეთი მისი მოთხოვნა იმას არ ამტკიცებს, რომ ბ-ნ ზდანოვიჩს ჯერ კიდევ არ გაციებია გული ჩაგრულ მოძმეთა მიმართ? რა ვუყოთ რომ ერთი მხრით ასეთი მოთხოვნით ის რეკლამას იკეთებდა: სულ საწყალ ხალხზე ვზრუნავო; ხოლო მეორე მხრით კი რა ვუყოთ, რომ ეს ვაჟბატონი ხსენებულ კითხვის განუხილველათ დატოვებას უფრო თავისთვის ცნობდა სახიფათოთ, ვინემ მუშათათვის, რადგან დარწმუნებული იყო, რომ, თუ ამ კითხვას კრება განუხილველათ დატოვებდა, მაშინ მას, ბ. ზდანოვიჩს, ამ საგანზე ბევრი ფიქრი და ზრუნვა დასჭირდებოდა და, თუმცა მას შემდეგშიაც კვლავინდებურათ შეუძლია თავი არ შეიწუხოს ასეთი ფიქრით, მაგრამ დღეს იგი უკვე რწმუნდება, რომ შემდეგშიაც კვლავინდებურათ იოლათ აღარ ჩაუვლის ასეთი დაუდევრობა. კრებამ ხათრი არ გაუტეხა თავის სათაყვანო კერპს, ბ-ნ ზდანოვიჩს და გაიმართა კამათი იმის შესახებ, 1) აშენდეს თუ არა, ან როგორ უნდა აშენდეს მუშებისათვის კახარმები და 2) რა ღონისძიებით უნდა დაიფაროს მათზე დახარჯული ფული. პირველ კითხვაზე კამათი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გამოდგა ისეთი ცხიველი, როგორც კამათი მეორე კითხვის შესახებ. მართალია, თითქმის არც ერთ ორატორს კახარმების აშენებაზე ისე ლაპარაკი არ დაუწყია, რომ პირველათ ეს საქმე „მეტათ საყურადღებო“ და „სერიოზულ“ საქმეთ არ აღეარებია, მაგრამ თვითველ მათგანს აშკარათ ეტყობოდა, რომ ამ საგანზე მხოლოთ ვალის მოსახდელათ და სინიღისის გასაწმენდათ ლაპარაკობდა, ხოლო კრების უმრავლესობას კი, ამ საგანზე ლაპარაკით მოთმინებიდან გამოსულს და თავ მობეზრებულს, კამათისათვის ყურის გდებაც კი დაეზარა და



გააბეს კერძოთ ჩუროჩულოხუნჯობა, და მით უმეტეს არ ეხალსებოდათ კამათისათვის ყურის გდება, რომ თავმჯდომარემ ეს კითხვა სხდომის ბოლოში მიავლო (ალბათ როგორც საყურადღებო კითხვა), ხოლო ამ დროს კი ყველას უკვე ყურადღება მოღალდა კარებისაკენ ექირათ თვალი, და ბევრმა კიდევ „დურთა“ თავი კრების დარბაზიდან სხდომის გათავებამდე. თუ რამდენათ ყურადღებით ეკიდებოდნენ აღნიშნულ საგანს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ კამათის განმავლობაში არა ერთხელ იქნა დაყენებული კითხვა: საქროთ ცნობს თუ არა კრება უთუოთ. აგებულ იქნას კაზარმები, და რამდენჯერმევე ამ კითხვაზე ხან „პო“-ს აძლევდნენ პასუხათ, ხან „არას“, და პირველ დღეს კამათი ისე გათავდა, რომ ვექვობ ვისმე დანამდვილებით ცოდნოდა, თუ რა აზრით გაწყდა ეს კითხვა. უფრო გარკვევით იმ კითხვაზე წარმოებდა კამათი, თუ რა ღონისძიებით უნდა დაითაროს კაზარმების ასაგები ხარჯი, რადგან ეს კითხვა მწარმოებლების ჯიბეს ევოტინებოდა, და ბ-ნ ზდნოვიჩისა, როცა მან აღნიშნულ საგნის განხილვა მოითხოვა კრებისაგან, ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ მწარმოებლები ამ საქმისათვის ფულს არ გადხდიან და გამაწვალდებნო. ამიტომაც ორატორთა შორის პირველათ სწორეთ ზდნოვიჩმა დასახელა ფულის ამოსაგები ღონისძიება: ეს ფული თვითფულ მწარმოებელს მისი მადნის რაოდენობის მიხედვით გადახდეს მთავრობის დანხარებით. აქ ბ. პ. მდივანმა გაახსენა მას, რომ საბჭოს თავი არ შეუტყვევებია სტატისტიკური ბიუროს რიგზე დაყენებისათვის და ამის გამო შეუძლებელი იქნება მადნების რაოდენობის განსაზღვრა. ამაზე ბ-ნმა ზდნოვიჩმა შენიშნა მას: სტატისტიკური ბიუროს ხეირიანათ მოწყობა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც შენ და შენ მეგობრებს გგონიათ, საქმე უფრო ძნელია, ვინემ ლაპარაკიო და სხ. ამავე საქმის სინჯლის შეხედულებით ხელმძღვანელობდა ბ-ნი ზდნოვიჩი მთელი კამათის განმავლობაში და რაც უნდა ღონისძიება დაესახლებიათ კაზარმების ასაშენებელ ფულის დასაფარავათ, ის სულ იმას გაიხაზოდა: მაგ ღონისძიების განხორციელება არც ისე ადვილია თქვენ რომ გგონიათ; ერთი სიტყვით, როგორც ზეცითაც აღნიშნეთ, ბ-ნი ზდნოვიჩი ცდილობდა ისე მოერიგებია კრებას მუშებისათვის სადგომების აგების საქმე, რომ მას, ბ-ნ ზდნოვიჩს, შემდეგ ბევრი თავის შეწუხება აღარ დასჭირვებოდა ამ საქმისათვის. ამიტომ ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. სხვათა შორის ბ. ემერიკმა წინადადება მისცა კრებას: იმის კვალობაზე გაეაწერათ ფული, ვინც რამდენ მადანს ამოიღებსო; პ. წულუკიძემ უკეთესათ იცნო: კაზარმები იჯარით გაიყოს და თვითფულ მუშაზე ღამის გასათვრი გადასახადი დაწესდესო; ხოლო ბ. იოს. კაკაბაძემ, ქიქინაძემ და ჯ. იაშვილმა ურჩიეს კრებას—ამ საგნისათვის და საზოგადოთ მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლათ ფუთზე დადებულ ნახევარკაპეკიან გადასახადს $\frac{1}{5}$ კაპეკი მიფუმატათო. არც ერთი ზემოთ მოყვანილი და ნამეტურ უკანასკნელი წინადადება კრებამ არ მიიღო და ერთმა წევრთაგანმა კი ბ-ნმა მოსევილმა შემადგინა აღიარა: ჩვენ ისედაც ბევრი ხარჯები გვაქვს და ახალ გადასახადს ამ საგნისათვის (იგულისხმე „მუშებისათვის“) ვერ ვიკისრებთო. ამიტომ მეტათ საგულისხმიერო და სწორეთ თავის ადგილზე ნათქვამი იყო ბ. კ. მოდებაძის შემდეგი სიტყვები: „არ შემძლია საყვედური არ გამოვუცხადო როგორც საბჭოს, ისე თვით კრებას იმის გამო, რომ ლაპარაკი მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ ყველა ჩვენს კრებაზე აღძრულა ხოლმე და აქამომდე კი არაფერი არ გაკეთებულა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. არც ახლანდელ ჩვენს ლაპარაკს ექნება მნიშვნელობა

და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ეს საგანი მივიწყებულ იქნება. ამ საგანზე ლაპარაკი ჩვენს კრებებზე არის მხოლოთ ცარიელი ფანტაზიის ნაყოფი, თავის მოტყუებამ, ჩვენი სხვა არაფერი. უკეთესი იქნება სულაც მოვინებოთ ამ საგანზე ლაპარაკი, გამოვრიცხოთ ეს კითხვა ჩვენი სხდომების პროგრამიდან და შევიძლება შემდეგ მუშებმა შევიგნონ თავიანთი მდგომარეობა და თვითონვე იზრუნონ თავიანთი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზეო. დასასრულ კრებამ მუშათა სადგომების გამართვის საქმე ისევ კომისიას მიანდო, რომლის წევრებით არჩეულ იქნენ: ცერცვაძე, კ. ბაქრაძე, სოლელიაკი, ექ. პ. ქიქინაძე, ჯ. იაშვილი, ემერიკი, წერეთელი, იოს. კაკაბაძე და ბ. მოსევილი.

შემდეგ წაიკითხეს სიკო ქიქინაძის მოხსენება, რომლითაც ავტორი წინადადებას აძლევს კრებას: დაარსდეს ქიათურაში შრომის ბირჟა, რადგან იქ ბლომთ არიან ხოლმე სა-მუშაოს მძებარი მუშები, რომლებსაც არ აქვთ არც თავშესაფარი, არც სასმელ-საქმელი და საზოგადოთ ბევრ გაჭირვებას იტანენო. იმ დროს როცა მუშები მწარმოებლებს ეძებენ, მწარმოებლები მუშებს ეძებენ და დიდხანს ვერ პოულობენ ერთმანეთსო, ხოლო როცა ბირჟა დაარსდება, მაშინ ეს აღარ იქნებაო. ბირჟა უნდა გაიმართოს აბანოს მახლობლათ ასე 200—300 კაცისათვის, რასაც დაახლოვებით მოუნდება არა უმეტეს ნ-ოდე ათასი მანეთისა, რადგან ბირჟას შეეძლება ისარგებლოს აბანოს განათებით, წყლით და სხვ. ეს მოხსენება კრებას, რასაკვირვლია, სიცილითაც არ ყოფნია და ზემოხსენებულ კომისიას მიუგდეს.

წაიკითხეს ბ. ცერცვაძის მოხსენების მეორე ნაწილი, რომელიც შეეხება მუშებისათვის იაფი და სალი საქმელის მიწოდებას. მოამხსენებელი, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, აღიარებს, რომ ქიათურის მუშები ცარიელი მქადით საზრდობენ და საშუალება არ აქვთ თბილი საქმელი იშოვონ, ხოლო მათი მძიმე მუშაობა კი თხოულობს თფილ და ნოყიერ საზრდოს და, თუ ერთი მხრით უბინობის გამო ისინი ხშირათ ცივდებიან, მეორე მხრით ხეირიანი საზრდოს უქონლობის გამო ხშირათ სტომაქს იფუტებენო, ამიტომ მოამხსენებელს საქროთ მიაჩნია გაიმართოს რამდენიმე სასადილო, რომლებზედაც, მისი ანგარიშით, დაიხარჯება 8 ათას მანეთამდე. ბ. ცერცვაძის აზრს მუშათათვის სასადილოების გამართვის შესახებ აგრეთვე ყველა დაეთანხმა და ბ. ემერიკის პირით აღიარებულ იქნა, რომ თუ მუშაობის დროს დაკარგული ძალღონე მუშამ რიგიანი საზრდოთი არ აღიდგინა, ხეირიანათ ვეღარ იმუშავებს და ეს ჩვენს ზარალს მოგვცემსო. რა კი ეს ყველასათვის ცხადია იყო, ამიტომ ამაზე ბევრი აღარ ულაპარაკიანთ და პირდაპირ იმ კითხვის განხილვას შეუდგენ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშათათვის რიგიანი საზრდოს მიწოდების საქმე. ბ. ემერიკის აზრით, რომელიმე ხევში უნდა გაიმართოს ერთი საზოგადო სამზარეულო, საიდანაც მომზადებულ საქმელს წაიღებენ ხოლმე ქვაბებით სხვა ხევებში მუშებისთვის მისაწოდებლათ. სამზარეულოსთვის უნდა გადადებულ იქნას, პირველ მოსაწყობ ხარჯებს გარდა, 2000 მან. ყოველ წლივ, მუშები კი გადხდიან განსაზღვრულ ფასს მხოლოთ საქმელში. ბ. ზდნოვიჩი არ დაეთანხმა ემერიკის აზრს და თითქმის კაპიკობით დაიწყო ანგარიში იმის დასამტკიცებლათ, რომ 2 ათასი მანეთი ასეთი სამზარეულოსთვის საკმარისი არ იქნებაო; ხოლო თავის მხრივ კი მას არავითარი პროექტი არ წარმოუდგენია, თუმცა ყველაზე უფრო ეს საგანი სწორეთ მას უნდა ქონოდა გარკვეულ-გათვალისწინებული, რადგან, როგორც ბ. ქვარიანმაც აღნიშნა, ჯერ კიდევ მესამე კრებაზე იქნა დადგენილი, რომ საბჭოს მუშებისათვის სასადილოები გაეშენებოდა, და თუ ბ. ზდნოვიჩმა

ეს დადგენილება ვერ განახორციელა, უნდა ფიქრა მინც რამე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მისი განხორციელება. მაგრამ საზოგადოთ, როცა კამათი „შავი ხალხის“ ინტერესებს შეეხებოდა, ბ. ზდანოვიჩის მოსაზრება სხვა შემთხვევაში საკმაოდ მარჯვე, ამ შემთხვევაში ძალიან სუსტობდა, და ეს უთუოთ იმიტომ, რომ ეს ვაჟბატონი ამ საკანზე ფიქრით აგრე რიგათ არ იწუხებს თავს. ხოლო მას რომ არც მიმავალში დაჭირვებოდა ბევრი ფიქრი სასადილოების გამართვის შესახებ, თავგამოდებით თხოულობდა კრებისაგან: ამ საგანზე ყველაფერი თქვენ იფიქრეთ ახლავე და ისე მზამზარული პლანები გადომეკით სისრულეში მოსაყვანათო და იმის წინააღმდეგეც კი გახდა, რომ ეს კითხვა კომისიისთვის გადაეცათ შესამუშავებლათ; გამოაცხადა შიში, რომ თუ ეს კითხვა კომისიას გადაეცა, იგი ისევ შეუმუშავებელი წარუდგება მომავალ მორიგ კრებასო; სხვანაირათ რომ ვთქვათ, ზდანოვიჩი შიშობდა—არც კომისია მომართვეს მზამზარულ გეგმას, ისევ მე მომიგდებენ ამ საგანზე ზრუნვას, მე კი ამისათვის აბა სად მეცლება და ამიტომ კითხვა ისევ კითხვათ დარჩებოა. ასე ნაკლები იმედი აქვს ბ. ზდანოვიჩს თავისთავზე, როცა საქმე მშრომელი ხალხის ინტერესებს შეეხება. კრებამ არც ამ შემთხვევაში გაუტეხა ხათრი ბ. ზდანოვიჩს და განაგრძეს ხსენებულ კითხვის განხილვა. ბ. კიკნაძემ წინადადება მისცა კრებას: გაიმართოს სასადილოები მუშების მომავალ ბინებთან და საქმელების მომზადება კი მიენდოს თვითონ მუშებს მათი სურვილისამებრ, ხოლო რიგიანი და იაფი პროვიზიის მისაწოდებლათ კი დაარსდეს სახმარებელი დუქნებიო. ამაზე ბ. კრინიციმ შენიშნა: საბჭოს სად სცალია მუშებისათვის დუქნების გასამართავათ, ეს ისედაც ყელამდე სავსეა საქმეებითო, ხოლო ვისაც სურს, მათ დეე თვითონ დააარსონ მომხმარებელი საზოგადოებოა. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და ბოლოს ისევ კომისიას მიადგენ.

შემდეგ კიდევ ილაპარაკეს და საჭიროთ აღიარეს შავი ქვის მუშათათვის ფარდულების აშენება, მადნებში სამთო ზედამხედველობის დაწესება, განათების და ვენტრალიაციის გაუმჯობესება. ბოლოს წამოდგა მღვდ. ჭედლიძე და რიხიანი სიტყვით გაიკცა კრება: თქვენ ისე ლაპარაკობთ მუშებზე, როგორც რაღაც პირუტყვებზე, რაღაც მუშა საქონელზეო, თქვენ მარტო იმაზე ზრუნავთ, რომ მუშებს მხოლოდ ფიზიკური მხრივ მოუაროთ, კვებოთ, აძლოთ, ასუქოთ და ეს კი იმიტომ გინდათ, რომ მათ კარგათ იმუშაონ თქვენ სასრგებლოთო. სრულიათ გავიწყდებათ, რომ ისინი ადამიანები არიან, რომ მათ ხორცის გარდა სულიც აქვთ და აი ამ სულისათვის საზრდოს მიწოდება კი ფიქრათაც არ მოგდითო; ძალიან ნაკლებათ ზრუნავთ შკოლების და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსებაზეო. მაგრამ მწარმოებელთა კრება ამას აბა როგორ დაუჯერებდა მ. ჭედლიძეს. აკი რამდენიმე დღის წინათ ბ. თუმანოვმა მათ აღტაცებული და გულაჩუყებული რეჩით ასეთი ხოტბა შეასხა: თქვენ, კაცთ მოყვარული გრძობთ გამსჭვალულნი, თავს არ იზოგავთ თქვენი მუშების საკეთილდღეოთ, რომლებიც, როცა შავქვაში მუშაობისაგან არაბებებით გაიმურებიან შემდეგ თქვენს აბანოში ისევ გასუფთავდებიანო, რისთვისაც თქვენ ისინი გლოცვენ და გლოცავენო და მათი მადლით თქვენ სწორეთ ცხონდებით, რომ ასეთი სასუცხოვო აბანო გაგიმართავთო. დიან, არ დაუჯერეს მ. ჭედლიძეს მისი საყვედურის საფუძვლიანობა და ბ. მოსევილის პირით გამოუცხადეს: მუშათა სულიერ განვითარებისათვის ჩვენ მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებათა, მაგრამ ჩვენ მილიარდები კი არ გვაქვს, რომ მათ უნივერსიტეტეც დაუარსოთო, „სმეტა“ ნებას არ გვაძლევსო. სხვათა შორის ბ. მოსევილმა დაიწყო იმის დამტკიცება,

რომ მუშებისათვის ბიბლიოთეკა-სამკითხველო სკოლა მეტი ბარგიაო, კითხვა მათ არ ეინტერესებათ და სხ. მაგრამ ამ მხრით მოსევილს არც თვით მღ. ჭედლიძემ ჩინებულნი თითქმის კიდევ გადააქარბა და არა მარტო მუშებისათვის ქიათურაში, არამედ სახალხო თეატრის უსარგებლობაც კი აღიარა; მან თქვა: თეატრი მუშებს მხოლოდ ძილს მოაყდენს და მხოლოდ მაგნებელი გასართობიაო, ის მათ გარყვნის და გააზარბაცებსო, ერთი სიტყვით მ. ჭედლიძემ, რუსები რომ იტყვიან, *началь за здравье и кончил за упокой*. მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ ეს საინტერესო ხუცესი არც მთლათ ობსკურანტი გამოდვა და მოითხოვა ქიათურაში სახალხო კითხვების გამართვა; ამისათვის მან საჭიროთ გამოაცხადა—მიეცეს მუშებს მოსვენება კვირადღის გარდა შაბათობითაც, რომ ამ დღეს მათ ანგარიში მიიღონ ხოლმე და კვირას კი მთელი დღე თავისუფალი იყონ. ამაზე ჭედლიძეს მაყვირეს: დღეს კი განა შაბათობით არ იღებენ ქირასო. თუკცა ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ თუ ქიათურაში საკვირაო შკოლა ვერ მუშაობს, ამის ერთი მთავარ მიზეზთაგანი ისიც არის, რომ კვირაობით მუშებს თითქმის მთელი დღე კანტორებთან აყურყუტებენ ხოლმე ფულის მისაღებათ. დასასრულ მღ. ჭედლიძემ მწარმოებლებს ისიც უსაყვედურა, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ მუშებში სარწმუნოების განმტკიცებას; ის კი არა და თვითონ თქვენ ვერ ბრძანდებთ ხვირიანი ქრისტიანები, რადგან ეკლესიაზე სულ არაფერს ფიქრობთ, გაურბინართ აგრეთვე საეკლესიო შკოლების დაარსებას, და ასე ექცევით თქვენ სწორეთ იმ ხალხს, იმ გლეხებს, რომლებიც თქვენ დალუპეთ და დააქციეთ, მადნების თხრით ადგილ-მამული აუოხრეთ და გააღატაკეთო. მ. ჭედლიძემ მოითხოვა კრებისაგან 70,000 მან. გადადება საეკლესიო შკოლების დასაარსებლათ... კრება დიდა დრტინივით და პროტესტით მიეგება მ. ჭედლიძის საყვედურებს, ხოლო განმანათლებელ დაწესებულებათა გასამართავათ აიჩრია მუდმივი კომისია შემდეგ პირთაგან: მღ. ჭედლიძისა, ცერცვაძის, ლოლოზერძის, მოსევილის და იაშვილისაგან.

ცერცვაძის მოხსენება, სხვათა შორის, სამუშაო დღის გაწესრიგებას შეეხებოდა, მაგრამ ეს კითხვა ისე მიაფურჩხეს, რომ კრინტიც არავის დაუძრავს მის შესახებ, გარდა კრებას თავმჯდომარისა, რომელმაც ისე თავისთვის წაილაპარაკა: სამუშაო დღის გაწესრიგების შესახებ უკვე კანონი არსესობს და ამაზე აბა რაღა უნდა ვილაპარაკოთო. ნეტარ არიან მორწუნენი! და ჩვენც ამაზე აბა რაღა უნდა ვილაპარაკოთ?! ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ კრებისათვის ისეთმა კეთილსამედლო პირმაც კი როგორიც ბ. ცერცვაძეა, აღიარა ქიათურაში სამუშაო დღის გაწესრიგების საჭიროება. ჩანს, რომ ამ მხრივაც შავი ქვის სამეფოში „далеко не все обстоит благополучно“.

ს. ნემვილაშვილი.

(შემდეგი იქნება).

მეურნე და მეურნეობა.
VII.

კაპიტალისტური მეურნეობა შეიცავს შემდეგ სამს ელემენტს: იჯარადარს, მუშას, მემამულეს. პირველი აღჭურვილია ფულით, მეორე შრომით, მესამე კი მამულით. იჯარა-დარის მიზანია მეურნეობის საშუალებით ფული მოიგოს. ამისათვის ის ქირაობს მიწას და მუშას. ამ უკანასკნელის ზედმეტმა შრომამ უნდა გაისტუმროს მიწის ქირა (რენტა), წარმოების ყველა ხარჯები, გარდა დღის ქირისა და საიჯარო

MB

ჩვეულებრივი მოგება. აქ მიწათმფლობელს ვაწყვეტილი აქვს კავშირი მიწათმომქმედთან, რათ უშაში დგას მესამე პირი — კაპიტალისტი და ორივეს მასთან აქვს საქმე. რენტა, რო, გორც მიწის ქირა, ამბობს აღამ სმ-ტი, წარმოადგენს უმაღლეს ჯამს, რომლის მიცემაც კი შეუძლია იჯარადას არსებულ სამეურნეო პირობებში. მემამულე მეცადინეობს იჯარადას დაუტოვოს ნაწარმოებთა მხოლოდ ის ნაწილი, რომლის საშუალებით დაიფარება ხარჯები თესლის, შრომის, საშუალო პირუტყვების და სხვა სამეურნეო იარაღების. ამას უნდა მივამატოთ იჯარადას იმდენი მოგება, რამდენიც იმ მხარეში ჩვეულებრივად ითვლება. მაშასადამე რამდენად ნაკლებია ეს ხარჯები, რამდენად მცირეა ჩვეულებრივი მოგება, იმდენად მეტია რენტა, იმდენად დიდია მიწის პატრონის შემოსავალი. რენტის რაოდენობა ისაზღვრება თვით წარმოებას პირობებით, რაც ერთიანად დამოუკიდებელია მემამულის მადლისაგან. შეიძლება ეს მაღა ძალიან დიდი იყოს, მაგრამ იძულებულია გახდეს ცოტათი დაკმაყოფილდეს, თუ კი ამას მოითხოვს ფულის ჩვეულებრივი მოგება. აქ რენტა განსაზღვრულ კალაპოტშია ჩაყენებული, ის ემორჩილება ნაციონალური წარმოების უღიმოხელ კანონებს და შეუძლია მხოლოდ ამ კანონებთან ერთად შეიცვალოს, როგორც ეს წინა წერილში გავარკვევთ ¹⁾.

სულ სხვაა არა-კაპიტალისტური მეურნეობაში. აქ მოქმედებს მხოლოდ ორი ელემენტი: მიწათმომქმედი და მიწათმფლობელი, მესამე პირი აღარ არის. მაშასადამე მემამულეს საქმე აქვს არა გამოცდილ და შეძლებულ კაცთან, არამედ უვიც და ღატაკ მეურნესთან. მართა ეს გარემოებაც საკმაოდართო სარბიელს იძლევა რენტის გაძლიერებისათვის და მართლაც, რა კაცია ეს მეურნე? პირველ ყოვლისა, ის არის ისეთი პირი, რომელიც თავს ირჩენს მიწის მუშაობით, ხოლო მიწა კი საკმაოდ არ აქვს. მაშასადამე, ის არის ერთი მხრით მიწის მუშა, მეორე მხრით მიწის პატრონი. პირველით ის უკავშირდება ბოგანათ, მეორით მესაკუთრეთ. მასში ორი სული ბუდობს: პროლეტარის და მესაკუთრის. პირველის გასაბატონებლათ საჭიროა მას მიწა სრულიათ არ ეკუთვნოდეს, მეორის გასაბატონებლათ კი საჭიროა მიწა იმდენი ქონდეს, რომ სხვის მიწაში არ საჭიროებდეს. ნამდვილათ კი არც ერთი არ არის. ის იძულებულია სხვის მამულზე თავისი შრომით იცხოვროს და მით თავის არსებაში სოციალური დუალიზმი ატაროს. აშკარაა, ის მიწას უყურებს არა როგორც მოგების წყაროს, არამედ როგორც საშუალო იარაღს, თავის სარჩენ საშუალებას. მიწით უნდა გაისტუმროს ოჯახის მოთხოვნილებანი, სხვადასხვა გადასახადები და კიდევაც იკვებოს. ამ აზრით ხელმძღვანელობს ის, როცა მიდის მემამულესთან და მიწის იჯარით მოცემას თხოვს. მას, როგორც უვიცს, არავითარი ანგარიში არ აქვს, არ იცის რამდენი უნდა იმუშაოს, რა დახარჯოს, რა მოიგოს და სხვ. მან იცის მხოლოდ თავისი გაჭირვება და ამით ზომავს საიჯარო გადასახადს. თუ ძლიერ გაჭირვებულია უმიწობით, მაშინ მზათაა რენტას რაც შეიძლება მაღლა აუწიოს და თვითონ იმდენი დაინარჩუნოს, რომ ცხოვრების „გაჯახირება“ შესძლოს.

¹⁾ რამდენად მატულობს მემამულეთა რენტა, ჩანს შემდეგი ცაფრებიდან (თუმნობით).

	1857	1875	1880
ინგლისის და ვალი	41,177,200	50,125,000	52,179,381
შოტლანდია	5,932,000	7,493,000	7,776,919
ირლანდია	8,747,000	9,293,000	10,543,000
ჯამი	55,856,200	66,911,000	70,500,000

ესე იგი 23 წლის განმავლობაში რენტა აიწია 26,2 პროცენტით. სხვა სახელმწიფოების შესახებ ამნაირი ცნობები არ არის.

ხოლო მისი გაჭირვება მატულობს იმდენად, რამდენად მატულობს მცხოვრებთა რიცხვი, სუსტობს მრეწველობა და ანტიკომ დიდი უმრავლესობა ძალაუფლებურად მეურნეობაში უნდა ჩაებას. სწორედ ასეა უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში. საქონლის მრეწველობა და ვაჭრობა ძლიერი იყოს, მაშინ მეურნეობაც კაპიტალისტური იქნებოდა და მეურნეთა გაჭირვებაც მოიკლებდა. მაგრამ არა-კაპიტალისტური მეურნეობის მთელი უსწორ-მასწორობაც იმაშია, რომ მოთხოვნილება კაპიტალისტურია, მათი დაკმაყოფილება კი პრიმიტიულია. ამასათვის აქ მიწის მამებარი ბევრია და აი ამათ შორის იმართება მოცილება. ვინც მეტ ღალას შეაძლევს, იმას რჩება მიწა. ამ შეძლევას არავითარი საზღვარი არ აქვს, ხშირათ ღალის რაოდენობაც არა კარაა მაწის იჯარით აღებისათვის. საჭიროა კიდევ ძღვენი და ფემქეშების („სალეურობა“) მირთმევა მემამულის ან მისი მათრავისათვის...

ამასთანავე მოიჯარე იჯარის გარდაც დამოკიდებული ხდება მემამულესაგან. ის იძულებულია მეტათ დაეხმაროს მას, სხვადასხვა საქმე გაუკეთოს, შეშა მოუჭრას, ღობე შემოუღობოს და სხვ. მას რაც უნდა, იმას აქნენებს, — ე. ი. ვითარდება ახალი საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რაც აშენებულია ეკონომიურ მორჩილებასზე. ამნაირათ მემამულის რენტას შეადგენს არა მართა საიჯარო გადასახადი, არამედ სხვადასხვა „სამსახური“. ეს ბატონ-ყმობის ნაშთია, ეს თავისუფალი ყმობაა..

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ გარემოებაშია ჩაყენებული თითქმის მთელი გლეხობა. მეურნე რომ სხვის მიწაში არ საჭიროებდეს, მას უნდა ქონდეს არა ნაკლებ 10—15 დესიატინისა. გლეხის ჩვეულებრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ თუ ხუთ დესიატინა მიწას ვიანგარიშებთ და ორ წელიწადში ერთხელ დავასვენებთ, 10 დესიატინა საკუთრება აუცილებლათ საჭირო იქნება; თუ ორ წელიწადს გავუშვებთ მოსასვენებლათ — მაშინ 15 დესიატინა საჭირო. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ანგარიშით (გამოცემა კონდრატენკოსი), სახელმწიფო გლეხის კომლზე საშუალო რიცხვით ქუთაისის გუბერნიაში მოდის 2,27 დესიატინა მიწა, თფილისის გუბერნიაში — 5,81 დეს., ერევნის გუბ. — 7,38 დეს., ელისავეტპოლის — 7,53 დეს. ბაქოს გუბ. — 8,05 დ. საშუალოთ მთელ ამიერ-კავკასიაში კომლზე მოდის 6,31 დესიატინა მიწა. როგორც ხედავთ, განსაკუთრებით მიწის სიძვირეა ამერ-იმერეთში. აქ სამ დესიატინამდის აქვს სახელმწიფო გლეხთა 59,3%, 3—6 დესიატინა — 11,9%, ხოლო 6—10 დესიატინა დანარჩენ 28,8%. მაშასადამე 71,2% უექველათ მემამულეთა იჯარადას იუნდა იყვენ. თუ ცალკე მახრებს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ შორაპნის და რაქის მაზრებში კომლზე მოდის ნახევარი დესიატინა, გურიაში, სენაკის მაზრაში და ლეჩხუმში ორ დესიატინამდის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში 3 დესიატინამდის. მარა არც ეს მიწებია გლეხთა საკუთრება; ესენი სახელმწიფო კაცებია და იხდიან ხაზინის სასარგებლოთ საჭირო გადასახადს ფულათ. ამნაირათ ისინი ფულით იხდიან სახაზინო რენტას, ხოლო ღალით მემამულეთა რენტას. რაც შეეხება დროებით ვალდებულთ — ესენი კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია. 1867 წლის აღწერით თვითფულ კომლზე თფილისის გუბერნიაში მოდიოდა საშუალო რიცხვით 3 დესიატინა 2070 ოთხკუთხი საყენი, ხოლო 1889 წლის აღწერით — 1 დეს. 2171 ოთხ-კ. საყ. აშკარაა ხალხის გამრავლება და გაყოფა შექმნილა მიზეზათ მამულის დაკნინების ²⁾. ესენი პირდაპირ დგანან გაპროლეტარიატების გზაზე და თუ კიდევ მიწას ებლაუტებიან —

²⁾ ქუთაისის გუბერნიის შესახებ ასეთი ცნობები არ არის.

ეს უნდა აახსნას მრეწველობის განუვითარებლობით და ტრადიციული შეფუთვებით. ესენიც ორნაირ რენტას იხდიან: ერთს საბატონო მიწისთვის, მეორეს საიჯაროსთვის. ავილოთ მაგალითისთვის ქართლის ორი სოფელი—ატენი და რუისი—რომელნიც შეძლებულათ ითვლებიან და ვნახოთ აქაურ გლეხთა მდგომარეობა³⁾.

ატენი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკუთარი და სანადელო მიწა: 58 კომლს აქვს ეზოთ დესიატინის $\frac{1}{16}$, 13-ს— $\frac{1}{8}$, 4-ს— $\frac{1}{4}$, ხოლო ერთ კომლს 1 დესიატინა. ვენახათ 2 კომლს $\frac{1}{16}$, 12-ს— $\frac{1}{8}$, 23-ს— $\frac{1}{4}$, 25-ს— $\frac{1}{2}$, 9-ს— $\frac{3}{4}$, 5-ს—1, 1-ს— $1\frac{1}{2}$, ხოლო 1 კომლს ორი დესიატინა. ხილნარი მხოლოდ ერთს აქვს დესიატინის $\frac{1}{16}$. არ აქვთ არც სახნავი, არც ტყე, არც სათიბი და არც სხვა რამე, ვარდა ერთი კომლისა, რომელსაც ერთი დესიატინა საბალახო მიწა ქონებია მესაკუთრეთა მიწა: ეზოთ აქვთ 35 კომლს $\frac{1}{16}$, 3-ს— $\frac{1}{8}$, ხოლო ერთს— $\frac{1}{4}$ დეს., სავენახეთ ერთ კომ.— $\frac{1}{16}$, 3-ს— $\frac{1}{8}$, 8-ს— $\frac{1}{4}$, 11-ს— $\frac{1}{2}$, 9-ს— $\frac{3}{4}$, 4-ს—1, ხოლო სამს აქვს $1\frac{1}{2}$ დეს. სახნავ-სათესი: 1 კომლს აქვს $\frac{1}{16}$, 1-ს— $\frac{1}{8}$, 1-ს— $\frac{1}{4}$, 11-ს— $\frac{1}{2}$, 1-ს— $\frac{3}{4}$, 4-ს—1, 4-ს— $1\frac{1}{2}$, 4-ს—2, 1-ს—3, 1-ს— $3\frac{1}{2}$, 1-ს—5, ხოლო 2-ს აქვს 10. არავის არა აქვს არც სახილე, არც სათიბი, არც ტყე, არც საბალახო და სხ. სახელმწიფო გლეხი კი მხოლოდ ორი კომლია, რომელთაც აქვთ თითოს $\frac{1}{16}$ დეს. ეზოთ და $\frac{1}{4}$ დეს. სავენახეთ. ყველა ეს რომ შევაერთოთ გამოვა საშუალო რიცხვით შემდეგი: სამ დესიატინამდის აქვს ას კომლს, 3—5 დეს. 14 კომლს, 5—10 დეს. მხოლოდ 4 კომლს.

რუისი. დროებით ვალდებულთა სანადელო და საკუთარი მიწა: ეზოთ აქვთ 19 კომლს— $\frac{1}{16}$ დეს. 3-ს— $\frac{1}{8}$, ხოლო 2-ს— $\frac{1}{4}$ დეს. სავენახეთ 8-ს— $\frac{1}{16}$, 3-ს— $\frac{1}{8}$, 7-ს— $\frac{1}{4}$. 3-ს— $\frac{1}{2}$, ხოლო ერთს $\frac{3}{4}$ დეს. სახნავი: 1-ს აქვს $\frac{1}{2}$, 3-ს—1, 1-ს— $1\frac{1}{2}$, 2-ს—2, 3-ს— $2\frac{1}{2}$, 3-ს—3, 1-ს— $3\frac{1}{2}$, 3-ს—4, 2-ს— $4\frac{1}{2}$, 5-ს—5, 2-ს—10 დეს. არა აქვთ ხილნარი, სათიბი, ტყე, საბალახო და სხ. სახელმწიფო გლეხების საკუთარი და სანადელო მიწები: ეზოთ აქვთ 74 კომლს $\frac{1}{16}$ დეს. 20-ს— $\frac{1}{8}$, 2-ს— $\frac{1}{4}$, ხოლო 2-ს— $\frac{1}{2}$, სავენახეთ—20-ს— $\frac{1}{16}$, 26-ს— $\frac{1}{8}$, 21-ს— $\frac{1}{4}$, 14-ს— $\frac{1}{2}$, 4-ს— $\frac{3}{4}$, ხოლო ერთს—1 დეს. ხილნარი 8-ს აქვს— $\frac{1}{16}$ დეს. სახნავი—3 კომლს— $\frac{1}{4}$ დეს. 2-ს— $\frac{1}{2}$, 7-ს— $\frac{3}{4}$, 8-ს—1, 13-ს— $1\frac{1}{2}$, 14-ს—2, 9-ს— $2\frac{1}{2}$, 8-ს—3, 5-ს— $3\frac{1}{2}$, 8-ს—4, 1-ს— $4\frac{1}{2}$, 3-ს—5, 11-ს—10, 5-ს—15, ხოლო ერთს აქვს 20 დეს. მესაკუთრეთ—ეზოთ აქვთ 59-ს— $\frac{1}{16}$, 10-ს— $\frac{1}{8}$, ხოლო 3-ს— $\frac{1}{4}$. სავენახეთ—16-ს— $\frac{1}{16}$, 24-ს— $\frac{1}{8}$, 9-ს— $\frac{1}{4}$, 10-ს— $\frac{1}{2}$ ხოლო ოთხ კომლს— $\frac{3}{4}$ დეს. სახნავი—2-ს— $\frac{1}{16}$, 7-ს— $\frac{1}{8}$, 4-ს— $\frac{1}{4}$, 6-ს— $\frac{1}{2}$, 4-ს— $\frac{3}{4}$, 5-ს—1, 5-ს— $1\frac{1}{2}$, 7-ს—2, 7-ს— $2\frac{1}{2}$, 3-ს—3, 4-ს— $3\frac{1}{2}$, 4-ს—4, 2-ს— $4\frac{1}{2}$, 3-ს—5, ხოლო 6 კომ. 10 დ. არავის საბალახო, სათიბი, ტყე და სხ. ყველა ეს რომ შევაერთოთ გამოვა შემდეგი: სამ დესიატინამდის ქონებია 110 მოსახლეს, 3—5 დეს. 41-ს, 5—10—29-ს, ხოლო 10—20-მდის ქონებია 6 მოსახლეს.

აქედან ცხადია, ამ შეძლებულ სოფლებშიაც რა ცოტა მამული ქონებით გლეხებს და რამდენათ იძულებული ყოფილან მემამულეს მიმართონ. ამას თუ დავუმატებთ საბატონო და საადგილ-მამული გადასახადს (რენტა), ხოლო მესაკუთრეთათვის მიწის გამოსასყიდათ აღებულ ვალებს—დავინახავთ, რომ ამ მცირე საკუთრების პატრონიც უფრო სხვისი საკუთრების იჯარადარია, ვინემ თავისის.

რაც შეეხება კახეთს, აი რას ამბობს იქაური გადასახად-

თა ინსპექტორი ბ. კახიძე: „თელავის მაზრაში სამეფარი გლეხობა: დროებით ვალდებულნი, მესაკუთრენი და სახსო გლეხები. პირველთ სრულებით არა აცვთ მამულიც და სხვა დაგ. აღ. ქაჯკაჯადის გლეხებისა, რომელთაც სხვა მამული აქვთ. რაც შეეხება დანარჩენთ, მათი ნადელი დაქუც-მაცებულია აქა-იქ ნაჭრებათ. ზოგი ნაჭერი 100 ოთხ-კუთხი საყენის ზომისაა, ზოგი 150 და ძნელათ იპოვით 600 საყენიან ნაჭერსო. სხვა დროებით ვალდებულ გლეხებს—მარტო სამოსახლო და ნაბატონართან გაუყოფელი ერთი ბეწვა ვენახი აქვთ. აბა ამათ რა უნდა გაუუჯობესონ? ვენახის ნახევარი ნაბატონარისაა, ისიც ვინ იცის, იქნება იქიდანაც გამოიყვანოს ნაბატონარმა, რომ დაინახავს გაუუჯობესებულს. ასე ფაქრობს გლეხი და ამის საბუთა ვაგლილ ცხოვრებაში მრავალი მოეპოვება. დარჩა მარტო ეზო, რომელზედაც სახლიც ძლივს ეტევა და ხშირათ სხვა საქარო შენობისათვის აღგილი არ მოეპოვება. მესაკუთრენი სულ ცოტანი არიან... სახსო გლეხები ისე არაან შევიწროებულნი ტყის უწყებისაგან, რომ თვითეული გაუმჯობესობა იწვევს გლეხისათვის ზარალს და არა მოგებას. გლეხს მიწებს შუა აქვს უვარგისი ჯაგნარი, იგი ზრდის, უკლის, დარაჯობს; გაზარდა იქამდის, რომ საქარობის დროს ფიზი—შეშა მოიჭრება, მაშინვე გაუზნდება ტყის მცველი და ჩამოართმევს: ეს ტყეა, ხელი არ ახლოვო“. (იხ. „ივ.“ № 167, 1902 წ.).

ერთას სიტყვით თათქმის მთელი გლეხობა იძულებულია იჯარით იცხოვროს. ის იხდის რენტას სახელმწიფოს, საბატონოს და მემამულისას. პირველი ორა კანონით დადებული რენტაა, ხოლო მესამე თავისუფალ ხელშეკრულობის ნაყოფია, იმ განსხვავებით, რომ ამ „თავისუფლებას“ აუცილებლათ უნდა მიმართონ, უამისოთ ცხოვრება არ შეუძლიათ. გლეხობასთან ამ მხრით გათანასწორებულია მრავალთა თავადა და აზნაურთა. თფილისის გუბერნიასი 1—8 დესიატინა მიწა შეიცავს თავად-აზნაურთა საკუთრების 27 პროცენტს, მაშასადამე ამათი პატრონიც სხვისი მამულით ცხოვრობენ. 9—35 დესიატინა—23 პროცენტს. ამათ თავისი მამულის დამუშავებით შეუძლიათ იცხოვრონ. 36—72 დეს. შეადგენს 12 პრ. ამათ პატრონთ მემამულე არ ეთქმის, რადგან თუ ფიზიკურათაც არ იმუშავებს—ვერ იცხოვრებენ. საშუალო მემამულეთა კლასს შეადგენენ ისინი, ვისაც აქვთ 73—380 დესიატინა, ე. ი. 25⁰/₁₀₀, ხოლო დიდი მემამულენია დანარჩენნი, რომელთაც 380 დესიატინაზე მეტი აქვთ ე. ი. მხოლოდ 13⁰/₁₀₀. აშკარაა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ნახევარი მაინც იძულებულია ან იჯარას მიმართოს ან და თავისი მამული თავისი მუშაობით შეამუშავოს. რაც შეეხება იმერეთის თავად-აზნაურობას, უპრავლესობა კიდევ უფრო გაჭარბებია. აქ თავად-აზნაურთა საკუთრების 75 პროცენტი შეიცავს 0—19 დესიატინამდის. ამათში 8 დესიატინამდისაა 48 პროცენტი. მაშასადამე ასს კომლ თავად-აზნაურში 48 რენტა უნდა აძლიოს მემამულეთ. რენტის ამდებნია ისინი, ვისაც აქვთ არა ნაკლებ 19 დესიატინისა მაინც, —ე. ი. თავად-აზნაურთა 25 პროცენტი. ასს თავად-აზნაურში 25 არის საშუალო და და სხვილი მემამულე, რომელთა რჩენაში გლეხებთან ერთათ 48 თავად-აზნაური იღებს პირდაპირ მონაწილეობას. აქ მოწინავე წოდების თითქმის ნახევარი ნივთივრათ გათანასწორებულია გლეხობასთან... და მხოლოდ მემამულეთა მცირე გუნდს და ხაზინას ეკუთვნის რენტის მომცემი მიწა-ადგილი.

ამნაირათ, რენტორები შეიცავენ მოწინავე წოდების პაწია გუნდს ($\frac{1}{4}$), რომლისაგანაც დამოკიდებულია იმავე წოდების უმრავლესობა და მთელი გლეხობა. მართალია ზოგან გლეხებმაც შეიძინეს იმდენი მამული, რომ შეიძლება რენტორთა შორის ჩაირიცხოს, მარა ეს ისე იშვიათია, რომ არა-

³⁾ ეს ციფრები გადმომცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკოსმა ბ-ნმა ფ. გოგინაიშვილმა და შეკრებილია მისგანვე.

ვითარი გავლენა არ აქვს ჯერ-ჯერობით მიწა-ადკლის განაწილებაზე წოდებათა შორის.

სადაც მიწის ასეთი ნაკლებობაა, ხოლო მისი მოთხოვნილება ასე დიდი, იქ რასაკვირვლია იჯარაღირებულ შორის დიდი კონკურენცია უნდა იყოს და რენტის მეტის მეტი აწევა. ამისათვის ასეთ იჯარაღირის გასავალი ყოველთვის მეტია შემოსავალზე და თუ ამას ის ვერ ხედავს—ეს იმიტომ რომ არ ანგარიშობს შრომის თავისას, შვალეების, ცოლისას და სხ. არ ანგარიშობს აგრეთვე იმას, რომ საქმელს იკლებს, შიმშილობს, ჯანიდან იკლება და სწეულდება, არ ანგარიშობს „გარედან“ შემოტანილ ფულს, რომელსაც მეურნეობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, ხოლო მეურნეობის დეფიციტს კი ამით ფარავს. ყველა ეს რომ ანგარიშობს, გამოვა რომ ის გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვინც ყმა იყო. ის სხვისთვის მუშაობს არა წარტო მ დღეს კვირაში, როგორც ეს ბატონ-ყმობის დროს იყო, არამედ გაცილებით მეტს. ის მუდმივ ზარალია, მუდამ თავისას ადებს და ყველა ამას თავისი ნებით შვრება! და ეს ასეა არა მარტო ჩვენში, არამედ ყოველგან, სადაც კაპიტალისტიური მეურნეობა არ არსებობს. ამ აზრის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს.

„სენაკის მაზრაში საზოგადოთ მიწის-მომქმედი მიწის სასანახევროთ შეამუშავებს ხოლმე, ეწრებას და გამოფიტულ მიწებს—სამესამედოთ. ეს მთაშია, ბარში კი, უფრო სენაკის ქვემოთ, ზღვის პირათ სამესამედოთ სიგსვენ ხოლმე სიმინდს. მოსავლის ნახევარი გაწმენდილ-გარჩეული მიწის-მომქმედმა უნდა მიართვას მიწის პატრონს, მეორე ნახევარი კი თვითონა რჩება. ეს კი იმის დღაურ ქარას არ შეადგენს. გამოცდილ გლეხების გამოანგარიშებით, ერთ ქვევა მიწის შემუშავებას სიმინდის დასათესათ უნდება:

ერთი უღელი ხარი ორ პირათ დახვნა-დაფარცხვას სამი დღე მაინც—მ. 60 კ.

პირველი პირი ვათობნა	4	დღე	1	კაცი
მეორე თოხი	4	„	„	„
მესამე თოხი	3	„	„	„
მოტეხა	3	„	„	„
ჩაღის აღება	2	„	„	„

ერთი დღეც ჩავთვალოთ სიმინდის გასარჩევათ და სახლში, თუ პატრონთან მისატანათ, სულ 17 სამუშაო დღე. მუშა თავისის ხარჯით ზაფხულის ვეება დღეში ათი შაური მაინც ხომ ეღირება. ფულზე რომ გადავიტანოთ, გამოვა: 8 1/2 მანათი—მ. 60 კაპეიკი, სულ 12 მანათი და 10 კ. ოროთა შუა რიცხვით ქცევა იძლევა 50 ფუთ სიმინდს, აქედან გლეხს რჩება 25 ფუთი. ამას უნდა გამოაკლოთ ორი ფუთი სათესლეთ, და ხელში გრჩებათ თორმეტ მანეთათ 23 ფუთი სიმინდი! ეს იმ შემთხვევაში, როცა დედაკაცებისა და ბავშვების შრომას არ ჩავაღებთ ანგარიშში. გარდა ამისა, ჩვენში ზოგან მიწას გადასახადიც აძევს, ეგრედ წოდებული „სამოხელეო“ 1 მან. — 1 მ. 20 კაპეიკამდე ქცევაზე. ამას ზედ დაურთეთ ბატონ მიურავის „გამასპინძლება“—ზოგან რიგრიგათ გლეხნი თითო დღე ვალდებულნი არიან ბატონი მოურავი არჩინონ: მიწის სივიწროვე იწვევს მეტოქეობასა და ძღვნებს, ფეშქაშებს და სხვ. ასე და ამ რიგათ მიწის მომქმედს ერთი ფუთი სიმინდი უჯდება არა ნაკლებ სამის აბაზისა, უკეთესს შემთხვევაში ათის შაურისა! თვითონ კი უნდა ჰყიდოს, თუ საზრდოს რამე გადაურჩა, 30—45 კაპეიკათ. საზრდოს ნუ გადაარჩენს, თუ კაცია, როდესაც ყოველ მხრიდან კარზე ადგანან შინაური და გარეშე მოვალეები“ (ს. ცნ. ფურ. № 2,010).

აქ მოყვანილი ანგარიში ნათელყოფს რენტის გავლენას გლეხის ბიუჯეტზე. გლეხი აგებს, ზარალობს, მარა მაინც

მუშაობს. აქ ჩათვლილი არ არის ბავშვების მუშაობა. მაშინ როდესაც ეყენი დიდ შრომას ეწევიან მეურნეობაში. არსად ისე არ ილახება ბავშვი, როგორც აქ. დაბავშვების დროს კანონითაა განსაზღვრული ბავშვთა მუშაობა, ხოლო მეურნეობაში კი დედ-მამის და უფროსთა სრულ ნებაზეა მიმდებელი. დიღის ადრე აღდგომა, გვიან დაწოლა, ფეხშიშველ და დაფლეთილ ტანისამოსით დარ-ავტარში გარეთ ყოფნა, თავის დროზე არც მოსვენება, არც ჭამა—ერა: სიტყვი ცხოვრების სრული არე-დარევა ქანცავს და სამუდამოთ შლის ბავშვის აგებულებას. ქართლ-კახეთში ბავშვებს სკოლაში არ გზავნიან, იმიტომ რომ სამუშაო აქვთო. მაშასადამე სამეურნეო მუშაობა არის მიზეზი არა მარტო ბავშვთა ფიზიკურათ დასუსტების, არამედ სრული უსწავლელობისაც.

დეფიციტი თითო ოჯახის ბადებს დეფიციტს მთელი სოფლის და მთელი მხარისას. ამ მხრით საყურადღებოა გამოკვლევა ვორონეჟის გუბერნიის სამი მაზრის შესახებ, რაც აშენებულია თვითო ოჯახის ბიუჯეტის ანგარიშზე. აი ეს ცნობები: ზადონსკის მაზრაშია 15,525 კომლი გლეხნი, სამეურნეო ნაწარმოების გაყიდვით შემოსვლიათ 390,178 მან. გასავალი ყოფილა: ოჯახის მოთხოვნილებანი—784,061 მ., რენტა—239,072 მ. დეფიციტი—632,955 მ. კოროტაიკის მაზრა: 20,232 კომლი, შემოსავალი მეურნეობიდან—1,280,206 მ. გასავალი ოჯახის—1,017,727 მან., რენტა—304,789 მ. დეფიციტი—42,310 მ. მესამე ნიჟნედვეიჩის მაზრაში ყოფილა 70,103 მ. დეფიციტი. აქ გასავალში არ არის ჩათვლილი სახელმწიფო გადასახადი, თუ იმასაც მივალთ, მატინ დეფიციტი დაღათ იმატებს. მაგ. ზადონსკის მაზრა იხდის 271,729 მ., კოროტაიკის—504,608 მან. ნიჟნედვეიჩის—511,285 მ. აშკარაა, ეს სამი მაზრა მეურნეობის გარეშე უნდა ეძებდეს დეჟაკატას დასაფარავ საშუალებას. და რადგანაც მრეწველობის განუვითარებლობით ესეც გასაქარია, ცხადია „ნედომიკები“, სილატაკე, შიმშილობა და სხვა ამისთანები ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა გადაქცეულიყო. ეს ასეც მოხდა. 1895—1897 წელიწ. ევროპის რუსეთში ორთა-შუა რიცხვით წილიწადში მოვიდა 2186 მილიონი ფუთი ხორბალი; ამავე დროს საზღვარ გარეთ გაიტანეს 656 მილიონი ფუთი. დარჩა 1530 მილ. ფ. ანუ სულზე 14,6 ფუთი, რამაც უნდა გამოკვებოს: კაცი, პირუტყვი და სათესლეთაც დარჩეს! აი ამას ქვია ნამდვილი შიმშილობა. მეურნეობა რომ დეფიციტს აძლევს ხალხს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხორბლეულობის მომუშავება თანდათან კლებულობს. მაგ., მეორმოცე წლებში ევროპის რუსეთში (გარდა პოლონის და ფინლიანდიისა) საშუალო რიცხვით მიადოდა 250 მილიონი ჩეტვერტი წელიწადში, 1890—94 წწ. კი მოვიდა 315 მილიონი, მოიმატა ერთი მეოთხედი, სამაგიეროთ მცხოვრებთა რიცხვი კი გაორდა! ამავე დროს საზღვარ გარეთ გატანა ჩქარის ნაბიჯით მატულობს. მაშ რას ჭამს ნეტავი გლეხი? ის საქმელს იკლებს, ნამუშევარს ყიდის, ოღონდ გარეშე მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ხოლო თვითონ კი შიმშილობს.

ასეთია არა-კაპიტალისტიური მეურნეობის შედეგები. აქ გლეხი ძალ-ღონეს იცლის, წლებზე ფეხს იდგამს, არავითარ შრომას არ ერიდება, მოთხოვნილებას იკლებს—ერთი სიტყვით ადამიანი პირუტყვით ხდება, რომ ამით სხვადასხვა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

გ. მარშალაძე.

4) „Russian Village“ იხ. გურჯიის 1892 წ. გვ. 54. აქ არის მოყვანილი ტიპიური ოჯახის ბიუჯეტაც. ეს წი გნი არის რუსულთა. 5) „Bulletin Russe“ 1898 გვ. 231. ოფიციალური გამოცემა.

შავი ქვის მრეწველთა V კრება.

II. კრების მოღვაწეობა.

პირველ ორ წერილში ჩვენ გავარჩიეთ საბჭოს ორ წეს-ლიწად-ნახევრის მოღვაწეობა და დავინახეთ მისი სრული უნიჭობა, როგორც კრების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ისე შუამდგომლობათა აღძვრასა და ქონების მართვა-გამგეობაში. თვითოეული ამ ბრალდებათაგანი საკმარისი უნდა იყოს, რომ ყოველმა გაგებულმა და მიუდგომელმა პირმა შესაფერი განაჩენი წარმოსთქვას და საბჭოს ასეთი მოქმედება სასტიკად გააკახოს. თვით საბჭოს თავმჯდომარეც, თუკი მას ცოტაოდენი გულწრფელობა და საქმის სიყვარული მოეპოვება, უნდა ცდილობდეს თავი დაანებოს იმას, რის გაკეთებაც არ ძალ-უძს და საზოგადოებას სთხოვოს სხვისი არჩევა. ეს ასე უნდა წარმოებდეს ყველა გულ-შემატკივარ და უანგარო მოღვაწეთა შორის.

მერე, როგორ მოიქცა ქიათურელთა კრება? როგორ მოიქცა ბ. ზდანოვიჩი? ორივემ განსაცვიფრებელი საქმეები მოიმოქმედეს, ორივემ საშუალოთ თავი მოსჭრა ქართულ მრეწველთა კლასს და ქართველ გაბატონებულ ინტელიგენციას. ეს ისეთი დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, ეს ისე ახასიათებს ჩვენ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას და ნათელ ყოფს ქართულ პრესას, რომ ღირს ყველა ეს გულდასმით გამოავკლიოთ და მკითხველის ყურადღება აქეთვე მივაპყროთ. ამისათვის ჩვენ ვისარგებლებთ კრების იმ ანგარიშებით, რომელნიც დაბეჭდილია საბჭოს მონა-მორჩილ ორგანოებში, „ივერია“—„ცნობის ფურცელში“. ეს გაზეთები ყოველ ღონეს ხმარობენ ბ. ზდანოვიჩის და კომპანიის გასათეთრებლად და ოპოზიციის გასაშავებლად. ესენი არ დარიდებან ისეთ სათაკილო ხელობასაც-კი, როგორც ანგარიშების მიდგომით დაბეჭდვა. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიყვანოთ ის, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენებამ, რომელიც კრებაზედ იქმნა წაკითხული, ამ გაზეთების ფურცლებზედ ვერ პოვა ადგილი, ვერც ვრცლად და ვერც შემოკლებით. ასე რომ მკითხველი იძულებული გახადეს მოხსენების შინაარსი ზდანოვიჩის სიტყვებიდან გაეგო, ხოლო რა ღირსების სიტყვებია ეს—ამას ქვევით დავინახათ. ერთი სიტყვით, ქუთათური ინტელიგენცია და „ივერია“—„ცნობის ფურცელი“ შეერთდენ და ზდანოვიჩის წინამძღოლობით იერიში მიიტანეს მიუდგომელ კრიტიკაზე. დამარცხდა კრიტიკა, გაიმარჯვა ბალიალობამ. კრების უმრავლესობამ მოიწონა საბჭოს მოქმედება და გაკიცხა სარევიზიო კომისია¹⁾.

რა უმრავლესობაა ეს და როგორ შესდგა ის?

ეს უმრავლესობა კრებაზე კი არ შემდგარა, ის ზდანო-

¹⁾ სარევიზიო კომისიის წევრნი არიან: ბ. შუტცი, ო. ტურკიანი, და მის. საყვარელიძე. ხოლო მთავრობის მხრით ინჟინერი მარკოვსკი; გარდა უკანასკნელისა ყველა ახლებია და პირველათ განიხილეს საბჭოს საქმეები, მაშასადამე მთელი ახლანდელი კრიტიკა საბჭოს მოღვაწეობის, რომელიც მოხსენებაშია მოთავსებული, ამათი შრომის ნაყოფია და არა მარკოვსკისა. და აი საბუთი: მესამე კრებაზე წარმოდგენილი სარევიზიო მოხსენება, რომლის ერთი ავტორთაგანი იყო მარკოვსკი, ყველაფერს „სამაგალითოთ“ პოებს, გარდა ბუხგალტერის ნაწილისა (Труды III го Съезда“ გვ. 30—31) ცხადია, წლებანდელ რევიზიაში დიდ როლს თა, მაშობენ ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირი და არა მარკოვსკი, და თუ ამ უკანასკნელს ენებთან განსაკუთრებით—ეს ერთი იმიტომ, რომ ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნავირს ტეხენ, მეორეთ—ქ უფრო მოსახებრებელია ლიბერალურ ფრაზებში ვახვევა და გულუბრყვილობათა მოტყუილება, ასეთ ხერხს მიმართა კრებაზე ზდანოვიჩმა და ასევე მოქმედებენ მისი ხელქვეითნი თანამშრომელნი „ცნობის ფურცლისა“— (იხ. 28 იანვრის და სხვა ნომრები).

ვინის თავის დასაცავ სიტყვის შემდეგ კი არ გამოაკვირულა, იმას ჯერ კი არ მოუსმენია ორივე მხარე და მერე კი არ წარმოუთქვამს თავისი განაჩენი; არა, ის კრებაზე წარმოდგენილი და შემდგარი იყო, მან განაჩენი კრებამდე შეუდგინეს) და სხდომებზედ ესწრებოდა პირდაპირ ზდანოვიჩის საქმე-სადიდებლად და ოპოზიციის სალანძღავათ. ის საბჭოს თავმჯდომარეს ყოველ სიტყვაზე „უჩას“ უძახოდა, ხოლო მოწინააღმდეგეთ აჩუქებდა. უჩას ძახლი გადაიქცა თავის ხელობათ და ბ. ზდანოვიჩი თავის სათაყვანებელ კერპათ. ეს უჩა—უმრავლესობა პირველ კრებაზედვე ახმაურდა და მით გვაძცნო, ჩვენ მსაჯულნი კი არა, მონები ვართ საბჭოსიო. მან ამოსაღები დაიწყო ბ. დ. მდივნის ძლიერად ამარჩევით, იმ მღვანის, რომელიც უარპყო მრეწველთა მესამე კრების უმრავლესობამ, როგორც არამიუდგომელი კაცი. და რომ ეს ასეა—ამჟამად მისი ოქმებიდან; ჯერ მან ერთი ოქმიც ვერ შეადგინა ისეთი, რომ წინააღმდეგობა არ გამოეწვიოს კრებაზე და ეს არა მარტო ოპოზიციისაგან, არამედ გარეშე პირებისაგანაც, მაგ. სახალხო სკოლათა ინსპექტორი ნოვოსპასკი აბრალებს თავის აზრების დამახინჯებას, მღვდ. მჭედლიძე მისი სიტყვის გამოტოვებას და სხ. სამაგიეროთ ბ. ზდანოვიჩის სიტყვას-კი სტენოგრაფიულათ სწერს, როგორც ეს ერთმა წევრმა შენიშნა კრებაზე. ხოლო როცა ვეჭილობათა შესამოწმებელ კომისიის არჩევაზე მიდგა საქმე, ამ უჩა-უმრავლესობამ ასტეხა ყვირილი: „არ გვინდა, ემერიკი, ემერიკს კენჭი კუყაროთ, მხოლოდ სხვება უყენჭოთ ავირჩიოთ“, არ გვინდა მარკოვსკიო და სხ. („ივ.“ № 7). და ეს იმიტომ რომ მარკოვსკი სარევიზიო კომისიის წევრი იყო და ემერიკი ზდანოვიჩის მოწინააღმდეგე. მეორე სხდომაზე ბ. ზდანოვიჩი „ცრუს უწოდებს ბ. ნ. ჭიჭინაძეს, ხოლო როცა ეს სამაგიეროთ ასევე უპასუხებს, უჩა—უმრავლესობა ჭიჭინაძეს ლანძღავს, ხოლო ზდანოვიჩს კი უწონებს („ივ.“ № 8, „ცნ. ფ.“ № 2037).

ამ გვარად, საბჭოს კრების დაწყებამდის შეუყენებია თავის მომხრე უმრავლესობა და ამ „საბუთით“ აღჭურვილი გამოცხადებულა სხდომაზე. რას ნიშნავს ეს? ცხადია რასაც ნიშნავს; ეს ნიშნავს ჩუმ-ჩუმათ ავიტაციას, მკეკნჭეთა სხვადასხვანაირ საშუალებით შოვნას, ვეჭილობათა გამორთმევას, ოპოზიციასზე ჭორების გავრცელებას და მით სახელის გატეხას—ერთი სიტყვით ფარულ და საძრახის ზომების ხმარებას. ამ გზით მუშაობა ყოველგან და ყოველთვის სასიარტხვილოთ არის მიჩნეული, მარა კიდევ შეიძლება რამოდენიმე გამართლდება მაშინ, როცა ყველა ეს უანგარობის შედეგია და არა ანგარების, როცა ამას იწვევს საქმისადმი გულშემატკივრობა და არა პირადი ინტერესები. მერე ამ მოტივით ხელმძღვანელობდა საბჭოს პარტია უმრავლესობის შედგენაში? განვიხილოთ ვინ არიან ამ პარტიის წინამძღოლნი და უმრავლესობის მეთაურნი.

ამ პარტიის დედა-ბოძია საბჭოს თავმჯდომარე—ბ. გ. ზდანოვიჩი. იმავე დროს ის არის მეთაური მრეწველთა კერძო ამხანაგობის, სახელ-წოდებით „შავი ქვა“. თუმცა „შავი ქვის“ და მთელი მრეწველთა კრების ინტერესები ხშირათ ეწინააღმდეგება ერთმანერთს, როგორც კერძო და საზოგადო საქმე, მარა ბ. ზდანოვიჩი მაინც ცრევის მეთაურია; მის ხელშია აგრეთვე ქსენონი და ქაათურის ბანკი, სადაც ჯამაგირიანი ადგილები ბლომათაა. ის არის გამგე ინჟ. მიხაილოვის მიერ დაარსებულ მილით წყლის გამომყვან ამხანაგობისა ქუთაისში; ის არის ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო დაწესებულების რჩევის თავმჯდომარე, რომლისაგან მაშასადამე, დამოკიდებულია სესხის გაცემა და სხ.-და-სხ. ყველა ეს თანამდებობა უჭერია ბ. ზდანოვიჩს, იმიტომ რომ ის კრე-

ბის საბჭოს თავმჯდომარეა. ყველა ამ დაწესებულებათა ინტერესია მრეწველთა კრებას, სადაც ბევრი ფული და საქმეები, რამე ჩამოთალოს, ხოლო ამისათვის-კი საქაროა საბჭოს მომადლიერება. „შავი ქვა“ ფულს სესხულობს საბჭოსაგან, ქათურის ბანკის და ქსენონის მოსამსახურენი ადგილებს და ჯამაგირებს ღებულობენ მისგან, ქუთაისის საკრედატო ბანკი მუშტარს შოულობს ქიათურაში, ინჟინერი მიხაილოვი წლიურ ჯამაგირს და კიდევ საქმეებს ღებულობს საბჭოსაგან. როგორც ხედავთ, ბ. ზღანოვიჩის პირდაპირი ინტერესია. დარჩეს თავმჯდომარეთ, რომ ყველა ეს ადგილები შეინარჩუნოს. მეორე მხრით, ყველა ეს დაწესებულებები დაინტერესებულია ბ. ზღანოვიჩის გამარჯვებაში. „შავი ქვა“—იმითომ რომ მასი მარყუჯები ხელთ-უქარავს ბ. ზღანოვიჩს, საითაც გაიწვევა იქით უნდა გაიწიოს ამხანაგობა, თვარა კირსერზე მოუქურს და დაიხრჩობს. ასეთ გაჭირებაში ჩავარდნილი წვრილი მრეწველნი, რა ძალა აქვთ, რომ მათ ბატონს არ დამოაჩიოდნენ. დაინტერესებულია აგრეთვე: ქათურის ბანკის დირექტორები, ქსენონის ექიმი და ინჟ. მიხაილოვი, იმატომ რომ შეიძლება ახალმა თავმჯდომარემ მათ ჩამოართვას საბჭოს „ულუფა“ და ეს მოგეხსენებათ სანატრელი არ არის.

ერთი სიტყვით, აქ მთელი წრეა შემდგარი, რომლის ტყვე და მეთაური ბ. ზღანოვიჩია. ამან ძალიანაც რომ მოინდომოს ადგილის დატოვება—ესენი არ დაანებებენ, თავის თავათ ცხადია, რომ ამ წრის წევრნი საბჭოს პარტიის ბელადებიც არიან. აი ესენი:

თ. კატა (ივანე ივანე) აბაშიძე, დირექტორი ქიათურის ბანკისა; ამან კაი ხანია მწერლობა ჯამაგირზე გადასცვალა და კრებაზედაც იმდენი მოახერხა, რომ მის მიერ მიტოვებულ ასპარეზს წიხლი ჩაახვია. მან მოიმხრო საბჭოს მორჩილ „ივერია“—„ცნობის ფურცლის“ უბადრუკი კორესპონდენტები¹⁾ რომელთაც სხვათა შორის თავმჯდომარემ შემოუთვალა დაეტოვოთ თქვენ ლოქაში, თვარა პოლიციის ძალით გარეთ გაგზავნათ—და ამავე თავმჯდომარის წინაშე ბოღში მოიხადეს, ჩვენ არ ვეერთდებით „კავკასის“ კორესპონდენტს პრესის ღირსების ღირსების საქმეშია! ოდუნდაც! ეს ვაჟბატონები კრებაზედ იმითომ ხომ არ არიან, რომ პრესის დროშას ქვეშ იმუშაონ, არა, მათთვის საკმარისია საბჭოს დროშა და ამას კიდევაც ანაცვალეს პრესა. ეს ფაქტი ყველაზე უფრო ნათელ ყოფს „ივერია“—„ცნობის ფურცლის“ სულის კვეთებას. ამ უკანასკნელმა მოწინავე წვრილით (№ 2043) დაადასტურა პრესის ღირსების შელახვა და მით საჯაროთ გავაცნო, პრესას ზღანოვიჩი გვირჩევენია.

თ. კ. ბ. თუმანიშვილი—დირექტორი ქიათურის ბანკისა, მამასადამე საბჭოს ხელქვეითი.

თ. ზ. თუმანიშვილი, რომელიც აღტაცებულია საბჭოს მოქმედებით („ივ.“ № 17), არის თავმჯდომარე ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის და მამა თ. კ. თუმანიშვილისა.

ს. დ. ჯაფარიძე, ქიათურის ქსენონის ექიმი, რომლის შესახებ არა ერთი წვრილი ყოფილა დაბეჭდილი ჩვენს გაზეთებში, არ ასრულებს თავის მოვალეობასო, იმყოფება ბ. ზღანოვიჩის საფარველს ქვეშ.

ინჟ. მისაილავი, საბჭოს ინჟინერ-კონსულტანტი, იღებს 1,500 მ. ჯამაგირს წელიწადში, გარდა ამისა საბჭო ყოველწლიურ „საინჟინერო“ საქმეს მას უთმობს გასაკეთებლათ და სასყიდელს აძლევს. თუმცა ის სამთა ინჟინერია, მარა საარ-

ხატეკტორა საქმეებსაც ის აკეთებს (მაგ. აბანო), მიხაილოვი ზღანოვიჩის ხელქვეითია ქიათურაში, მარა სამაგიროთ ქუთაისის წყლის გამოყვანის საქმეში ზღანოვიჩი მიხაილოვიც ხელ-ქვეითი.

ი. ნიქარაძე, გ. ცერცვაძე, ი. გამყრელიძე და სხვები არიან საბჭოს წევრნი, იღებდნენ თითო სხდომაზე 15 მანეთის მაგიერ 30 მ. და სარევიზიო კომისიის მოხსენება მათაც ეხება.

ყველა აქ ჩამოთვლილი პირნი არიან საბჭოს გამარჯვებაში პირდაპირ ჯიბით დაინტერესებულნი, ამიტომ შეადგენენ ერთ მაგარ რგოლს, რომლის შუაში მომწყვედულია ბ. ზღანოვიჩი და მას ყოველი „ფათერაკისაგან“ ფურავენ. ამ პირველ რგოლს შემდეგ კიდევ არის მეორე რგოლი, რომელსაც შეადგენენ პირველის მეგობარნი, ნათესავნი და სარგებლობის მაძიებელნი. ამათ შორის კრებაზე განსაკუთრებით თავი იჩინეს შემდეგმა პირებმა: კ. ბაქრაძე, ინტელიგენტი მრეწველი, ბ. ზღანოვიჩის მუდმივი ადიუტანტი; ეს ყოველ დროს მზათა საბჭოს სამსახური გაუწიოს და ამისათვის არაფერს არ დაერიდება. წელს მან წარმოადგინა სარევიზიო კომისიის გაკიცხვის წინადადება. ის ძლიერ დახელოვებულია კენჭების შოვნაში და ზღანოვიჩს რომ ის არ ყავდეს, ძალიან გაუჭირდებოდა საქმე.

თ. ზ. წულუკიძე, ინტელიგენტი მრეწველი, მუშების დიდი წინააღმდეგი. მრეწველთა მესამე კრებაზე ის წინააღმდეგა მუშებთან ანგარიშის საქმის დღეს გასწორების პროექტს და განაცხადა: ამ პროექტით ყველაზე უფრო თვით მუშები წაგებენო²⁾. ის არც პრესას ცნობს; მან ასე მიმართა კორესპონდენტებს: „თუ რამე საქმე გაქვთ, თქვენთვის გააკეთეთ, ჩვენ რას გვიშლით ხელსო“ („ივ.“ № 14). პრესა ვითომ მათთვის კი არ არსებობს, არამედ თვით თანამშრომლებისათვის.

ბარათ. მოსკოელი, მონიტორი მრეწველი, მეტი „ზღანოვიჩისტია“, ვინემ თვით ზღანოვიჩი; მესამე კრებაზე საბჭოზე უფრო ის ეწინააღმდეგებოდა საბჭოს ქიათურაში გადატანას³⁾. ახლანდელ კრებაზე მან ხელობათ გაიხადა ზღანოვიჩის ნათქვამის „პოპულარიაცია“, რასაც ის წინასხდომაზე იტყვის, ეს შემდეგ სხდომაზე გაიმეორებს. ესეც ერთხელ „მაღალი მატერიით“ იყო გატაცებული, მარა ჩქარა ეს, ზღანოვიჩით, ოქროზე გადასცვალა; მე მგონია ბ. ბარათლომეს სწორედ ამიტომ მოსწონს ბ. გიორგი, რომ თავდადმარათ გზაზე ამხანაგი იშოვავ, და კიდევ როგორი ამხანაგი!

წვრილებს აღარ მოეხსენიებთ.

ამათ უნდა მივუმატოთ კრების თავმჯდომარე, რომელსაც 700 მ. მიუღია საბჭოსაგან რაღაც საქმეების ვაკეთებისათვის. ის ყოველ დღეს ხმარობდა, ოპოზიცია ჩაეჭუმებია და საბჭოს პარტია ელაპარაკებია. მოწინააღმდეგეთ ხშირათ არ აძლევდა სიტყვის ნებას. საკმარისია შემდეგი მაგალითი: ქვარაიანს ნება მისცა მოხსენება წაეკითხა იმ პირობით, რომ შემდეგ ამ მოხსენების შესახებ კამათის ნებას არავის მივცემო. მაგრამ მიუხედავად ასეთი განცხადებისა, მან ბ. ზღანოვიჩს ნება მისცა ქვარაიანის მოხსენება გაეჩინა. ხოლო, ქვარაიანს კი ნება არ მისცა პასუხი გაეცა! („ივ.“ № 19—20).

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ საბჭოს პარტიამ პრესა არა ერთხელ შეურაცხყო კრებაზე. ბ. ზღანოვიჩმა განსაკუთრებით „კვალი“ გამოლანძღა, კიტა აბაშიძემ, როგორც ზვეით მოეხსენიეთ, „ივერია“—„ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტებთან ერთათ ბოღში მოიხადეს პრესის შეურაცხყოფელის—თავმჯდომარის—წინაშე. ამას თხოვნით მიმართეს (გაეგზავნათ ბ. მახარაძე) ათი კორესპონდენტი ერთ ლოქაში ვერ ვეტივით და გთხოვთ მეორე დავითმოთ. თავი დამანებე,

*) „ნოვოე ობოზრენიეზე“ ლაპარაკიც არ ღირს, აქ იმდენი ტყუილები იბეჭდება საბჭოს შესახებ, რომ მგონი „ცნობის ფურცელსაც“ შერცხვეს ასეთი ქებათა-ქების, მაგ, „ივერიის“ ავტორიტეტი „ომი“ ირწმუნება საბჭომ ქიათურაში სახალხო კითხვები გამართაო (№ 6275), თუმცა საბჭოს „ანგარიში“ გვეუბნება არ გავვიმართავსო.

*) იხ. „Труды III съезда“ გვ. 23.
*) იხ. გვ. 70.

თვარა პოლიტიკის ძალით გარეთ გაგრეთო—მიუგო მან***) (ივ. № 12). პრესის წინააღმდეგ ვილაშქრა თვით საბჭოს ურა-უმრავლესობამ, რომელმაც კიტა აბაშიძეს მიანდო (ასე განაცხადა მან) ბოლიშის მოხდა თავმჯდომარის წინაშე (ცნ. ფურც. № 2042).

აი, რანაირ გარემოებაში მოხდა ახლანდელი კრება. აქ ყველაფერი წინდაწინვეა მოწყობილი, კრებამდია განმზადებული, განსჯამდია მსჯავრი წარმოთქმული. ბ. ზდანოვიჩის არის უმრავლესობა, თავმჯდომარე, მდივანი, ქართული ყოველდღიური გაზეთები—ყველაფერი, და ყველა ეს რატომ? იმიტომ, რომ ბ. ზდანოვიჩმა და მისმა ზემოთ ჩამოთვლილმა ხელქვეითებმა ადგილები შეინარჩუნონ, ჯამაგირებო იღონ, ხოლო საქმე კი არაფერი აკეთონ! ეს გახლავს პირადი სარგებლობის პარტია, პარტია ბურჟუა-ინტელიგენციისა, რომელსაც სხვადასხვა მანქანებით (კრედიტით, ამხანაგობა «შავი-ქვით» და სხ.) დაუმორჩილებია მრეწველთა დიდი ნაწილი და მის ზურგზე წამოწოლილი განცხრომის მისცემია*). რაც შეეხება ოპოზიციის წევრთ, რომელთაც კვალელთ უწოდებენ, არც ერთი იმათგანი პირადათ არ არიან დაინტერესებული ამ საქმეში. ცხადია, აქ სრული უანგარობა სუფევს და თუ მონაწილეობას ღებულობენ—ეს საზოგადო საქმის სიყვარულით. აი ასეთი განსხვავებაა ბურჟუა-ინტელიგენტთა და კვალელთა შორის.

ახლა ვნახოთ, რა ფოკუსები ითამაშა ამ ბურჟუა-ინტელიგენციამ კრებაზე, რანაირი მალაყები ათამაშა მისი ურა-უმრავლესობა და როგორ „დაარდვია“ მან სარევიზიო კომისიის მოხსენება. წვრილმან კინკლაობასაქ რასაკვირველია არ შეეხებოთ.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენი ბრალდების ერთი ნაწილი ამოღებულია იგივე საბჭოს „ანგარიშიდან“, ხოლო მეორე ნაწილი სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან. პირველი კრებაზე ვრცლად ანუხსა ექიმმა კიკინაძემ „ცნ. ფურ.“ № 2047) და ბ. ზდანოვიჩის პასუხი მოსთხოვა. მერე როგორ მოიქცა ის? ძლიერ უბრალოთ, მას სათქმელი აღარაფერი ქონდა და გაჩუმება არჩია. კიკინაძის ბრალდებაზე ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, არც მას და არც სხვა რომელიმე წევრს მისი პარტიისას. ცხადია, საბჭომ იცნა, რომ მას მესამე კრების არც ერთი მონდობილობა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ არ აუხსრულებია და მით თავისი ანტიმუშათა მოქმედება საჯაროთ დაამტკიცა. ბ. ზდანოვიჩი არც კი ცდილა ეს დანაშაულობა ოდნავათ მაინც შეემსუბუქებია, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თავისი მაკჯახილი უმრავლესობა ამაში საყვედურს არ ეტყოდა. ერთათ ერთი რეფორმა ბ. ზდანოვიჩის მიერ შემოღებული, სახელდობრ მუშათა დაზღვევა, იმდენად უხამსი და უსარგებლო გამოდგა, რომ მის ყურმოქრილ უმრავლესობამაც კი დაიწუნა და კომისია ამოირჩია დაზღვევის ახალი წესის შესამუშავებლათ (ც. ფ. 2051) ამნაირათ ბ. ზდანოვიჩის შავი-ქვის მუშებისათვის სრულიად არა გაუკეთებია-რა; ის, როგორც ბურჟუა-ინტელიგენციის მებაიარატრე, მუშათა მდგომარეობას უყურადღებოთ ტოვებს და მაშინაც კი არას აკეთებს, როცა კრება ავალებს და ფულსაც დებს. მესამე, კრების ოპოზიციამ სწორეთ იმიო ისახელა თავი, რომ მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციათა მუშათა შესახებ, და აი არც ერთი ეს საბჭომ მუშებს არ მიაკარა. ასეთ პირის ფერხთა მტერათ გამხდარა „ცნობის ფურცელი“, რო-

***) ეს ეპიზოდი სრულიად არ არის მოხსენებული „ცნობ. ფურ.“ ანგარიშში და მარდაპირ ნიკოლაძეს შეტაკებიდან იწყება, ასე რომ კაცს ვერ გიჯგია, რა მიზეზით მოხდა ეს შეტაკება. და ეს ამბავი აღბათ იმიტომ დამხინჯა გაზეთმა, რომ ზდანოვიჩის თავმჯდომარე გაემართლებია.

მელიც დემოკრატიზაში ხშირად თავს დებდა! ამიერიდან მაინც ვაიგებს ქართველი ხალხი ვინ არის მისი ნამდვილი მოკეთე და ვინ ფარისეველი.

როგორ ვყარობა ბ. ზდანოვიჩი მრეწველთა მოხსენებებში ამის პასუხს იძლევა სარევიზიო კომისიის მოხსენება, მაგრამ რადგანაც ეს ბურჟუა-ინტელიგენციამ სადაოთ განადა, ამიტომ საჭიროა ამ საგანზე ვრცლათ მოლაპარაკება. ბ. ზდანოვიჩმა ამ მოხსენების წინააღმდეგ ორი დღე ილაპარაკა, რაც ვრცლათ არის მოთავსებული მის ხელქვეით ორგანოებში. პირველ ყოვლისა ის შეეხო იმ კითხვას, თუ როდის უნდა მომხდარიყო რევიზია. კომისია მისულა საბჭოში 3 ნოემბერს რევიზიის მოსახდენათ, მაგრამ დავთრები და ანგარიშები დამთავრებულია და საბჭოს მიერ შემოწმებული არ ყოფილა. გაშინჯეთ მარტო ეს ფაქტი; მესამე კრებიდან ე. ი. 1900 წლის ივლისიდან, 1902 წ. 3 ნოემბრამდის შემოსავალ-გასავლის წიგნები არ შეუმოწმებია საბჭოს! რომელი დაწესებულებაა, ისეთი, სადაც ორ წელიწად-ნახევარს კი არა, ყოველ წელიწადს რომ არ მოყავდეთ წეს-რეგში ფულის საქმე მაინც? აი ასეთ მზრუნველობას უწევს საბჭო მრეწველთა საქმეებს. საკვირელი ის არის, რომ ბ. ზდანოვიჩი ამ თავის დაუდევრობას ამართლებს და კომისიას უსაყვედურებს. ის ამბობს: „ჩვეულებრივ რევიზია ხდება ხოლმე იმ დროს, როცა კრების ვადა ოფიციალურათ გამოცხადდა. მაშასადამე ამ დროისათვის უნდა იყოს ყოველივე დამთავრებული“ (ივ. № 16), ხოლო კომისია კი აღრე გამოცხადდაო. მარა, ეს ჩვეულება არის მხოლოდ იმ დაწესებულებათათვის, სადაც კრება ყოველ წელს ხდება და არა იმათთვის, სადაც კრება 3, 4 და 5 წელიწადში ერთხელ არის ხოლმე. ნუ თუ კომისიამ უნდა იცადოს მთელი წლები? ამ დროს განმავლობაში შეიძლება საბჭომ სულ მთლათ დაანგრიოს საქმე და სარევიზიო კომისია ამას გულხელდაკრფვილი უნდა უყურებდეს? და რომ რევიზიის ხშირი მოხდენა სასარგებლოა—ეს თვით ზდანოვიჩის სიტყვებიც სჩანს, როცა განაცხადა: ქსენონის ზედამხედველი გამრეკელი და ტენიკი წერეთელი კომისიის რევიზიის მიხედვით დავითხოვეთო (იქ.). ხოლო ეს რევიზია კი გასულ წლის იანვარში და თებერვალში მოხდა. გარდა ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ მანვე განაცხადა კრებაზე: „თვითონ სამინისტრო იმ ამბრისაა, რომ რევიზია ერთჯერ მოხდეს წლის დასაწყის და მთელი წლის ანგარიში წარუდგინოს კრებას“ („ც. ფ.“ 2052). აშკარაა, რევიზია საჭიროა ყოველ წელს, ხოლო ბ. ზდანოვიჩმა კომისია ორ წელიწად-ნახევარს შემდეგაც არ მიუშვა რევიზიის მოსახდენათ. რევიზორები, რასაკვირელია ძალას ვერ იხმარდენ და უკანვე დაბრუნდენ. 13 ნოემბერს მიიღეს საბჭოს მოწოდება და იმავე დღეს შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას. საბჭოს თავმჯდომარე კომისიას უსაყვედურებს აგრეთვე იმას, რომ მოხსენება მე არ წარმომიდგინე კრების წინ რადენიმე დღითო. ამის შესახებ წესდების მე-18 მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ კომისიამ მოხსენება უნდა წარუდგინოს კრების პირველ სხდომას და არა საბჭოს*). მიუხედავათ ამისა კომისიის ერთ წევრს 3 იანვარს მიუტანია მოხსენება საბჭოსთვის, მაგრამ არ განუხილავთ, დრო არ გვაქვსო; შემდეგ მიუტანია 5 იანვარს [„ც. ფ.“ 2042]. აქ, როგორც ხედავთ, დაკუთლია კანონიერობა და რიგიანობა, მარა ბ. ზდანოვიჩის მაინც დასჭირდა ამ საგანზე ელაპარაკა და ამით დაემტკიცე-

*) „Ревизионная комиссия проверяет правильность действий совѣта по приходу и расходу всѣх сумм съѣзда и завѣряет соотвѣтствіе ихъ постановленіямъ съѣзда; отчетъ свой она представляетъ нь первому засѣданію съѣзда.“

ზია თვით შინაარსის სიყალბე! მოამზადა-რა სიტყვების ასეთი შადრევანით კრება, შემდეგ შეუდგა ბრალდების განხილვასაც.

1, ეს ბრალდებანი: „არ არის შავი დაკთარი. ამის შესახებ ბ. ზდანოვიჩი არას ამბობს, ხოლო მისი ბუხგალტერ პურადოვს უთქვამს, შავი დავთარი არ წარუდგენიათ კომისიისათვისო („ს. ფ.“ 2047)! რატომ არ წარუდგინეს, ალბათ არ ღირდა წარდგენა, რადგანაც ის ყოფილა ნაწარმოები საქმის მწარმოებელის და არა ბუხგალტერის, როგორც ეს განაცხადა, და რომ ასეთი დავთარი გამოსაჩინო არ იქნება—თავის თავით ცხადია. ცხადია, კომისიის უფლება ქონდა ეთქვა, დავთარი არ არისო.

2, არის რაღაც დავთარი, სადაც შეაქეთ ისეთი ფულებიც, რომელნიც არ შემოსულა და არ გასულა კასრდგან. ამაზე პასუხი არ გაუცია არც ზდანოვიჩს და არც ვინმეს.

3, გასავალი მეტი აღმოჩნდა შემოსავალზე და მხოლოდ ბუხგალტერის გასწორების შემდეგ (по поправлению не точностей) მივიღეთ დაახლოვებით იმდენი ჯამი, რამდენიც კასაში იყო. ეს ასე გადამახინჯებულათ მოყავს ბ. ზდანოვიჩს: გასავალი მეტი აღმოჩენია შემოსავალზე, „მაგრამ როდესაც ბუხგალტერს აუხსნია, რაშია იყო საქმე, მაშინ არავითარი შეცდომა არ აღმოჩენილაო.“ („ს. ფ.“ № 2043). ნამდვილათ კი ნათქვამია, ბუხგალტერმა ჯერ შეასწორა და მერე დაახლოვებითი ჯამი მივიღეთო. აი ასე ამხინჯებს ბ. ზდანოვიჩი კომისიის სიტყვებს და აწერს მას იმას, რაც არ დაუწერიათ.

4, კასის თეთრი დავთარი თავიდან ბოლომდის სავსეა წაშლილებით, გამოანგარიშებებით და გადასწორებულებებით. ამაზე ზდანოვიჩი ამბობს: „ჯერ ერთი ისა, რომ წიგნში მხოლოდ ჯამია გადახაზული, მაგრამ თუ ერთგან დასჭირდათ გადახაზვა, შემდეგ ბოლომდე ყველგან უნდა გადახაზულიყო... არც ამონაფხევი, არც წაშლილი, არც სხვა რაიმე შეცდომა წიგნში არ მოიპოვება; ანგარისში კი მოხსენებულთა თვედინ ბოლომდე შეცდომებით სავსეა“ („ივ.“) ჯერ ერთი რომ შეცდომები მოხსენებაში არ სწერია, ეს ორატორის ჩვეულებრივი დამახინჯება; ხოლო წაშლილი და გადასწორებულები რომ არიან ციფრები—ამის ორატორივე ამოწმებს, როცა ამბობს ჯამებია გადახაზულიო. თუ ჯამია გადახაზული, ცხადია ახალი ჯამი უნდა იყოს მის მაგიერ გამოყენილი და ჩაწერილი, და ეს მთელ დავთარში. ე. ი. ერთი უნდა წაიშალოს და მეორე დაიწეროს. ამას ქვია გადასწორება, წაშლა და გამოანგარიშება, როგორც რევიზია აღნიშნავს.

5, ამიტომ ამ დავთარს დამამტკიცებელი საბუთი არ აქვსო—სწერს კომისია. და მართლა, გადასწორებულ ჯამებთან დავთარს აქვს საბუთის ძალა? ყველამ იცის რომ ასეთ დავთარს სასამართლოში, საბუთათ არ მიიღებენ. შარშან თუ შარშან წინ თფილისის ერთი მესაათის დავთარი არ იცნეს საბუთათ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე ერთფერი მცლნით და ერთი ხელით იყო დაწერილი. ეს, შეიძლება, ახალ გამოცხვარ, სადაო საქმის მოსაგებათ გაკეთებული დავთარიაო. კომისიის წევრის, შუტცის სიტყვით რეხნერს და კომპანიას საჩივარი ქონებიათ, ხოლო გარდა დავთარებისა სხვა საბუთი არ ქონებიათ (დაკარგვით), მაგრამ სასამართლოს არ შეუწყნარებია მათი საჩივარი, იმიტომ რომ დავთარებში წაშლილ-წაშლილები ყოფილა. საზოგადოაო, არა თუ საზოგადო დაწესებულებას, ყველა რიგიანი სავაჭრო სახლი ცდილობს თეთრი დავთარი შეუბღალავი იყოს, რომ ამით საქმეების დროს ისარგებლოს. ბ. ზდანოვიჩი კი გაიძახის: „ვისთქვამთ რომ ეს წიგნი მართლა საექვო იყოს, ხომ ყოველ სტატიაზე საბუთიცა გვაქვს და ძალაც ამ საბუთშია და არა

წიგნებშიო“ (იქ.) მაგრამ საბუთები რომ დაიკარგოს? რომ ნაირი გარანტია არ სჯობია (დავთარი და საბუთი) ერთნაირს? ამასაც მტკიცება უნდა? *).

6, ჩეკის წიგნის გასავალში არ არის შეტანილი ვერც ერთი გაცემული ჩეკი 1898 წლიდან. ზდანოვიჩი უნდასწავლოს: „განა ეს სათქმელია? თუ მართლა ანგარიშის გაკება უნდადათ, რა და მაინდამაინც იქ ეძებდნენ წარწერას საცა ის არ იყო, და არა იქ საცა იყო“. აქაც დამახინჯება, ამით ანგარიშს კი არ ეძებდნენ, არამედ ჩეკის ხმარების ნაკლებუდგენება აღიარეს და მეტი არაფერი. მაშ რისთვის არის ჩეკის წიგნი გამოგონებული, თუ შიგ არ აღნიშნავ გაცემულ ჩეკს?

7, ქიათურის საურთიერთო ნდობის ბანკის საანგარიშო წიგნში არ არის აღნიშნული ამ ბანკში შეტანილი ყველაფერი, რისთვისაც სარევიზიო კომისია მოკლებული იყო საშუალებას გაეგო კრების რამდენი ფული ინახება ერთ ან მეორე ბანკში. პასუხი არ არის.

8, ჩეკის ამოწრაშიაც შეცდომაა. მაგ. მე-10 ნომრის ჩეკი ამოუღიათ შემდეგ მე-25 ნომრისა. პასუხი დასტურებს, და ხსნის რანაირათ მოხდა ეს. (იქ.).

9, თავ დავთარსაც დაახლოვებით იგივე შეცდომები აქვს, რაც კასის თეთრ დავთარს. პასუხი: „ხოლო ამ დავთარს რა ნაკლებუდგენება ქონდა უკვე ვიცით“ („ს. ფ.“). ოღონდაც რომ ვიცით!

ამხანაგობას „შავიქვას“ ასესხა 5070 მ. პასუხი: მართალია, უჭირდათ და ვასესხეთო. „არც ერთს, გარდა თ. ი. ნიჟარაძის, ამბობს ბ. ზდანოვიჩი, არავითარი დამოკიდებულება არ ქონებია იმ ამხანაგობასთან, რომ რაიმე პირად ანგარიშებით ეხელმძღვანელა“ („ივ.“). აი უშველებელი ტყუილი! ამხანაგობის მეთაური არის თვით ზდანოვიჩი, ასე რომ კრებაზე კითხმა აღძრეს ან მისი თაჯდომარე იყოს და ან საბჭოსიო, და აქ კი ქვეყნის ყბად ასაღებათ ირწმუნება, დამოკიდებულობა არა მაქვსო! ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

11, კასაში აღმოჩნდა 22 კაპეკი მეტი. წვრილმანია გაიძახის ზდანოვიჩი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ სადაც მეტი შეიძლება იყოს, იქ ნაკლებაც შეიძლება აღმოჩნდეს. ხოლო ეს პირდაპირი მაჩვენებელია დავთარების უწესოთ წაყვანისა. მაგრამ ეტყობა ბ. ზდანოვიჩისათვის ყველაფერი წვრილმანია ის საზოგადო წესს არ ემორჩილება.

12, ქიათურის და ქუთაისის ბანკებში შეტანილი ფულის რაოდენობა ვერ შევამოწმეთ საბჭოს დავთარებთან, რადგან საანგარიშო წიგნებში არ იწერება. ზდანოვიჩი: „ღიად, სარევიზიო კომისია ყოველთვის იქ ეძებ საცა ვერას ნახავს! გამოდის რომ ანგარიში კი იყო, მარა კომისიის არ მოუწახავს. მართალია ეს? აი რას ამბობს თვით ბუხგალტერი: „მომთხოვეს (რევიზორებმა ეს და ეს ცნობა მოგვეციო, მაგრამ ისე უცბად სამი დღე უცბად ყოფილა) სახელდახელოთ არ შემეძლო ყველეთრის ჩვენება, რადგან ორი თვის ნაავთამყოფარი ვიყავი და ყველა ანგარიშები საბოლოოთ არა მაქს დამზადებული“ („ივ.“), ცხადია, ანგარიში მზათ არ ქონებიათ და ვერც კომისია ნახავდა იმას, რაც არ იყო.

13, საბჭომ დაკარგა 83 მ. იმით რომ მხოლოთ სამი თვით იყო ქიათურის ბანკში შეტანილი 8, 300 მ. და არა ექვსით, როგორც ის ნამდვილად ძეგს იქ какъ вклады въ

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ზდანოვიჩმა მოწმეთ მოიყვანა თავისი ბუხგალტერი, რომელმაც დამოწმა აღის სიტყვა: თვით სარევიზიო კომისიამ ჩაიღრნა შეცდომები და ჩვენ გადაგვბრალათ! ამაზე შუტცმა კითხა: „მაშ თქვენ ბუხგალტერს უფრო ვრწმუნებით ვიდრე მთელ სარევიზიო კომისიას?“ (იქ.) ასეთი შეურაცხყოფა მოიყვანა ზდანოვიჩმა კრების მიერ არჩეულ კომისიას და ერთმაც კი არ აღამაღლა ხმა მის დასაცავად. პირიქით, რევიზორები შეარცხინეს! ოინები ურა-უმრავლესობისა,

დ'БЙСТВЕННОСТИ ЛЕЖАТЬ). ე. ი. ფული თუშცა ექვსი თვე ყოფილა ბანკში, მარა საბჭოს სამი თვის ვადით შეუტანია, ხოლო მეორე სამი თვე მუქათათ ყოფილა, რის გამო პარტოცენტები (83 მ.) დაუკარგავს. რა თქვა ამზე ზღანოვიჩმა? მან ყოვლად შეუწყნარებლათ დაამხინჯა ეს და კომისიას მიაწერა სულელური მოსაზრება. მან განაცხადა: „ექვსი თვით რომ შეგეტანათ 83 მ. მეტს მიიღებდითო. დიად, 1 წლით რომ შეგეტანა, კიდევ მეტს მოვიგებდით. ორი წლით კიდევ უფრო მეტსა და სხ. ამგვარ ბრალდებასაც ადგილი უნდა ჰქონდეს მიუდგომელ სარევიზიო ანგარიშში“. აი სწორეთ ამას ჰქვია მიუდგომელი ანგარიში! მან უკუღმართათ წარმოუდგინა კრებას კომისიის შენიშვნა და ასე საზოგადოება მოატყუა. ფული ნანდვლად ექვსი თვე იყო ბანკში, ხოლო საბჭოს დაუდევრობით სამი თვის პარტოცენტი დაიკარგა; აი რაშია საქმე, ზღანოვიჩი კი ამას მალავს და ასე განზრახ შეცდომაში შეყავს თავისი უმრავლესობა.

14, საბჭოს თავის ნებით სმეტაზე მეტი ჯამაგირები ურიგებია თავმჯდომარის მოადგილეთ და წევრთათვის. ამზე ზღანოვიჩი ამბობს: „თავმჯდომარის მოადგილესა უნდა მიეღო ჯამაგირი იმ ანგარიშით, რაქდენსაც თავმჯდომარე ღებულობს მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, სანამ თავმჯდომარის მაგივრად იქნებოდა“. ე. ი. როცა ის მოადგილის თანამდებობას ასრულებს 4000 მ. კვალობაზე უნდა დაჯდოდეს. ახლა ავიღოთ მესამე კრებაზე შემუშავებული და გადაწყვეტილი სმეტა, ვნახოთ ვის რა აქვს დანიშნული. აქ სწვრია შემდეგი: საბჭოს თავმჯდომარეს (წელიწადში) ჯამაგირი 4,000 მ., მის მოადგილეს მის თანამდებობის ასრულების დროს—*замѣститель председателя Совета на время замѣщенія—2,000 მ.* აქ, როგორც ხედავთ, ნათლათ არის ნათქვამი, რომ მოადგილეს ორი ათასი მანეთის კვალობაზე უნდა მიეცეს და არა ოთხის. და თუ ზღანოვიჩი ფაქტს ამხინჯებს—ეს იმიტომ, რომ კრება ჩვეულებრივათ შეცდომაში შეიყვანოს და მით ღელო გაიტანოს. რაც შეეხება იმას, რომ წევრთ 15 მან. მაგიერ ოცდაათ-ოცდაათი აქვია—ამზე ორატორი ამბობს, „ხარჯი გვქონდა გაწეული და იმიტომ მივეციო“. სმეტაში კი პირდაპირ ნათქვამია: *членамъ совета по 15 р. равныхъ*. ხარჯი გვქონდაო! თქვენ ეგების ბევრი ხარჯები გაქვთ და ყველა ეს სხვებმა უნდა გიზღონ? როცა წევრები აიჩიეს, სმეტა უკვე შედგენილი იყო. თვითფულმა იცოდა რომ სხდომაზე 15 მ. მიიღებდა და თუ ამას არ ჯერდებოდენ, რატომ დათანხმდენ არჩევას, რატომ არ თქვენს—ჯილდო არ გეცოდნო, მარა არა, ისინი მაშინ კმაყოფილნი იყვნენ, ხოლო როცა დამარტოვდენ თავისი ნებით სმეტა შესცვალეს და სამ-სამი თუნანი ჩაიხრიალეს ჯიბეში! ამას ქვია „ლამაზი“ მოქმედება? ამას ქვია საზოგადო ინტერესების დაცვა! ამასთანავე, სხდომებიც ხშირათ მოუხდენიათ (60—საანგარიშოდროს), ე. ი. ეს მათ მიერ შემოღებული ორკაცი ჯილდო ხშირათ უღიათ, ხოლო რა ნაყოფი გამოიღეს—ეს უკვე შემოთ გავარკვიეთ. ასე უნაყოფოთ ფულის ხარჯვას იკავს ზღანოვიჩის უმრავლესობა! ზღანოვიჩი მაინც არ ტყუება და თამამათ გაიძახის: „ექიმ ჰიქინაძეს მაინცა და მაინც ის უნდა გავოიყვანოს, ვითომ ჩვენ მეტსა ვღებულობდით, ვიდრე გვერგებოდა“. მაშ მეტს არ ღებულობდით? მაშ რა არის ეს სხვისი ფულის თავის ჯიბეში ჩაიხრიალება? ანეთ ქცევას უფრო შესაფერი სახელი ქვია და იმედია თვით მკითხველი მოხვდება.

15, სტიპენდიებზე 2880 მან. ეკონომიაა გაკეთებული. ამზე ზღანოვიჩი ამბობს: „სტიპენდიების მოხონენი ბევრი

იყო, მაგრამ საბჭომ ისინი ღირსათ ვერ სცნო და სტიპენდიებზე უარი უთხრა“ („ც. ფ.“ 2046). რატომ ვერ სცნო ღირსათ? არ უჭირდათ? არ სწავლობდენ? აი, *ამხინჯებმა თქვენგნებათ ეს არის. თავისთვის სმეტაზე მეტს იღებენ, ხოლო საწყალ მოწაფეთ სმეტაზე ნაკლებს აძლევენ**).

16, ქსენონის მდგომარეობა ვრცლათ არის აწერილი მოხსენებაში, საიდანაც ჩვენ რამოდენიმე ცნობა მოვიყვანეთ პირველ წერილში. ბ. ზღანოვიჩი არც ერთ ამას უარს არ ყოფს, პირიქით ზედამხედველი გამრეკელი კიდევაც დაუთხოვინა სამსახურიდან. რატომ წინათ არ დაითხოვა? რატომ თვითონ არ მიატკია ყურადღება და არ გაიგო, როგორ მოქმედებენ მისი ხელ-ქვეითები? ეს არის მოვალეობის ასრულება? და რომ სარევიზიო კომისია გულმოდგინე და საქმის ერთგული არ ყოფილიყო ბ. გამრეკელი და ტენიკი წერეთელი ღღესაც ბ. ზღანოვიჩის ტაბლაზე იქნებოდენ შემომსხდარი. და აი, ასეთ სამაგალითო რევიზორთ კრება გაკაცხვას უტხადებს! დიად, ქართველ მრეწველთა კლასი არ არის, ის დაბადებისათანავე მოკედა...

მაგრამ ბ. ზღანოვიჩმა აქაც იშოვა საკბილო. ისე დაამახინჯა მოხსენების ადგილები, რომ კომისია სამასხროთ აღებია კრებას. ის ამბობს: კომისიამ „ასეთი მოუფიქრებელი ბრალდებაც კი მოგვდო, საშინელი სიცივეა როგორც თვით საავთმკოფოში, ისე აფთიაქსა, საჯაროსა, სარეცხისა და სხვებდრე ოთახებშიო. ნეტავ ვიცოდენ, რად ესაჭიროება სითბო მიცვალეზულს ან კიდევ სალარო ოთახს („ც. ფ.“ (,ივ.). მარა ეს ხომ ბ. ზღანოვიჩის ფანტაზიის ნაყოფია, ეს უშველებელი ცილის წამებაა კომისიაზე. აი, კომისიის სიტყვები: „*Приемная для приходящихъ больныхъ, аптека и помѣщеніе фельдшеровъ помѣщается прямо-таки въ развалинахъ, которыя вотъ-вотъ окончателно разрушатся, вслѣдствіе чего даже при форсированной топкѣ здѣсь почти та же температура, что и на дворѣ*“ (გვ. 4), ე. ი. ავთმყოფთა მისაღებ ოთახში, აფთიაქში და ფერშალთა სადგომში სიცივეაო. სად არის აქ საცხედრე; სალარო და სამრეცხელო? განა შესაწყნარებელია ასეთი დამახინჯება სხვისი აზრების, ასეთი „პოდლოვის“ კეთება და ისიც კრებაზე?

აი, კიდევ ერთი „პოდლოვი“: „ის ბრალდება, ვითომ საბჭოს არაერთარი გასამართლებელი საბუთები არ აღმოაჩნდა იმ ფულისა, რომელიც გადადებულთა სურსათ-ხორაგოყოლობისათვისო—მე მიმაჩნია განძრახ შეცდომათ... გასამართლებელი საბუთი ვერა ვპოვეთო, რომ ეთქვათ—ქათურაში ვერა ვპოვეთო—კიდევ პო, მაგრამ საზოგადოთ ვერ ვპოვეთო, ეს რასა ვავს, რა საკადრისია“—გაიძახის ბ. ზღანოვიჩი. და მართლაც რა საკადრისია ეს? რა საკადრისია ასეთი ღიდი ცილისწამების გამოცხობა და კომისიისათვის თავზე მოხვევა? სად არის მოხსენებაში ის, რომ საბჭოში ვერ ვპოვეთ სურსათ-ხორაგეულობისათვის გადადებული ფულის გასამართლე-

1) კომისია ამბობს, ბუხვალტერი თუ ქუთაისში ვერ მოძებნეთ, გამოიწერეთ ოდესიდან, კიევიდან, მოსკოვიდან, პეტერბურგვიდან და ვარშავიდან, სადაც საკამერციო სასწავლებლებია. ამზე ზღანოვიჩი ამბობს. რატომ თბილისი არ არს მოხსენებული, იქაც ხომ არის კამერციული სასწავლებელი ეს ქართული ენის კრებიდან გამომდენელი პატრიოტობს! საზოგადოების სუსტ სიმებზე თამაშობს, რომ ამით საქმე გაიტანოს. ამასვე იმეორებს მისი ყურმოჭორი ყმა (ცნობ. ფურც.) და ასე ორივე, ალაყმანი, სარევიზიო კომისიის აწერენ იმას, რაც შეიძლება არც კი უფიქრიათ. ყველამ იცის, რომ თფილისის საკომერციო სასწავლებელი ჯერსრუელი არაა, მას აკლია რამდენიმე კლასი, ასე რომ იქიდან კურს დამთავრებულს თუ უცადე ღიდი ხანი გაივლის, ხოლო საბჭოსთვის კი ახლავე საქირთა ბუხვალტერი, მაშასადამე კომისიას არ შეეძლო თფილისი მოეხსენებინა სხვა ქალაქებთან, ეს ალბათ კარგით იცის თვით ზღანოვიჩმა, მარა მალავს და ხრიკებით მოქმედებს.

ბელი საბუთიო? აი მოხსენების სიტყვები: „Выдача продовольствія больнымъ записывается съ щепетильной точностью **СМОТРИТЕЛЕМЪ**, но къ ссжалёнью, эта щепетильная аккуратность вовсе отсутствуетъ въ изразсходованнй сүммѣ для покупки провизіи: оправдательныхъ документовъ вовсе не оказалось“ (გვ. 5). აქედან ცხადია, ქსენონის ზედამხედველს არ ქონებია ნაყიდი სურსათის გასამართლებელი საბუთები და არა საბჭოს. მოხსენების პირველ გვერდზეა ნათქვამი, რომ ზედამხედველი თავის ბოლოს სწერს ასეთ „საბუთებს“, რასაც საბჭოს უგზავნის, და აი ეს ვითომ და საბუთები ინახება იქ. ერთი სიტყვით, კომისიამ ვერ ნახა ქსენონში ყოველ დღიური ხარჯების გასამართლებელი საბუთები, ამასვე ჩივის ის, ამიტომ დიხთხვავს ზედამხედველი და ყველა ამას ბ. ზდანოვიჩი ამხარჯებს კრებაზე და ასე კომისიას სასაცილოთ იღებს!

აი, რა ნაირ თავჩადმართ გზაზე დამდგარა ბ. ზდანოვიჩი, აი რა ნაირ ფარხმდრით შეიარაღებულა თავისი თავის დათქამების დასაცველათ. დიხ, მართალი თქვა ჟორჯმა, „რეაქციონური მისწრაფება და ცილისწამება ერთი და იგივეაო“. დიხ, ბურჟუა-ინტელიგენციამ რომ ადგილები შეინარჩუნონ და ძველებურათ იპარპაზონ, საქროა ცილის წამებით აღჭურვა და დონკინოტივით ქარის წისქვილებთან ბრძოლა. ამის მკრე რალა გასაკვირალია, ბ. ზდანოვიჩის მისი მარჯვენა ხელი ინჟ. მიხაილოვი (რომელმაც გზების შესახებ განაცხადა „გეგმა ვერ განვახორციელებო“), რომ ექო, მის შესახებ ეთქვა, «ნაქიერი, მუყაითი და უანგარო კაციო» (ივ.». მის სასარგებლოთ პირობის დარღვევა გაემართლებია*) და ბოლოს ურა უმრავლესობიდან მიხაილოვის სადრდებლათ „ურა“ მოცთხოვა. და ეს ცხერის ფარაც მას ემორჩილება და, ვაი სირცხვილო, კრტა ამაშიძის „კამანდრობნათ“ კი ხელმეორეთ ურას იძახის!

დიხ, ქრათურის მრეწველთა უმრავლესობამ თავის თავი დამარხა, მან თავი მოსქრა საზოგადოთ ქართველ მრეწველთ, უარ-ჰყო თვით-მოქმედება, თვით-მართველობა და ყველა ეს უსაქმო დრდ მადიანთა თვით ნებობაზე გადასცვალო.

აი, ბატონებო, რა ოინები ჩაიღინა ბ. ზდანოვიჩმა კრებაზე, აი რა მაღაყები ათამაშა უმრავლესობას და როგორ დაატყუა საზოგადოება. ეს კრდევ არაფერი, მოტყუედენ არა მარტო მრეწველნი, არამედ ქართველი მკითხველებიც. „იფერია“ „ცნობის ფურცლები“ სარევიზიო კომისიის ნამდვილი მოხსენება მკითხველთ დაუბალა და მის მაგიერ ბ. ზდანოვიჩის მიერ გამამახინჯებული დაბეჭდა. აი სანამდი დაცა ჩვენნი პრესა, და ეს რატომ, რისთვის? გამოთქვან ნამდვილი მოტივი ასეთი მოქმედებისა; გამოთქვან პირდაპირ, გულახდილათ, თვარა რასაც ახლა კანტი-კუნტათ ამბობენ—ეს ნამდვილი მოტივის დამალვა იქნება და მეტი არაფერი. და მართლაც, ჩვენ საბჭოს ვემხრობით რბიტომ, რომ ემერიკთან ერთათ არ გვინდა ვიყითო—ამბობენ ისინი. აი ფარისეველობა! მესამე კრებაზე ემერიკი მომხრე იყო ზდანოვიჩის, მან და მისმა პარტიამ აარჩია ის, თვარა დამარცხებული იყო, ხოლო „იფერია“ და „მოამბე“, რომლის მაშინდელი ხელმძღვანელი დღევანდელი „ცნობის ფურცლის“ ხელმძღვანელი; ემერიკთან ერთათ

1) ქსენონის ექიმის ბ. ჯაფარიძის თავის მართლება, მე გულმოდგინეთ ვასრულებდი ჩემ მოვალეობასაო—მოსახენებლათაც არა დირს. როგორ ასრულებს ის მოვალეობას რევიზიის მოხსენებამდინაც კარგად ვიცით. იმის შესახებ რა ერთხელ ყოფილა ვაზეთებში დაბეჭდილი წერილი. და აი თუნდაც ახლა რამოდენიმე კვირაა ქუთაისშია, ქსენონი მიუტოვებია და ავადმყოფნი დეთის ანაბარათ დაუგდია, ორი ავადმყოფი უკვე გადაიცვალა უეცინობითო—განაცხადეს კრებაზე.

იტავდენ ზდანოვიჩის და ებრძოდენ ოპოზიციას, იმ ოპოზიციას რომელმაც იმდენი რეზოლიუცია მიიღო მუშათა საარგებლოთ და ბოლოს ასე ტყუილათ ჩაატარა საბჭომ. წაიკითხეთ ბ. ლალის მაშინდელი წერილი, „მოამბეში“ მოთავეებული (1900 წ. № 8), გადაშალეთ მაშინდელი „იფერიის“ ფურცლები და დაინახავთ, როგორ უსაბუთოთ და თავდაუტყერლათ ლანძღავდენ ოპოზიციას და აქებდენ ემერიკ-ზდანოვიჩის პარტიას. და აი ახლა, როცა ემერიკი გადაუდგა ზდანოვიჩს და ოპოზიციას მიემხრო—იგივე ორგანოები ქვეყნას აჯგერბენ ჩვენ სათაკილოთ მივეჩნია ემერიკთან ყოფნაო! დიხ, სწორეთ სათაკილოა ასეთი ფვალთმაქცობა. როცა ზდანოვიჩს ემხრობოდა ემერიკი, მაშინ არ იყო მასთან ყოფნა სათაკილო, ხოლო როცა არ ემხრობა—სათაკილოა! აი ნამდვილი ფარისეველობა. დროა ახხადოთ პირბადე და თქვენთ თქვათ ის, რაც გამოდრავებთ ბურჟუა-ინტელიგენციის და მისი მებარილტრის ზდანოვიჩის სასარგებლოთ...

წ. მარმალაძე

შავი ზვის მრეწველთა V კრება ქუთაისში.

წერილი მეოთხე.

მრეწველთა კრება უკვე მიიწურა: სანამ ეს წერილი გაზეთის ფურცლებზე დღის სინათლეს დაინახავდეს, კრება უეჭველათ დამთავრდება და საბჭოს მოხერხებულ სავარძელზე ან ისევ ბ. ზდანოვიჩი დარჩება და ან სხვა ვინმე. იმას კი ვიტყვით წინდაწინ, რომ ვინც უნდა დარჩეს მომავლ საბჭოს თავმჯდომარე, ჩვენთვის ეს თითქმის სულ ერთია. ჩვენ კარგათ ვიცით, ვისი ორგანოა მრეწველთა საბჭო და ვინ უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი, ანუ ვის უნდა ეკუთვნოდეს იგი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კეთილ-სინიდიხიერათ საქმის წარმოება რამდენიმეთ აქაც უნდა იყოს შესაძლებელი. მხოლოთ ასეთმა რწმენამ გაგვაბედვინა ჩვენ საბჭოს მოქმედება გაგვეხრა. ჩვენი ერთათ ერთი მიზანი იყო და არის მესამე კრებაზე არჩეული საბჭოს მოქმედების უღმობელი კრიტიკის დარჯაკში გატარება, რომ ამით გამოგვეაშკარავებია მისი უნიკობა და სრული გონებრივი და ზნეობრივი სიკოტრე მრეწველთა საქმეებ.ს მართვა-გამგეობაში. ბევრს ეწყინა, რომ ჩვენ აქ თეთრს თეთრი ვუწოდეთ და შავს—შავი. რა ვქნათ, თუ უმრავლესობას ეს არ ესამოვნა, ჩვენი აქ რა ბრალია. პასუხი აგონ იმათ, ვინც ყოველივე ეს მოიმოქმედა. დეე დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ ვცდებით ან ტყუილს ვამბობთ, ჩვენ მზათ ვართ ს.ჯაროთ აღვიაროთ ჩვენი შეცდომა თუ დანაშაული. სანამ კი ეს არ მოხდება, სანამ ჩვენ ნამდვილ ფაქტებს არ დავვისახელებენ, რომლებიც ჩვენ ნათქვამს ამტყუენებდენ, ან ოდნავაც მაინც ასუსტებდენ, იქამდის ჩვენი შეხედულება შეუტირებელი დარჩება. საქმეს არ უშველის, რომ ჩვენ ვიღაც-ვიღაცათან კავშირი დავგწამონ, ეს მხოლოთ დაამტკიცებს რმათ გონებრივ სიბრმავეს, ვისაც ცილის წამებით ჩვენი დამცირება სურს. დარჩება ბ. ზდანოვიჩი ისევ ძველებურათ და მთელი კრება დაიბრმავეს თავს და სამუდამოთ გააუქმებს თავის თავს, ეს ჩვენთვის ამიერიდან სულ ერთია,—ჩვენ ჩვენი მოვალეობა, რამდენათაც ძალა შეგვწევდა, შევასრულეთ. კუზიანს მხოლოთ სამარე გაასწორებსო—ამბობს რუსული ანდაზა, ისეა აქაც. შემდეგ წერილში ჩვენ შევეხებით ბ. ზდანოვიჩის უფრო დაწვრილებით, ვეცდებით წარმოვუდგინოთ მკითხველს ამ ვაებატონის მთელი ფიზიონომია სავსებით, დავხატავთ მის ზნეობრივ და გონებრივ სახეს რაც შეიძლება ნათლათ და გარკვევით. ამასთანავე, ცალკე წერილში, ჩვენ ვეცდებით დავახასიათოთ მეხუთე კრება, და-

ვაფასოთ და ავწონ-დავწონოთ მთელი მისი ნამოქმედარი. მაგრამ სანამ ამაზე გადავხედოთ, ჩვენ მოვიხსენიებთ აქ მესხეთე კრების ზოგიერთ დამახასიათებელ ეპიზოდებს, რომლებიც სხვილ ხაზს ავლებენ როგორც ბ. ზდანოვიჩს, ისე თვით კრების ხასიათს.

როცა კრებამ მოისმინა მუშების დაზღვევის აწინდელი წესის გარემოება, მან ერთხმით მოინდომა ამ წესის შეცვლა. ბ-მა ზდანოვიჩმა კი ინება ამ წესის დაცვა, რასაკვირველია, არა მუშების სასარგებლოთ, არამედ მდიდრების კიდევ უფრო გასამდიდრებლათ. მან ისარგებლა თავის მდგომარეობით და კრებას წარუდგინა ყალბი, გამოგონილი ცნობები, რომ ასეთი ცვლილება არ მომხდარიყო. შემდეგ თუმცა ამ საქმისათვის არჩეულ იქნა ცალკე კომისია, მაგრამ ეს ტყუილათ თავის მოტყუილებათ, ვინაიდან ეს კომისია ბ-ნ ზდანოვიჩის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავა და აირჩევს იმ გზას, რომელზედაც მას ეს „ყოვლის შემძლე“ ვაჟბატონი მიუჩივებს.

კრებას წარუდგინა განსახილველათ შავი ქვის (მარგანეცის) მექანიკური საშუალებით ჩამოტანა მადნებიდან და საზოგადოთ მადნებში მისაველ გზების გაუზიარების საქმე. ამის შესახებ პროექტი უნდა წარმოედგინა ინჟინერ მიხაილოვს, რომელსაც ამისთვის ბ-ნ ზდანოვიჩის სურვილისამებრ წინდაწინ აქვს მიღებული ფული. ამ საბრალო პროექტის ისტორია ასეთია: ჯერ კიდევ მესამე კრებამდის ბ. ზდანოვიჩი, კრების სახელათ, თუც კრებისაგან მას ასეთი მინდობილობა სრულებით არ ჰქონებია, შეეკრა ბ. მიხაილოვს შემდეგი პირობით: ამ უკანასკნელს უნდა შეედგინა პროექტი ჭიათურის ყველა მადნებიდან მექანიკური საშუალებით მარგანეცის ჩამოტანისა, მაგრამ ისე კი, რომ არც ერთ მრეწველს უპირატესობა არ ჰქონებოდა სხვებთან შედარებით. ასეთი საშუალება ყველა მადნებისათვის ერთ და იმავე დროს კრებას უნდა გაეყვებია თავისა თუ ნასესხები ფულით. ბ. მიხაილოვს ამ შრომისათვის უნდა მიეღო ნაწილ ნაწილათ რვა ათასი მანათი. მესამე კრებას ბ-მა მიხაილოვმა წარუდგინა საკმარისათ ვრცელი მოხსენება თავის მომავალ პროექტის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ასეთი ფანტასტიკური პროექტის სახსებით, უნაკლულათ განხორციელება ძლიერ ადვილი საქმეა*). ბ. ზდანოვიჩიც ჩვეულებრივი გაბედულობით და დიდი რიხით ამტკიცებდა მის განხორციელებას და პირში ბურთს აჩრიდა ყველას, ვინც ამის წინააღმდეგს რასმეს იტყუოდა. მას მერე გავიდა თითქმის სამი წელიწადი და გარემოება ასე შეიცვალა: ბ. ზდანოვიჩი დღეს აღარ ამტკიცებს ხსენებულ პროექტის განხორციელებას იმ გზით და იმ საშუალებით, როგორც ეს მას ეგონა ამ სამის წლის წინეთ. საიდან დარწმუნდა ეს ვაჟბატონი ამაში? გამოცდილებით თუ საქმის თეორიულათ შესწავლით? არც ერთი, არც მეორე. მას დღეს ასე სურს, და ვინც წინააღმდეგს იტყვის, მას დორბლიანი პირით და ჩახლჩილი ხმით ლანძღვით და გინებით გაბერავს. მაგრამ აქ არის ერთი მცირე გარემოება, ღირსი ყურადღებისა. ბ-მა მიხაილოვმა დაპირებული პროექტი არ წარმოადგინა, თუმც ფული კი 2,600 მანეთის გარდა სულ მიიღო. ბ. ზდანოვიჩი, რომელიც ბ. მიხაილოვს უნიჭიერეს ინჟინერათ თვლის და საზოგადოებას უთითებს მაზე, როგორც სამაგალითო ადამიანზე, კრებას უცხადებს, რომ ბ. მიხაილოვს დაპირებული პროექტი ჯერაც არ წარმოუდგენიაო. რაც შეეხება მიცემულ ფულს, ჩემის აზრით ის რუქები და პროფილები, რომლებიც ბ. მიხაილოვმა გადმოგვცა, იმაზე მეტი ღირს, რაც ჩვენ მივეციოთ. შემდეგ ილაპარაკა თვით ბ.

მიხაილოვმა და უნდა გამოეტყუდეთ, რომ მან აქ დიდი კულწრფელობა გამოიჩინა. რამდენადაც ბ. ზდანოვიჩი ცდილობდა კრებისთვის თვალები აეხვია და საქმის ნაწილად მარეობა დაეფარა, იმდენათ ბ. მიხაილოვმა მთლიანად უნიჭიერათ მიმეთ მაინც ფარდა აებადა ამ საქმისათვის და გულწრფელათ ეუწყებია კრებისათვის, რომ მე დაგატყუილეთო. დაგატყუილეთ ჯერ იმაში, რომ ისეთი პროექტის შედგენა ვიკასრე, რომლის განხორციელება ყოველად შეუძლებელიაო; დაგატყუილეთ იმაშიაც, რომ ის რუქები და პროფილები, რომლებშიაც მე თქვენგან ფული მივიღე, იმათ არა ღირსო. ასეთი მხილების დროს, რაც ბ. ზდანოვიჩის სრული სიყალბას გამომჟღავნებდა იყო, ამ უკანასკნელს ოდნავაც არ შერცხვენია. გასაოცარი იქ კადევ ის არის, რომ, როგორც გამოაშკარავდა უწინარეს ყოვლისა პროექტის წინააღმდეგ ყოფილა თვით ავტორი, ე. ი. ბ. მიხაილოვი; ე. ი. ბ. მიხაილოვს უკისრა ისეთი პროექტის შედგენა რომლის განხორციელება თითონ მას შეუძლებლათ მიაჩნია და პირობის დარღვევის მიზეზათაც ეს გარემოება დაასახელა.—კარგი, მაგრამ ფული რიდასთვის მიიღო, —აკითხავს ვინმე. ჰე! განაცოტა რამ საკვირველება ხდება ამ ცოდვილ დედამიწაზე? ყოველ შემთხვევაში ამის ცოდვა მარტო ბ. ზდანოვიჩს აწევს თავზე და სხვა არავის, მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ კრებამ საყვედურ: გამოუცხადა ამისთვის ან ბ. ზდანოვიჩს და ან ბ. მიხაილოვს? სრულებითაც არა. მართალია, ზოგიერთებმა დაგმეს და გაკიცხეს როგორც ერთი, ისე მეორე, საზოგადოების ასე აბუჩათ ადებისათვის. მაგრამ რა გამოვიდა. უმრავლესობა, ბ. ზდანოვიჩის ბრძინებით, თერს შავათ დებულობს და შავს თეთრათ. ეს მდინარე აღმა მიდისო, რომ განაცხადოს ბ. ზდანოვიჩმა, —კი ბატონო აღმა მიდისო მოახსენებენ მას და მუშტი კრივათ ჩაქოლვენ იმას, ვინც სინამდვილეს უჩვენებს.

აი არჩევნ შავი ქვის მრეწველთა დებულების პროექტს. ერთს წევრს შემოაქვს აზრა იმის თაობაზე, რომ სარევიზიო კომისიას უფლება აქვს ყოველთვის გაუყეთოს რევიზია როგორც საბჭოს მოქმედებას, ისე ყველა იმ დაწესებულებათ, რომლებიც საბჭოს ექვემდებარებიანო. ბ-ნი ზდანოვიჩი, რომელსაც არ უყვარს, რომ მის მოქმედებას ვინმე შეეხოს და მის თვითნებობას სახლკარა უჩვენოს, ალაგმოს, მაშინვე წამოვარდა და დაახლოვებით ასეთი სიტყვა წარმოთქმა: ბატონებო! თქვენ ირჩევთ საბჭოს, ანდობთ მას თქვენ საქმეებს და იმავე დროს სარევიზიო კომისიას უფლებას აძლევთ, რომ მან საბჭოს მუდამ უჩიკინოს. სარევიზიო კომისია ისარგებლებს ამითი და მუდამ კრიჭაში ჩაუჯდება საბჭოს, თქვენ მიერ არჩეულთ, რომლებსაც თქვენ ენდეთ. თუ ასეთი უფლება მიანიჭეთ სარევიზიო კომისიას, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ თქვენ უნდობლობას უცხადებთ თქვენ მიერ არჩეულ კაცებს. მეორე მხრით ამათ თქვენ საბჭოს და სარევიზო კომისიას შორის ჩამოაგდებთ აყალმაყალს, შფოთსა და აღიქოთს, და ისინი იმის მაგიერათ, რომ საქმე გააკეთონ, მთელ თავის დროს ამ ურთიერთ კანკალობას მოანდომებენო. ბატონებო! ეს არ გეკადრებათ თქვენ! სარევიზიო კომისიას ასეთი უფლების მინიჭება რაღაც პარტიული ზომია, პარტიული ანგარიშით გამოწვეული. ეს არ ეკადრება ღირსეულ კრებას. ვინც თქვენ ამას გირჩევს, იმას თქვენი დამსობა უნდა; მე ვიცი საიდან მომდინარეობს ყოველივე ეს. იმათ სურთ, რომ ჩვენ თვითმართველობა მოგვისპონ, ჩვენი საშუალება ხაზინას გადასცენ და ჩვენ დაგვტოვონ პირში ჩალა ამოვლებული. არა ნუ მივიღებთ ისეთ წინადადებას, რომელიც ჩვენ თვითმართველობას შეავიწროვებს, ან შელახავს,

*) იხ. „Труды III съезда“, 33. 77.

მე ვიცავ ნამდვილ თვითმართველობას, და ამიტომ გირჩევთ მიიღოთ ჩემი წინადადება: სარევიზიო კომისიამ გააკეთოს ის, რასაც მას ბატონი საბჭო უბძანებს! აი მხოლოდ მაშინ იქნება დატული წესიერება და თვითმართველობაო. კრების უმრავლესობის ტაშის გრიალი იყო ამ სამარცხვინო სიტყვების პასუხად.

ამითი უმტკიცებენ ბ. ზდნოვიჩს და მის ნებისათი თუ თუ უნებლიეთ დაბრმავებულ დამქაშებს, რომ ყოველივე ის, რაც ბ. ზდ-მა ბრძანა სარევიზიო კომისიის უფლების გაფართოვებით, წინააღმდეგ, მარტო ცილის წამებაა, რომ ყოველგან, სადაც კი მსგავსი დაწესებულება არსებობს, სარევიზიო კომისიის აქვს კონტროლის მოხდენის უფლება ყოველთვის, რომ ეს გარემოება სრულებით არ უშლის ხელს საქმის წეს. წბრ, და ოდნავაც არ ჩაგრავს თვითმართველობას; პირიქით, ასეთი უფლება ხელს უწყობს წესიერებას დამკვიდრებას და იმავე დროს ლაგმავს თვითნებობას. მაგრამ კრების უმრავლესობას ეს არ ესმოდა, თუ არ სურდა რომ მოესმინა; და ამიტომ მის თვალში არავითარ საფუძვლიან მოსახრებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. მას ესმოდა მხოლოდ ბ. ზდნოვიჩის სიტყვები: ნუ გინდათ, რომ სარევიზიო კომისიას ჰქონდეს ნამდვილი კონტროლის უფლება და იგი მხოლოდ მარტო ფორმისთვის გვეყავდესო.

აქ მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩერო ბ. ზდნოვიჩის ერთ სიტყვაზედ, რომელიც მან წარმოთქვა მაშინ, როცა კრება არჩევდა ახალ დებულების იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია იმაზე თუ მრეწველთა კრებაზედ ვინ დებულობს მონაწილეობას, როგორც ნამდვილი წევრი. არსებულმა დებულებამ იცის მხოლოდ ორი კატეგორია მრეწველთა: მანის ამღები (промышленникъ) და გატანი (экспортеръ). ახალმა დებულებამ ამ ორ ელემენტს მოუმატა კიდევ გამტანი ქაათურიდან მარტო ფოთამდის და ბათუმამდის (вывозящий). კრებაზე გამოიჩინა, რომ ეს მესამე ელემენტი შუამავლის როლს თამაშობს ქაათურის მრეწველობაში, რომ იგი ნამდვილი წურბელაა, რომელიც მხოლოდ „სკიდებით“ სულდგმულობს; ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ეს ელემენტი სრულებით არ იქნას წარმოდგენილი კრებაზე, საზოგადოთ მისი არსება მრეწველობისთვის მავნებელია, და სასურველი არ არის მისი გამაგრებაო. ბ-მა ზდნოვიჩმა ამ საგანზე წარმოთქვა მოკლე, მაგრამ მხურვალე და ძლიერ შინაარსიანი სიტყვა, რომელიც შეადგენს დასკვნას მთელი მისი მოღვაწეობისას ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში, რომელიც, თუ ასე შეიძლება ეთქვათ, მან თავი მოუყარა მთელ თავის პრაქტიკულ გამოცდილებას ამ ხნის განმავლობაში, რომელიც მას შეუძენია პრაქტიკული კაცების ზედგავლენით. ამ სიტყვაში ბ-მა ზდნოვიჩმა ნათლათ და გარკვეულათ გამოხატა თავისი სხვა შეხედულება პრაქტიკულ ცხოვრებაზე, რომელიც მას ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში შეუსისხლხორცივია და რომელსაც იგი დღეს ადგას. ესე იგი: უფრო გარკვეულათ რომ ვთქვათ, ამ სიტყვაში ბ-მა ზდნოვიჩმა დაგვიხატა პრაქტიკული ცხოვრების პროგრამა, რომელსაც იგი დღეს ვრცლათ ახორციელებს ცხოვრებაში.—ბატონებო—მე მართა ბ-მა ზდნოვიჩმა კრებას, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ იმით, კი არა ვართ მოწოდებული, რომ ცხოვრებაში ზნეობრივი კანონები შევიტანოთ და არც იმით, რომ სხვადასხვა იდიალური წესები შევიმუშავოთ სახელმძღვანელოთ. ჩვენ ბევრიც რომ ვეცადოთ, ცხოვრებას მაინც ვერ შევცვლით, ვინ ამბობს, რომ იქ ყველაფერი საუკეთესოთ იყოს მოწყობილი; სრულებითაც არა. მაგრამ რას იზამთ. ამიტომ ცხოვრება უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის. და თუ საგებლობის მოტანა გვსურს, ყოველგვარი კანონი დავიმორჩილოთ და შევეუწყოთ პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას.

ბას. რას ქვია ზნეობა, რა არის იდეალი? ყოველივე ეს ცალიერი სიტყვებია და მეტი არაფერი, რა ვუყოთ, რომ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ყოველის ფეხს ნაბიჯზედ საჭივარ და უმსგავს მხარეებს? ჩვენ ამავბის გასწორება და აღმოჩენა რა სრულებით არ შეგვიძლია. ამისთვის ტყუილია უბრალოდ შევწუხებთ თავს. პირიქით, ყოველგვარ მოვლენას, რა გინდ იგი საზიზღარი და მავნებელი იყოს, გამაგრების და გაფართოების საშუალება უნდა აღმოუჩინოთ. სასაცილოა ის აღმანი, რომელიც ცხოვრებას იმ მხრით დაუწყებს ყურებას, რომ იქ რაიმე გაუმჯობესობის შეტანა საჭიროა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ გამტანთა ის ჯგუფი, რომელსაც ერთ მხრით ქაათურასა და მეორე მხრით ფოთს—და ბათუმს შუა ეზიდებიან მარგანეცს, მავნებელია, წურბელააო, და ამიტომ ჯგუფის არსებობა სრულებით არ არის სასურველი ქაათურის მრეწველობის ინტერესებისათვისო. ჩვენ იმათ არ ვეთანხმებით ამაში. რა ვუყოთ, ბატონებო, რომ ისინი, წურბელები არიან. იმათი გასწორება ჩვენი საქმე არ არის. ცხოვრებამ დაბადა ისინი და ჩვენ იმათ ვერ უარყყოფთ. ნუ დავივიწყებთ პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას, რომელიც ჩავვახსნის, რომ ცხოვრებაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ზნეობრივი კანონების და საუკეთესო იდელების მიხედვით, არამედ არსებულ პირობების მიხედვით. შორს იდეალური მისწრაფება, გაუპარჯოს პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებას, რომელიც გვიბრძანებს, თუ რა ხეზი და იარაღია საჭირო კაცისათვის არსებობისათვის ბრძოლაში! ამიტომ მე გირჩევთ: დაანებოთ თავა ზნეობრივ პრინციპებს და იდელებს და მოიქცეთ ისე, როგორც ნივთიერი ინტერესები გიბრძანებენ.

ამ სიტყვის დამთავრება და კრების უმრავლესობის მხრით ტაშის გრიალს და ვაშას ძახილს საზღვარი აღარ ჰქონდა. უმრავლესობაში უფრო ყურადღებას იქცევდნ ტაშის კვრით და ვაშას ძახლით სოლ. წერეთელი, ივ. ნიჟარაძე, კიტა აბაშიძე, პეტ. წულაიძე, და tutti quanti: ამათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ეტყობოდათ სრული კმაყოფილება, რომ რამდენიმე წლის მაცადინეობას ტყუილად უბრალოთ არ ჩაუვლია და შესაფერი ნაყოფიც გამოუღია. და მართლაც იმათ ჰქონდათ ამის მიზეზი. მაგრამ თითონ ბ. ზდნოვიჩი რაღას გრძნობდა ამ დროს?—შეიძლება იკითხოს ვინმე. ეს ძნელი გამოასაკნობია. ზდნოვიჩი—სიმართლის და ქეშმარიტების მოსაჩრღე და ზდნოვიჩი ყველა ამის უარისმყოფელი! მათ შორის, ვკანებ საპუდამო უფსკრულია.

გარეშე მეთვალყურე.
(შემდეგი იქნება).

ქართული თეატრი
სუთმბათის 6 თებერვალს 1903 წელს
ზარველათ სხვადა შექსა

I
მიკუნჭული ბედნიერება
კომ. 3 მოქ. გ. ზუდერმანისა. თარგ. გ. რცხილაძისა.

II
ს ზ უ მ ა რ ი
დრ. 2 მოქ. ე. ბრანდესისა, თარგ. ი. მაქავარიანისა.
დასაწყისი სადამოს 8 საათზე.
რეჟისორი ვ. გუნია.
რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.